# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 მაისი **ორშაბათი** 2011
№ 118 (13415) ფასი 80 თეთრი



ინტერნეტ-ტოტალიზატორი
www.liderbeti.com
LIDERBETI
ლიდერი ინტერნეტ სივრცეში



ეროვნული ბიბლიოთეკა


# ჩემპიონატი დასრულდა! დასრულდა?

## დეტექტივს ბოლო ფურცლები აკლია



ზესტაფონმა საჩემპიონო თასი
ზვიად სიჭინავასგან მიიღო
ს.კ. ზესტაფონის პრესსამსახურის ფოტო

2-3

### ვამბობდით: დედაქალაქის გუნდები. ვიტყვით: დედაქალაქების გუნდები

გუშინ ტორპედომ მოუგო დინამოს, რომელშიც დიდი ამბებია: ბევრი წავა, ბევრი მოვა, ქველი ახალაიაც და იაშვილიც, იქნებ ესპანელიც...



დინამო-ტორპედო 1:2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




## აბრამოვიჩმა ანჩელოტის, შემოიარე ხოლმეო...

როგორც მოსალოდნელი იყო, „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ **კარლო ანჩელოტი** მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა. ეს ინფორმაცია ლონდონურმა კლუბმა გუშინ, „ევერტონთან“ მატჩის („ჩელსი“ 0:1 დამარცხდა) დაადასტურა.

„კლუბის მფლობელი და დირექტორთა საბჭო ანჩელოტის გაწეული სამსახურისთვის მადლობას უხდის. კარლო „სტემფორდ ბრიჯზე“ ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნება,“ - ვკითხულობთ „ჩელსის“ ოფიციალურ განცხადებაში, რომელსაც ხელს **რომან აბრამოვიჩი** აწერს.

შეგახსენებთ, რომ 51 წლის ანჩელოტიმ ლონდონური კლუბი 2009 წლის ივლისში ჩაიბარა და შარშან „ჩელსის“ არსებობის ისტორიაში პირველად შეასრულებინა დუბლი. ამ სეზონში კი, „არისტოკრატები“ ტიტულის გარეშე დარჩნენ - „ჩელსი“ ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 9 ქულით ჩამორჩა.

**გოტფრიდ ლენცი**




## ლილი ოფიციალურად გაჩემპიონდა

### დეპორტივო ლა ლიგას დაემშვიდობა

ევროპული ჩემპიონატების მიმოხილვა 5-9

**დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზესტაფონის ოქროს დღე

## პატარა ქალაქს სიხარული აწვიმს




22.05. ზესტაფონი. ქართლი.
1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

1:0 გორგიაშვილი (3), 2:0 გელაშვილი (28, ალადაშვილის პასით), 3:0 მ. კობახიძე (32, გორგიაშვილის პასით), 4:0 ლანიაშვილი (55. ს.კ.)

| ზესტაფონი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-4-2 | 4-2-3-1 |
| რ. კვასხვაძე | ა. მიქაბერიძე |
| ალადაშვილი | ხურცილავა |
| გ. ონიანი | ადამაძე |
| მ. კობახიძე | კასრაძე |
| გ. ფოფხაძე | ლანიაშვილი |
| დაუშვილი | კორიფაძე |
| ძარია | ვასაძე |
| გორგიაშვილი | გურამ გურეშიძე |
| აფციაური | ჯანელიძე |
| დვალი | ჩიმაკაძე |
| გელაშვილი | როსტიაშვილი |
| მთ. მწვრთნელი | მთ. მწვრთნელი |
| გ. გეგუჩაძე | ზ. ბერიძე |

**ზესტაფონი**

73. დაუშვილი – **ბენაშვილი**
73. ძარია – **როსტომ ბენაძე**
73. დვალი – **ს. ლომია**

*სათადარიგოები: მამალაძე, ხიდეშელი, ბაბუნაშვილი, წინამძღვრიშვილი*

**ვიტ ჯორჯია**

58. ჯანელიძე – **ზაქრაძე**
58. კორიფაძე – **გიორგი გურეშიძე**
70. ჩიმაკაძე – **გაბრიჭიძე**

*სათადარიგოები: ძაძამია, ჭანკვეტაძე, გოგიაშვილი, ჯულელი*

გაფრთხილება: დვალი (38)
გაძევება: როსტიაშვილი (17)
არბიტრი: ჯ. ხორავა

სეზონის ბოლო მატჩი "ზესტაფონმა" საზეიმო ვითარებაში ჩაატარა – პატარა ქალაქს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა (პრეზიდენტის ჩათვლით) თითქმის სრული შემადგენლობით ესტუმრა და ქვეყნის ჩემპიონს თასი და მედლები გადასცა. თამაში **გია გეგუჩაძის** გუნდმა სწორედაც რომ საჩემპიონო აჩვენა – ოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე "ზესტაფონმა" ერთგულ ქომაგებს კიდევ ერთხელ სცა პატივი, მოედანზე ბოლომდე დაიხარჯა და არცთუ ხელწამოსაკრავ მეტოქეს შთამბეჭდავად სძლია.

შეხვედრისა და თავსხმა წვიმის დაწყება ერთი იყო, მაგრამ ავდარს საზეიმო განწყობა არ გაუფუჭებია – "დავით აბაშიძის" გაზონი იდეალურთან მიახლოებულ მდგომარეობაშია და უხვ ნალექს კვალი არ დაუტყვია. მასპინძლებმა ტრადიციული შემტევი სტილით ითამაშეს და გამარჯვებულის ვინაობა 45 წუთში გაარკვიეს.

"ზესტაფონის" პირველივე სახიფათო შეტევა გოლით დასრულდა. კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ვიტელებმა უხეიროდ მოიგერიეს, დასარტყმელ პოზიციაზე **თორნიკე გორგიაშვილი** აღმოჩნდა და სტუმართა კარი საჯარიმოს მისადგომებიდან ეფექტური „ცხრიანით" დალაშქრა.

მე-17 წუთზე "ვიტ ჯორჯია" კაცნაკლული დარჩა: **მიხეილ როსტიაშვილი კახა ალადაშვილს** ეუხეშა, რასაც ტრიბუნების რეაქცია მოჰყვა. როსტიაშვილმა ნერვები ვერ მოთოკა და მაყურებლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რამაც არბიტრ **ხორავას** ლოგიკური გადაწყვეტილება მიაღებინა.

"ზესტაფონს" გამარჯვება უფრო სოლიდური ანგარიშითაც შეეძლო და რამდენიმე რეალური სახიფათო მომენტიც გაანიავა, თუმცა მათი აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ და პირდაპირ დანარჩენი გოლების აღწერაზე გადავალთ.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **ნიკა გელაშვილმა** თავი გუშინაც გამოიჩინა და საკუთარ აქტივს კიდევ ერთი ბურთი შემატა. იგი ალადაშვილის ჩაწოდებას გამოეხმაურა და თბილისელთა კარი თავურით აილო. გელაშვილს ამ ჩემპიონატში ყველა გოლი უპენალტოდ, "თამაშიდან" აქვს გატანილი. ანგარიში გამანადგურებელი **მამუკა კობახიძემ** გახადა. ფეროელთა ახალგაზრდა მცველმა თორნიკე გორგიაშვილის გადაცემა დააგვირგვინა.

მეორე ტაიმში ათკაციან "ვიტ ჯორჯიას" ბევრი ვერაფერი გამოუვიდა, ვეტერინარებისთვის ისიც ნორმალური შედეგი იყო, რომ შესვენების შემდეგ ერთ გოლზე მეტი არ გაუშვიათ. ავტოგოლის ავტორ **ლანიაშვილს** შეცდომა ალადაშვილის ჩაწოდებამ დააშვებინა.

მოკლედ, ზესტაფონში მოულოდნელი და რეალობასთან შეუსაბამო არაფერი მომხდარა: ჩემპიონმა სეზონი ახალი სტატუსის შესაფერისად დაასრულა, ევროზონის მიღმა დარჩენილი "ვიტ ჯორჯია" კი საზაფხულო არდადეგებზე უკეთესი მომავლის იმედით წავიდა.

**ნიკა გვათუა**
ზესტაფონი-თბილისი

# ზავი ქართლში, ხეირი ფოთში

22.05. გორი. ქართლი.
200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 0 |
| კოლხეთი | 0 |

| სპარტაკი | კოლხეთი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-1-1 |
| დაუშვილი | ძაგანია |
| ჭაფოძე | ცხვიტარია |
| მგელაძე | მახვილაძე |
| ბოიომო | მეგრელიშვილი |
| მანჩხავა | გელაჭეიშვილი |
| მამუჩიშვილი | მდივნიშვილი |
| თ. შონია | სიჭინავა |
| კილასონია | პ. დათუნაიშვილი |
| დეკანოიძე | გვალია |
| ჯაკობია | გოგონაია |
| მეტრეველი | სამადაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ბ. კვარაცხელია | ს. ფილია |

**სპარტაკი**

60. ჯაკობია — **ვ. ბოლქვაძე**
60. მეტრეველი — **ბუზალაძე**
79. კილასონია — **მ. ბარაბაძე**

*სათადარიგოები: ხომერიკი, ალავიძე, სეფიაშვილი, ზერეკიძე*

**კოლხეთი**

46. სამადაშვილი — **ჯანაშია**
69. მდივნიშვილი — **წიქარიშვილი**
72. სიჭინავა — **ლემონჯავა**

*სათადარიგოები: ლობჟანიძე, გულუა, გავაშელიშვილი*

გაფრთხილება: პ. დათუნაიშვილი (56), ჯაკობია (56), ბოლქვაძე (75)
არბიტრი: ბ. ნინუა (ქუთაისი)

ცოტა ხნის წინ ლიგის დატოვების სერიოზული საფრთხის წინაშე მყოფმა „კოლხეთმა" არათუ გასავარდნ ზონას დააღწია თავი, არამედ „სპარტაკთან" მოპოვებული ქულით პლეიოფსაც ასცდა. თუმცა ჯერ ისიც საკითხავია, სამომავლოდ უმაღლესი ლიგაში როგორი რეგლამენტით დაიწყება ჩემპიონატი. ადვილი შესაძლებელია, „კოლხეთი" კი არა, ახლანდელი ვითარებით პირველ ლიგაში დაქვეითებული ცხინვალის „სპარტაკიც" დარჩეს ქვეყნის ელიტურ ეშელონში. ასეა თუ ისე, გუშინ, ფოთელებისაგან განსხვავებით, ცხინვალელებს არანაირი მოტივაცია არ ჰქონდათ საბრძოლველად, თუმცა **ბადრი კვარაცხელიას** შეგირდები „ქართლზე" მაინც ძირითადი შემადგენლობით გავიდნენ, ერთადერთი გამონაკლისი მათი კაპიტანი და გოლკიპერი **სოსო გრიშიკაშვილი** გახლდათ, რომელიც კვლავაც ტრავმის გამო ტოვებდა შეხვედრას. არცთუ მაღალ ტემპში წარმართული შეხვედრის დასაწყისშივე კინაღამ გოლი ვიხილეთ. მე-2 წუთზე **მანჩხავას** მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი **ლაშა ჯაკობიამ** თავით **ზვიად მეტრეველს** დაუგდო, რომელმაც ახლოდან ძელს გაარტყა. ორ წუთში საპირისპირო კართან **ლაშა გვალიას** მიეცა გატანის შანსი, თუმცა მისი დარტყმული არაზუსტი აღმოჩნდა. ასეთი, ერთი შეხედვით, აგრესიული დასაწყისის შემდგომ გუნდებს ტაიმის ბოლომდე ღირებული არაფერი შეუქმნიათ. გვინდა, ჯაკობიას ინდივიდუალური გარჯა ამჯერადაც გამოვარჩიოთ. შესაძლოა, იგი ზოგჯერ ზედმეტადაც ატარებს ბურთს, მაგრამ მისი ინდივიდუალური რეიდები მაყურებლისთვის თვალსასეირო სანახავია. 36-ე წუთზე სწორედ ჯაკობიას სოლორეიდი ფოთელებმა საჯარიმოსთან წესების დარღვევითღა შეაჩერეს, სტანდარტული თვითონ დაზარალებულმა შეასრულა და რომ არა **ლაშა ძაგანიას** ეფექტური ნახტომი, იგი ალბად „ცხრიანშიც" გაახვევდა ბურთს. ფოთელებმა მალევე უპასუხეს მეტოქეს **ნიკა დაუშვილის** კართან შექმნილი საპასუხო ხიფათით, ამ მომენტში **მდივნიშვილს** მართებდა გატანა. მეორე ტაიმი ერთობ მშვიდობიანად წარიმართა, თუ არ ჩავთვლით ჯაკობიასა და **გოგონაიას** შორის მომხდარ შელაპარაკებას, როდესაც არბიტრმა მოჩხუბრები ყვითელი ბარათებით დაამშვიდა. მშრალ ანგარიშს საფრთხე მატჩის მიწურულსაც დაემუქრა, როდესაც ჯერ **ლემონჯავას** მიერ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი **მანუჩარ წიქარიშვილმა** ძალიან კარგი მდგომარეობიდან მეტად უხეიროდ დაარტყა და იქვე, საპასუხო კონტრშეტევისას საჯარიმოს მისადგომებთან მისულმა **მიხეილ ბარაბაძემ** უკეთეს მდგომარეობაში მყოფი **ილია ბუზალაძისთვის** ბურთის დაგორებას თავადვე ამჯობინა დარტყმა, მაგრამ ძაგანიას ვერ აჯობა. ნულოვანი ფრე **სოსო ფილიას** შეგირდთა მეშვიდე ადგილამდე აღზევების მაუწყებელი იყო. „სპარტაკის" საუმაღლესლიგო იმედები კი ფედერაციის გადაწყვეტილებაზე ჰკიდია.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# ეხვაიამ დაიწყო, ქობალიამ დაასრულა

22.05. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე.
400 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 4 |
| სამტრედია | 1 |

1:0 ეხვაია (10), 2:0 აფაქიძე (51), 3:0 ქობალია (56), 3:1 კერძევაძე (59) 4:1 ქობალია (81)

| ბაია | სამტრედია |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-5-1 |
| მაქაცარია | ბანძავა |
| აფაქიძე | მიქელთაძე |
| ქვარცხავა | ხაჭაპურიძე |
| გამრეკლიძე | ზ. ენდელაძე |
| რიგვავა | შენგელია |
| ნ. შონია | ნინუა |
| სიხარულია | ხვადაგიანი |
| შ. ლომია | კერძევაძე |
| წურწუმია | ცქიფურიშვილი |
| ეხვაია | ახობაძე |
| ქობალია | ბაქარანძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | გ. ქორიძე |

**ბაია**

46. გამრეკლიძე – **ახვლედიანი**
60. ლომია – **ა. ენდელაძე**
60. წურწუმია – **სამუშია**

*სათადარიგოები: ზაუტაშვილი, ჩანგელია, ქუკავა, ახალაია*

**სამტრედია**

59. ახობაძე – **სოხანეიშვილი**
61. ცქიფურიშვილი – **თევზაძე**
65. მიქელთაძე – **ჩაჩუა**

*სათადარიგოები: გოგავა, კოპალეიშვილი*

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

სამტრედიელები მოსალოდნელი პლეი-ოფისთვის აქედანვე ისე სერიოზულად ემზადებიან, რომ ზუგდიდში მწვრთნელიან-ფეხბურთელებიანად მთლიანად დუბლშემადგენლობა მიავლინეს. სატურნირო ცხრილის ფსკერზე მყოფი იმერული კლუბის ძირითადი შემადგენლობა საგანგებო მზადებაზე ყოფილა გადასული. იმერელთა კარი, თამაშის დაწყებიდან 10 წუთში **ირაკლი ეხვაიამ** დალაშქრა — კუთხურიდან მოწოდებული ბურთი თავით გაახვია ბადეში. ანაგრიშის გაზრდა შეეძლოთ **ქობალიას** (ორჯერ), იმავე ეხვაიას, **რიგვავას**. სტუმრებმაც გაიბრძოლეს და გატანის რეალური შანსი **ახობაძემ** გაუშვა ხელიდან. მეორე გოლი "ბაიას" ფეხბურთელებმა 51-ე წუთზე გაიტანეს — თავი მცველმა **აფაქიძემ** გამოიჩინა. ზუგდიდელთა ერთ-ერთი გოლეადორი **ქობალია** სტუმართა კარს ხშირად ემუქრებოდა და მალე მანაც შეაგდო. ამის შემდეგ "ბაიას" თავკაცმა **ელგუჯა ქომეთიანმა** მინდორზე მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე გამოყვანილ ახალბედა **ახვლედიანს,** ასევე ნორჩი ფეხბურთელები **ენდელაძე-სამუშიას** შეუწყვილა. საკუთარ კარში მესამე ბურთის მიღებამ სტუმრები თითქოს გამოაფხიზლა და სხვაობის შემცირებაც მოახერხეს. 61-ე წუთზე ბურთი მასპინძელთა კარში **კერძევაძემ** გაიტანა. დარჩენილ დროში ისევ მასპინძლები გააქტიურდნენ, მატჩს კი წერტილი ქობალიამ დაუსვა. 81-ე წუთზე "ბაიას მეათე ნომერმა საჯარიმო ხაზის გარედან **ბანძავას** აუღებელი დაურტყა და დუბლიც გაიფორმა.

**ლაშა გოგილავა**
ზუგდიდიდან

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუგუჩიას გაბრწყინებამ დინამო გააუფერულა

22.05. დინამო. ბ. პაიჭაძე.
1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| ტორპედო | 2 |

0:1 გოცირიძე (41. სეთურიძის პასით), 1:1 ჯილაური (55), 1:2 გუგუჩია (77)

| დინამო | ტორპედო |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-1-1 |
| ლორია | მიგინეიშვილი |
| ციმაკურიძე | გიგაური |
| თომაშვილი | მაჭავარიანი |
| კაკუბავა | თოლუა |
| ხმალაძე | გურული |
| კვეკვესკირი | თარხნიშვილი |
| ჯილაური | ჩხეტიანი |
| კახელიშვილი | დათუნაიშვილი |
| ლექვთაძე | სეთურიძე |
| თექთურმანიძე | კვარაცხელია |
| ტატანაშვილი | გოცირიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. კაჭარავა | გ. გიგატაძე |

**დინამო**

83. ლექვთაძე - **კუხალეიშვილი.**
87. თექთურმანიძე - **კვარაცხელია.**
*სათადარიგოები: ზარქუა, ლონლაძე, გველესიანი, ჩადუნელი, სიხარულიძე.*

**ტორპედო**

46. სეთურიძე - **დოლიძე.**
62. გოცირიძე - **გუგუჩია.**
77. გიგაური - **ქებაძე.**
*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, საბანაძე, ბაკურაძე.*

გაფრთხილება: გიგაური (53).
არბიტრი: ხ. გაგნიძე.

ჩემპიონატის ბოლო ტურში ორივე მწვრთნელმა ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშა. პირველ ტაიმში ბევრი მომენტი არ შექმნილა, უფრო მწვავედ ქუთაისელები თამაშობდნენ.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა **გიორგი სეთურიძემ** შეასრულა, ცენტრალურ მცველებმა და მეკარემ შეუთანხმებლად ითამაშეს, რითაც **რევაზ გოცირიძემ** ისარგებლა და თავით ზუსტად დაარტყა – 0:1.

მალე სტუმართა შეტევის ჩაშლის მცდელობისას **გიორგი ციმაკურიძემ** ბურთი კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა.

"დინამო" მეორე ტაიმში აშკარად გამოცოცხლდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ **ლევან ხმალაძე, გიორგი თექთურმანიძე, გიორგი კახელიშვილი.**

54-ე წუთზე **ნიკა კვეკვესკირის** დარტყმული ბურთი ქუთაისელთა მცველმა მოიგერია, დებიუტანტმა **ჯამბულ ჯილაურმა** კი დაუხანებლად, ძლიერად დაარტყა და "ცხრიანი" – 1:1.

"დინამოს" დაწინაურებაც შეეძლო, როდესაც თექთურმანიძემ მეკარესთან პირისპირ **ირაკლი ლექვთაძე** გაიყვანა, მაგრამ **ომარ მიგინეიშვილმა** საიმედოდ ითამაშა.

61-ე წუთზე **გია გიგატაძემ** "დინამოს" შესაჩერებლად თავდამსხმელი გოცირიძე შემტევი ნახევარმცველით, **ლუკა გუგუჩიათი** შეცვალა. როგორც შემდეგ გაირკვა, მატჩის ბედი სწორედ ამ 20 წლის ბიჭმა გადაწყვიტა. მან ბურთთან პირველივე შეხებისას სამი დინამოელი ეფექტურად ჩამოიტოვა, მაგრამ კარს მცირე მანძილით ააცილა.

"დინამო" კვლავ უტევდა, გუგუჩიას ეპიზოდი თითქოს გამონაკლისად ჩათვალეს და მეორე გოლი მწიფდებოდა "ტორპედოს" კარში: ორი მშვენიერი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს **დიმიტრი ტატანაშვილმა** და ხმალაძემ.

ეტყობა, თავდაჯერებამ მასპინძლებს ცუდი სამსახური გაუწია: 77-ე წუთზე გუგუჩიამ ისევ გაიბრწყინა, მარცხენა ფლანგზე სამი დინამოელი ლამაზი მოძრაობებით ჩამოიცილა და ლამის კუთხურის ხაზიდან მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა - 1:2.

არ ვიცი, ვინ როგორ შეაფასებს ამ გოლს, მაგრამ ჩემპიონატში მსგავსი ეფექტური გოლი არ მახსენდება. გუგუჩია პირველ ეტაპზე "ბაიაშიც" კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ "ტორპედოში" იშვიათად ენდობოდნენ და ამის გამო ახალგაზრდულ ნაკრებშიც არ გამოუძახებიათ. არადა, ძალიან საინტერესო ფეხბურთელია.

დარჩენილ დროში დინამოელთა შეტევებს შედეგი არ გამოუღია და მათ სეზონი ძალიან უფერულად დაასრულეს, ქუთაისელებმა კი დამსახურებულად გაიმარჯვეს.

**მერაბ მამულაშვილი**



ირაკლი მოდებაძე (მარჯვენივ) ბომბარდირთა დავაში მეორეობას დასჯერდა

# შელამაზებული ფინიში

22.05. რუსთავი. ფოლადი.
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 2 |
| სიონი | 1 |

1:0 მოდებაძე (6, ჭელიძის პასით), 1:1 შალამბერიძე (11, ჩირიკაშვილის პასით), 2:1 დ. ბოლქვაძე (28, ჭელიძის პასით).

| ოლიმპი | სიონი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-1-1 |
| ბედიაშვილი | გოგლიაშვილი |
| ჯაფარიძე | სვანიძე |
| მურველაშვილი | დიდავა |
| რეხვიაშვილი | ორბელაძე |
| დობროვოლსკი | ნ. კვასხვაძე |
| ი. მაისურაძე | გოგოხერიშვილი |
| ტყემალაძე | ნოზაძე |
| ქავთარაძე | ჩირიკაშვილი |
| დ. ბოლქვაძე | ლ. ჩხეტიანი |
| ჭელიძე | შალამბერიძე |
| მოდებაძე | ჯიქია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ხ. ქასრაშვილი | ა. ჯელაძე |

**ოლიმპი**

21. ბედიაშვილი - **ბათიაშვილი**
65. ქავთარაძე - **პავლიაშვილი**
87. ჭელიძე - **კერძევაძე**
*სათადარიგოები: კანდელაკი, ბახტაძე, აბურჯანია, ლ. სეთურიძე*

**სიონი**

46. ჩხეტიანი - **ქუცურუა**
78. ქუცურუა- **მელქაძე**
*სათადარიგოები: ზუხბაია, გ. ოქროპირიძე, კობაური, ქორიძე, თარგამაძე*

გაფრთხილება: მურველაშვილი (19), ჩხეტიანი (45), ქავთარაძე (53), შალამბერიძე (60), სვანიძე (72).
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

ზედიზედ ორი გამარჯვებით „ოლიმპმა", ცოტა არ იყოს, შეალამაზა ჩემპიონატის ფინიში; თანაც, რუსთაველებს საკუთარ მოედანზე ბოლოს ორი თვის წინ ჰქონდათ მოგებული და გუშინდელი გამარჯვება ამითაც იყო ფასეული. ალარაფერს ვამბობთ მეტოქის ფაქტორზეც: ამ სეზონში „სიონმა" ორჯერ შეძლო „ოლიმპის" დამარცხება და რუსთაველებს რევანშის სურვილიც ამოძრავებდათ.

...დისკვალიფიცირებულ **ალექსანდრე კვახაძესა** და **ლუკა რაზმაძეს** თუ არ ჩავთვლით, მასპინძლები ოპტიმალური შემადგენლობით გამოვიდნენ მოედანზე. იმავეს თქმა შეიძლება „სიონზეც", თანაც სტუმართა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** ორფორვარდიანი ტაქტიკა აირჩია და **რევაზ ჯიქიას** შეტევის ხაზში **კობა შალამბერიძე** შეუწყვილა. სწორედ შალამბერიძის აქტიურობით შეიქმნა ამ მატჩში პირველი სახიფათო მომენტი, მაგრამ **ლევან ჩხეტიანის** თავური დარტყმა **გრიგოლ ბედიაშვილმა** მოიგერია. სამაგიეროდ, მომდევნო სახიფათო მომენტი უკვე გოლით დასრულდა, ოღონდ, ამჯერად მასპინძლებმა შეუტიეს და მოდებაძე-ჭელიძე-მოდებაძის ეფექტური კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დამთავრდა. სხვათა შორის, **ირაკლი მოდებაძისთვის** სეზონში მე-16 გოლი იყო, მაგრამ „ოლიმპის" ცენტრფორვარდი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში მხოლოდ მეორეობას დასჯერდა.

მასპინძელთა უპირატესობა დიდხანს არ გაგრძელებულა: **ირაკლი ჩირიკაშვილმა** მოხდენილი პასით **კობა შალამბერიძე** დასარტყმელ პოზიციაზე დატოვა და პოლონეთიდან დაბრუნებულმა შემტევმა ანგარიში გაათანაბრა. „სიონს" მალე კიდევ ერთი გოლის გატანაც მართებდა, მაგრამ მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ გასულმა ჩირიკაშვილმა ეს ჩინებული შანსი ვერ გამოიყენა. თუმცა, ამ ეპიზოდში ნურც გრიგოლ ბედიაშვილს დავუკარგავთ გარჯას: „ოლიმპის" მეკარემ თავგანწირვით ითამაშა, რაც... ტრავმის ფასად დაუჯდა და მალე შეცვალეს კიდეც. „ოლიმპმა" პირველ ტაიმში კიდევ ორი სახიფათო იერიში განახორციელა და აქედან ერთი შედეგიანი აღმოჩნდა: **გიორგი ჭელიძემ** „სტანდარტული" შეასრულა და **დავით ბოლქვაძემ** ტექნიკური თავური დარტყმით სტუმართა მეკარეს შანსი არ დაუტოვა. ბოლქვაძეს კიდევ ერთი შანსი ტაიმის ბოლო წუთზე ჰქონდა, როცა **გიორგი ქავთარაძის** პასის მერე კვლავაც თავით ურტყამდა, მაგრამ ბურთი მიზანს მცირედით აცდა.

მეორე ტაიმში გოლი ალარ გასულა, თუმცა ერთი-ორჯერ მეტ-ნაკლებად დასამახსოვრებელი ეპიზოდი მაინც ვნახეთ; ჯერ იყო და ირაკლი ჩირიკაშვილი კუთხურიდან ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ **ზურაბ ბათიაშვილი** ამ ჩანაფიქრს მიუხვდა; მეორედ კი **რევაზ ჯიქიას** შორეული დარტყმა „ოლიმპის" კარის ხარიხას მოხვდა. თავის მხრივ, მასპინძლებსაც შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ მოდებაძის დარტყმა ჩინებულ ნახტომში **მინდია ბობლიაშვილმა** მოიგერია. დაბოლოს, ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზეც: „ოლიმპის" ახალწვეული **ირაკლი მაისურაძე** გუშინაც ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ ორივე გუნდის შემადგენლობაში და ამ ახალგაზრდა ნახევარმცველმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ **თემურ ქეცბაიას** ნდობა სამართლიანად დაიმსახურა.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი



ტორპედოს კარს გიორგი კახელიშვილი უტევს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# დინამოში ამბებია!

## ძველი ახლები: ახალაია და იაშვილი. მოლაპარაკება ესპანელ ფეხბურთელთან

თბილისის "დინამომ" სეზონი დაასრულა და, როგორც ჩანს, ახალს სრულიად განახლებული შემადგენლობით დაიწყებს, რადგან გუნდის ხელმძღვანელობას დასრულებულ სეზონში არც შედეგი აკმაყოფილებდა და არც ფეხბურთელთა კლასი.

"დინამოდან" ყველა ლეგიონერის გაშვება სურდათ - ახალი ხელმძღვანელობის მოთხოვნებს ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებს. თუმცა ბევრს ხანგრძლივი კონტრაქტები აქვს და ვერ უშვებენ. მაგალითად, ჩეხ მცველ **ირჟი ჰომოლას** და სერბ ნახევარმცველ **სემირ ჰაჯიბულიჩს**. კონტრაქტის ვადამდე დარღვევისთვის "დინამოს" ფიფა ფინანსურად დასჯის და, ცხადია, კომპენსაციის გადახდა ხელს არ აძლევდა.

ასე რომ, ჰომოლა და ჰაჯიბულიჩი გუნდში რჩებიან და შეკრებაზეც წაიყვანენ. თუ გაამართლეს და ითამაშეს, ხომ კარგი, თუ არა, ნაკლებად ამბიციურ კლუბში გაშვებას უპირებენ.

თუმცა ანალოგიური პრობლემები არ შექმნილა ბოსნიელ თავდამსხმელ **პეტარ იელიჩისა** და სერბ მცველ **მარკო მაროვიჩის** შემთხვევაში. კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, სეზონის ბოლოს მხარეებს ხელახლა უნდა დაელაპარაკათ, თბილისელებმა კი ხელშეკრულების გაგრძელება არ ისურვეს - ამ ლეგიონერებმა გუნდი უკვე დატოვეს.

სავარაუდოდ, მათ კვალს გაჰყვება გვინეელ-პორტუგალიელი **პედრო ედნილსონი**, გადასაწყვეტია ბრაზილიელი **რობერტინიოს** საკითხი. უცხოელთაგან მეტ-ნაკლებად **დონალდ ჯუსის** დარჩენას მიიჩნევენ მისაღებად, რომელიც, თუ ხასიათზეა, თამაშობს ხოლმე.

„დინამოდან" არა მხოლოდ უცხოელების, ბევრი ადგილობრივის გაშვებასაც აპირებენ. გუნდს საკუთარი სურვილით ტოვებს მცველი **გიორგი ციმაკურიძე**, რომელიც დღემდე სლოვაკურ "ჟილინას" ეკუთვნის და, როგორც გვითხრა, კარიერას ისევ ამ ქვეყანაში გააგრძელებს.

გაშვებულთა ნაცვლად, 5-6 ახლის მიწვევა სურთ. ერთი მათგანი ესპანეთის პრიმერადივიზიონში თამაშობს და მოლაპარაკებას ფინანსურ საკითხებზე აწარმოებენ. "დინამო" ორი ცენტრალურ მცველზე ფიქრობს - ლისაბონის "ბენფიკას" დუბლების წევრ **ბაქარ მირცხულავასა** და რუსთავის "ოლიმპის" ერთ-ერთ ლიდერ **გიორგი რეხვიაშვილზე** – კლუბთან კონტრაქტი ორივეს დაუსრულდა, მაგრამ ჯერ არც ერთის საკითხი არ გადაწყვეტილა. რეხვიაშვილს "ზესტაფონიც" იწვევს და დარჩენას "ოლიმპიც" სთავაზობს, მირცხულავასაც აქვს არჩევანი ევროპაში.

საერთოდ, თბილისელები დილემის წინაშე დგანან – საქართველოში გამორჩეული ყველა ფეხბურთელი კონტრაქტით არის დაკავებული, „დინამოს" კი მხოლოდ გამორჩეულთა მიწვევა სურს.

ორი ფეხბურთელი გუნდში უკვე ისინჯება - "დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელები, **სანდრო იაშვილი და ლადო ახალაია.** ეს უკანასკნელი მონდომებით ვარჯიშობს და სერიოზულ დონეზე თამაში უნდა.

იაშვილს კი „დინამო" შანსს აძლევს, ფორმა აღიდგინოს და პოტენციალი ახლა მაინც გამოავლინოს. მასთან ექვსთვიანი კონტრაქტი გაფორმდება და ხელშეკრულებას ყოველ ნახევარ წელიწადში გადახედავენ - ეს იმიტომ, რომ ბოლო წლებში არასტაბილურად თამაშობდა.

ამას გარდა, გუნდის აღმასრულებელი დირექტორის, **ზურაბ პოლოლიკაშვილის** თანაშემწედ უეფას მედია-ოფიცერი **მამუკა კვარაცხელია** დაინიშნა. კურიოზული ფაქტია: უეფაში მიღებული კაცი საქართველოში არავის სჭირდებოდა, სანამ "დინამოში" ახალი ხელმძღვანელობა არ მივიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

**საბოლოო მდგომარეობა**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 36 | 24 | 6 | 6 | 72 | 19 | 78 |
| 2 | დინამო | 36 | 21 | 9 | 6 | 55 | 22 | 72 |
| 3 | ოლიმპი | 36 | 20 | 6 | 10 | 52 | 31 | 66 |
| 4 | ტორპედო | 36 | 14 | 13 | 9 | 31 | 22 | 55 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 36 | 14 | 6 | 16 | 35 | 41 | 48 |
| 6 | ბაია | 36 | 13 | 5 | 18 | 36 | 51 | 44 |
| 7 | კოლხეთი | 36 | 10 | 10 | 16 | 25 | 47 | 40 |
| 8 | სიონი | 36 | 10 | 9 | 17 | 27 | 45 | 39 |
| 9 | სპარტაკი | 36 | 7 | 11 | 18 | 32 | 42 | 32 |
| 10 | სამტრედია | 36 | 6 | 7 | 23 | 27 | 72 | 25 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| ბელაშვილი (ზესტაფონი) | 18 |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 16 (1) |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 13 (1) |
| მეგრელაძე (ტორპედო) | 13 (2) |
| დვალი (ზესტაფონი) | 12 |

ახალი სახე


გიორგი ადამია

# პრიზი, საპრიზო და სიურპრიზი გიორგი ადამიასთვის

"ყარაბახის" შემტევმა ნახევარმცველმა გიორგი ადამიამ თავისი აზერბაიჯანული კოლექცია - 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი - მეოთხე ბრინჯაოთი შეავსო. ამას გარდა, 30 წლის თავდამხმელი 18 გოლით აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა. ჩვენი მეზობლები ფეხბურთში პრეტენზიულები გახდნენ და ამადაც სასიამოვნო ამბავია - მათ ლეგიონერები კლასის მიხედვით დაყვეს და გიორგი ხარისხიან ლეგიონერთა კატეგორიას მიაკუთვნეს.

ამას ხორვატიასთან მატჩამდელ შეკრებაზე ეროვნულ ნაკრებში თემურ ქეცბაიას მიწვევა დაემატა.

**- ნაკრებში იმ დროს გამოგიძახეს, როდესაც ყველაზე ნაკლებად ელოდი. აზერბაიჯანიდან ჩვენს ეროვნულში ფეხბურთელებს თითქმის არ იწვევდნენ, მით უფრო, 30 წლის მოთამაშეს.**

- სიმართლე გითხრათ, მართლაც მოულოდნელი და სასიამოვნო მიწვევა იყო.

**- ამის იმედი გქონდა, როდესაც აზერბაიჯანის ნაკრებში თამაშზე უარს ამბობდი?**

- რა დასამალია და, გამოძახების იმედი ყოველთვის მქონდა.

**- საქართველოს ნაკრების თამაშებს თუ უყურებდი?**

- რა თქმა უნდა. საკმაოდ ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. მიხარია, გუნდი ასე რადიკალურად რომ შეიცვალა და გაძლიერდა.

**- აზერბაიჯანში ნახევარდაცვაში თამაშობ, მაგრამ მაინც ბომბარდირი გახდი. რომელ პოზიციაზე გაყენებენ?**

- 4-3-3 განლაგებისას მარცხენა ან ცენტრალურ შემტევ ნახევარმცველად მათამაშებენ.

**- აზერბაიჯანის ჩემპიონატი საკმაოდ მოფერიანდა და მისი ბომბარდირობა პატარა საქმე არ არის.**

- ბომბარდირობა ყველა ქვეყანაში სასიამოვნო და პრესტიჟულია, მით უფრო, საკმაოდ მოლონიერებულ აზერბაიჯანის ჩემპიონატში. წლებია, აქ ვთამაშობ და ყოველ სეზონში ჩემპიონატი უკეთესი ხდება. ჩვენი მეზობლები ფეხბურთში იმხელა ფულს აბანდებენ, ეს ლოგიკურიც არის.

**- მანდ ბოლო ხანს ბევრ ცნობილ ფეხბურთელს იწვევენ, მაგრამ ქართველები კვლავ მოწინავე პოზიციებზე ხართ – ადრე კვარაცხელია, მერე მუჯირი, "სიმურგისა" და "ინტერის" ქართველები, ახლა ისევ შენ.**

- მაინც თავისებური ჩემპიონატია და, ცხადია, შეგუება სჭირდება. ზოგი ჩასული ამას ახერხებს, ზოგიც – ვერა. ქართველებისთვის კი დამკვიდრება უფრო ადვილია, რადგან ხალხი ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილია. იმიტომ, რომ ბევრი ჩვენიანი თამაშობს და უმთავრესად, გუნდების ლიდერები არიან.

**- მესამე ადგილით კმაყოფილი ხარ თუ მეტი შეგეძლოთ?**

- ჩემპიონობის შანსიც გვქონდა, მაგრამ ერთ-ერთი ლიდერი დაგვიშავდა, მეორემ თურქეთში გააგრძელა კარიერა და დავსუსტდით.

**მერაბ მამულაშვილი**

დიდი სპორტის კარიბჭესთან



## ლუკა ვარძელაშვილი

**დაიბადა** 1998 წლის 9 მარტს, თბილისში

**სწავლობს** №140 საჯარო სკოლაში

**საფეხბურთო სკოლა** "საბურთალოს" ალსაზრდელი, თავდამსხმელი

**პირველი მწვრთნელი:** კახა სხირტლაძე

**ამჟამინდელი მწვრთნელი:** ვლადიმერ მუსერიძე

**წარმატებები:** არის 13-წლამდელთა ნაკრების წევრი. სამჯერ დასახელდა საუკეთესო ფეხბურთელად, ორჯერ საუკეთესო ბომბარდირად. რიგის თასზე საუკეთესო თავდამსხმელის ტიტული აიღო.

**ჰობი:** ბავშვობიდან თამაშობს მაგიდის ჩოგბურთს

**საყვარელი ფეხბურთელი:** ლიონელ მესი

**ოცნება:** დიდი ფეხბურთი რომელიმე ტიტულოვან კლუბში ითამაშოს. მოსწონს „მილანი" და „ბარსელონა", მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდი განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს.

**სალომე ხარატიშვილი**

რეგიონი. გურია

# სამი ძმანი გურულები...

## კახა ებრალიძე გურულ ფეხბურთზე, გურიას შესაძლო სპონსორზე და ჩაწყობილ თამაშებზე

**ბოლო დროს გურულ ფეხბურთში გამოცოცხლება შეინიშნება - ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, პირველ და რეგიონულ ლიგებში ერთდროულად 5 აქაური გუნდი გამოდის, ასევე პირველად ჰყავთ ფარმკლუბები „გურიასა" და „მერცხალს". წარსულს ჩაბარდა შიდაკუთხური ქიშპობაც და, მართალია, გურული დერბები მოედანზე კვლავაც დაუნდობელია, მაგრამ სხვა მხრივ გურული ფეხბურთის მესვეურები ერთობლივად ცდილობენ რეგიონის ფეხბურთისთვის ძველი დიდების დაბრუნებას.**

**ამ ყოველივეზე გვესაუბრება გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი კახა ებრალიძე.**

**- გურულ ფეხბურთში შიდა დაპირისპირებები აღარ არსებობს, როგორ მოახერხეთ ამის გაკეთება?**

- ეს არანაირი პრობლემა არ ყოფილა - დავსხედით სამივე რაიონის ფეხბურთის მესვეურები და ვთქვით, რომ ქიშპობას ბოლო უნდა მოღებოდა. ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს, ერთად უნდა მოვახერხოთ გურიაში ფეხბურთის განვითარება. თუმცა ეს არანაირად არ ეხება სპორტულ მხარეს - თავიდანვე შევთანხმდით, რომ ჩვენ შორის თამაშები იქნებოდა ძველებურად დაუნდობელი. ამის მაგალითია ბოლო დერბიც - საკმაოდ რთულ მდგომარეობაში მყოფ „მერცხალს" მოგება ჰაერივით სჭირდებოდა, მაგრამ „გურიამ" არაფერი დაუთმო

**- რას იტყვით ჩაწყობილი თამაშების გახმაურებულ სკანდალზე - თქვენ ხომ ფედერაციის აღმასკომის წევრიც ხართ. ზოგმა თქვენი გადაწყვეტილება ზედმეტად მკაცრად შეაფასა, ბევრს კი მიაჩნია, რომ ფეხბურთელებთან ერთად კლუბებიც უნდა დასჯილიყვნენ.**

- შესაძლოა, გადაწყვეტილება მკაცრია, მაგრამ ეს პრევენციის მიზნით გაკეთდა. რაც შეეხება კლუბებს, ამის მტკიცებულება ამ დროისთვის არ გვაქვს, შესაბამისად, ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდით. გამოძიება კი, მოგეხსენებათ, გრძელდება.

**- ტელესიუჟეტებში ითქვა, რომ ფსონი „იმერეთი"-„გურიას" შეხვედრაზეც იდებოდა...**

- როგორც გავარკვიეთ, ეს იყო „გურიას" ერთადერთი შეხვედრა, რომელიც ტოტალიზატორის ნუსხაში მოხვდა. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩვენი რეგიონის კლუბების რაიმე მაქინაციაში მონაწილეობა გამორიცხულია.

**- გურიის ფეხბურთს დავუბრუნდეთ - როგორი ფინანსური მდგომარეობაა კლუბებში?**

- ჩოხატაურს გუნდი რეგიონულ ლიგაში ჰყავს, შედარებით ნაკლები ხარჯი აქვს და „ბახმაროს"ნაკლებად აქვს პრობლემები. რაც შეეხებათ „გურიასა" და „მერცხალს", გიდასტურებთ, პრობლემები არის. თუმცა ადგილობრივი ხელმძღვანელები მაქსიმალურად გვეხმარებიან და დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი დალაგდება.

**- რა ხდება ბრიტანელ სპონსორთან დაკავშირებით - როდის დაადგება „გურიას" საშველი?**

- მოლაპარაკებების პროცესში ვართ, ინვესტორის ჩამოსვლას ველით და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ.

**- ინვესტორი „გურიას" უპრობლემოდ შეიძენს?**

- მართალია, ამ წუთისთვის კლუბს ყადალა ადევს, მაგრამ ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფოსთან შეთანხმებულია, რომ ინვესტორს „გურიას" სიმბოლურ ფასად მიჰყიდიან და პრობლემა არ შეიქმნება.

**- გადასცემენ თუ არა ინვესტორს გრიგოლეთის ბაზას?**

- რა თქმა უნდა, საწვრთნელ ბაზასაც გადასცემენ, ოღონდ ერთი პირობით - კლუბს წელიწადში მილიონი ლარი უნდა დაახარჯოს. ამ საკითხზე ჩვენი გამგებელი გია გოგუაძე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ზვიად სიჭინავას არაერთხელ შეხვდა. ბატონი ზვიადისგან გურიის რეგიონი დიდ მხარდაჭერას გრძნობს. ამის დასტურია ოზურგეთის სტადიონის რეკონსტრუქცია, რომელიც ახლახან დაიწყო.

**- „გურიას" ფეხბურთელების დავალიანება აქვს, ისინი ზოგჯერ თვეების განმავლობაში ვერ იღებენ თანხას, კლუბი კი ექვსეულს არ გასცდენია...**

- ასეთი დრო, შესაძლოა, გრანდებსაც დაუდგეთ და ხელმძღვანელობის და ფეხბურთელების ვალია, გაქცევაზე კი არ იფიქრონ, არამედ კლუბს ამოუდგნენ მხარში, რათა პრობლემები ერთად დაძლიონ. ამას კი უფრო ადგილობრივები გააკეთებენ, ჩამოსულს იმავეს ვერ მოსთხოვ. ამიტომაც აქცენტს ადგილობრივებზე ვაკეთებთ.

**- დღეს უმაღლესი ლიგის გუნდებიც კი გაფიცვებს აწყობენ, ზოგს ძირითადის მოთამაშეები ტოვებენ, თქვენ როგორ ახერხებთ, რომ ფეხბურთელები ფულს ვერ იღებენ და ერთხელაც არ გასჩენიათ გაფიცვის სურვილი?**

- ამიტომაც ვუხდი მადლობას ყველა ფეხბურთელს. ამასთან, ყოველთვის გვქონდა და გვაქვს იმედი, რომ დავალიანებებს გავისტუმრებთ.


კახა ებრალიძე
ავტორის ფოტო

**- გულწრფელად გეტყვით, რომ მაოცებს „გურიას" საკადრო პოლიტიკა. კლუბი ჯერ ათზე მეტმა მოთამაშემ დატოვა, მერე სეზონის მსვლელობისას გაუშვეს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, როგორ ხდება, რომ „გურია" ლიდერებისთვისაც კი ანგარიშგასაწევი ძალაა?**

- ეს მართლაც გასაკვირია, თუმცა აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა ფეხბურთელების სწორად შერჩევამ. ძალიან გამოგვადგა ფარმკლუბი, საიდანაც რამდენიმე მოთამაშე ძირითად გუნდში გადავიყვანეთ, რამდენიმეს კიდევ დავაწინაურებთ. აი, მაგალითად, ლიდერ „გაგრასთან" მეთორმეტეკლასელი ბიჭი დავაყენეთ და მან სრულად გაამართლა ჩვენი იმედები.

**- რა იმედს აძლევთ გურულ ქომაგებს?**

- ერთ რამეს ვპირდები - „გურია" და „მერცხალი" ყოველთვის იქნებიან ანგარიშგასაწევი გუნდები. რა თქმა უნდა, ვიბრძოლებთ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი პრეზიდენტობისას ორივე მათგანი უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს და გურული დერბით გაალამაზებს ჩვენს ფეხბურთს.

**მამუკა ქანთარია**
**ლანჩხუთიდან**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVIII ტური

# სიტი დალიგდა, ცხრილი დალაგდა

ბოლო ტურში მთავარი ინტრიგა ცხრილის ქვედა ნახევარში, უფრო ზუსტად კი ფსკერზე იყო და ამიტომ გუშინდელი ამბის თხრობასაც „იქაური“ ამბებით დავიწყებთ. ჩავხედოთ საბოლოო ცხრილს, ვნახოთ ვინ გავარდა და იმის მიხედვით მოვყვეთ. ბუნებრივია, „ვესტ ჰემზე“ არ გვაქვს ლაპარაკი, „ჩაქუჩები“ უკვე გავარდნილები იყვნენ.

„ბლექპული“... გუნდი, რომლის თავკაცი **იან ჰოლოუეი**, სასწაულს ელოდა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ვერ გადაურჩა. სჭირდებოდა „იუნაიტედს“ ეს მოგება? რასაკვირველია, არა, მაგრამ ჩემპიონის „ბირმინგემიც“ — „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ ლონდონში წააგო 2:1. მოგეხსენებათ, „დეზებს“ ეს გამარჯვება სჭირდებოდათ, თორემ შეიძლებოდა „ლივერპული“ წამოსწეოდათ და ევროლიგაში გამსვლელი ადგილი წაერთმია. სხვა საქმეა, რომ მერსისაიდელებმა თავადაც წააგეს „ასტონ ვილასთან“ (რაც **კენი დალგლიშმა** კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, „წითლების“ საქმე წახდა), მაგრამ ამას „სფურზისთვის“ ბუნებრივია მნიშვნელობა არ ჰქონდა. ერთი სიტყვით, **ჰარი რედნაპის** გუნდმა მოსაგები მოიგო და... იმავე პავლიუჩენკომ მსაჯის წამატებულ წუთებში დაახლოებით 20 მეტრიდან დაარტყა და სამი ქულა „უაით ჰართ ლეინზე“ დატოვა.

გავარდნის კიდევ ერთმა კანდიდატმა „უიგანმა“ იყოჩაღა და სტოკში 1:0 მოიგო. დრამატულ შეხვედრაში გამარჯვების გოლი **უგო როდალეგამ** შეაგდო. საგოლე პასი მას **მოჰამედ დიამემ** ჩააწოდა. არადა, შეხვედრის დაწყებამდე **რობერტო მარტინესის** გუნდი ბოლოსწინა ადგილზე იყო...

„ბლექბერნზე“ გითხარით, რომ „ვულვზს“ სტუმრად მოუგო 3:2.

ზევით თუ ავიხედავთ, დავინახავთ,




რანგში, „ოლდ ტრეფორდზე“, უგულოდ თამაში თავს და საკუთარ მაყურებელს არ აკადრა.

არადა, „იუნაიტედისა“ და „ბლექპულის“ შეხვედრაში იყო ხუთწუთიანი მონაკვეთი, როდესაც სტუმრები 2:1-ს იგებდნენ. დასაფასებელი იყო, რომ ჰოლოუეიმ თავისი ბიჭები გიგანტი მოწინააღმდეგის კარზე დაგეშა — შეტევა ჰქონდა დავალებული. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თავს ზევით ძალა არ აღმოჩნდა, მაგრამ „ბლექპულმა“ გავარდნის მიუხედავად, მთელი სეზონის განმავლობაში, მართლაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

გავარდა ლიგის თასის მფლობელი „ბირმინგემი“ ერთი ლიგით დაბლა ჩააგდო.

უნდა ითქვას, რომ „ტოტენჰემს“ იოლად არ გაუმარჯვია. მეტიც, „ბირმინგემს“ რაღაც პერიოდში ჰქონდა პრემიერლიგაში დარჩენის შანსი (**რომან პავლიუჩენკოს** პირველი გოლი **კრეიგ გარდნერმა** 79-ე წუთზე გაქვითა), მაგრამ ამ დროს ვულვერჰემპტონიდან მოვიდა ცნობა, რომ მასპინძლებმა მეორე გოლი შეაგდეს (თუმც, „ბლექბერნთან“ 3:2 მაინც წააგეს) და გამოიკვეთა, რომ „ლურჯებს“ ფრე უკვე აღარ აკმაყოფილებდათ და „ტოტენჰემის“ დამარცხება სჭირდებოდათ. წავიდნენ კიდეც წინ, მაგრამ რომ „მანჩესტერ სიტიმ“ ბოლტონში 2:0 გამარჯვებით მესამე ადგილი და მომავალ სეზონში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა, „არსენალი“ კი კიდევ ერთხელ გაბითურდა — მოედანზე 10 კაცით დარჩენილ „ფულჰემთან“ რის ვაივაგლახით გადაარჩინა ქულა — 89-ე წუთზე **თეო უოლკოტმა** გაათანაბრა.

და „ჩელსი“? ლონდონელებმა ლივერპულის „გუდისონ პარკზე“ მთელი 38 წუთის განმავლობაში უმცირესობაში დარჩენილ „ევერტონთან“ წააგეს და... ვაი, შენს **კარლო ანჩელოტის**!

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### ასტონ ვილა–ლივერპული 1:0

**ასტონ ვილა** (4-5-1): ფრიდელი - უოქერი, დანი, კოლინზი, ლ. იანგი - ე. იანგი (89. ბრედლი), ს. პეტროვი, რიო-კოკერი (68. აგბონლაჰორი), დელფი (28. ოლბრაიტონი), დაუნინგი - ბენტი

**ლივერპული** (4-4-2): რეინა - ფლენაგანი, შკრტელი, კარაგერი, აურელიო - კუიტი, სპირინგი (12. შილვი), ლუკასი, ჯ. კოული (68. ნ'გოგი), მეირელეში - სუარესი

**გოლები:** 1:0 დაუნინგი (33)

**გაფრთხილება:** რიო-კოკერი, უოქერი - მეირელეში, ჯ. კოული

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 17-15; **კარში დარტყმა:** 7-8 (4-2); **თამაშგარე:** 2-5; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 42 785

### ბოლტონი–მანჩესტერ სიტი 0:2

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი - სტეინსონი, ნაითი, გ. კეჰილი, რობინსონი - ლი (76. მორენო), გარდნერი, ელმანდერი (70. კოენი), ტეილორი (76. კლასნიჩი) - კ. დევისი, სტარიჯი

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი - ბოიატა, ლესკოტი, კომპანი, საბალეტა (87. ვაბარა) - სილვა (79. მილნერი), ბერი, დე იონგი, ა. ჯონსონი (60. ჯეკო), ი. ტურე - ტევესი

**გოლები:** 0:1 ლესკოტი (43), 0:2 ჯეკო (62)

**გაფრთხილება:** კ. დევისი (ბოლტონი)

**გაძევება:** სტარიჯი (86. ბოლტონი)

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 11-10; **კარში დარტყმა:** 12-12 (4-7); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 26 285

### ევერტონი–ჩელსი 1:0

**ევერტონი** (4-5-1): ჰოვარდი - ჰიბერტი, დისტინი, ჯეგიელკა, ბეინესი - კოულმენი, როდუელი, ჰეიტინგა, ოსმანი, არტეტა (90. ტ. კეჰილი) - ბეკფორდი (80. ანიჩიბე)

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, ალექსი (70. ფერეირა), ე. კოული - ესიენი (78. მაკეჩრანი), მიკელი (61. კალუ), ლემპარდი - ანელკა, მალუდა, ტორესი

**გოლები:** 1:0 ბეკფორდი (75)

**გაფრთხილება:** ჰეიტინგა, კოულმენი, ბეინესი - ალექსი, ტორესი

**გაძევება:** კოულმენი (53-ევერტონი)

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 12-14; **კარში დარტყმა:** 8-15 (3-7); **თამაშგარე:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 38 712

### ფულჰემი–არსენალი 2:2

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი - ჰიუზი, ჰანგელანდი, სენდეროსი, ბრიგზი - დემპსი, სიდუელი, მერფი (64. ეტუჰუ), გრინინგი (64. შ. დევისი) - ზამორა (71. გერა), ა. ჯონსონი

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი - სანია, ვერმაელენი, ჯურუ, გიბზი (64. ებუე) - რემსი (63. უოლკოტი), უილშირი, დიაბი (65. არშავინი), ნასრი - შამახი, ვან პერსი

**გოლები:** 1:0 სიდუელი (26), 1:1 ვან პერსი (29), 2:1 ზამორა (56), 2:2 უოლკოტი (89)

**გაფრთხილება:** გრინინგი, სიდუელი - ვან პერსი

**გაძევება:** გერა (75-ფულჰემი)

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 11-5; **კარში დარტყმა:** 9-11 (5-5); **თამაშგარე:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 25 674

### მანჩესტერ იუნ.–ბლექპული 4:2

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-3-3): ვან დერ სარი - რაფაელი (46. სმოლინგი), ევანსი, ვიდიჩი (84. რუნი), ევრა - ფლეტჩერი, სქოულზი, ანდერსონი - ნანი, პარკი (63. ოუენი), ბერბატოვი

**ბლექპული** (4-3-3): გილკსი - ერდლი, ივეტი, ბეპტისტი, კრეინი - საუთერნი (87. ორმეროდი), ვუგანი, ადამი - ტეილორ-ფლეტჩერი (76. ვერნი), პანჩიონი (77. ფილიპსი), დ.ჯ. კემპბელი

**გოლები:** 1:0 პარკი (21), 1:1 ადამი (40), 1:2 ტეილორ-ფლეტჩერი (57), 2:2 ანდერსონი (63), 3:2 ივეტი (74. ს.კ.), 4:2 ოუენი (81)

**გაფრთხილება:** ფლეტჩერი, ოუენი - ვუგანი

**კუთხური:** 8-8; **ჯარიმა:** 9-5; **კარში დარტყმა:** 14-10 (7-5); **თამაშგარე:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 75 400

### ნიუკასლი–ვესტ ბრომვიჩი 3:3

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული - სიმპსონი, კოლოჩინი, ს. ტეილორი, ენრიკე - რ. ტეილორი, ბარტონი, გატრი (72. ბესტი), შ. ფერგიუსონი (64. ლუალუა) - ლოვენკრანდსი (70. სმიტი), ამეობი

**ვესტ ბრომვიჩი** (4-5-1): კერსონი - რიდი, ოლსონი, მეიტე (46. პაბლო), შორი - ბრანტი, მულუმბუ, შარნერი (60. ტორნი), მორისონი, ტჩოი - ფორჩუნი (72. მილერი)

**გოლები:** 1:0 ტეილორი (16), 2:0 ლოვენკრანდსი (39), 3:0 ოლსონი (47 ს.კ.), 3:1 ტჩოი (62), 3:2 ტჩოი (71), 3:3 ტჩოი (90)

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 4-8; **კარში დარტყმა:** 10-10 (6-5); **თამაშგარე:** 3-5; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 51 678

### სტოკი–უიგანი 0:1

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილკინსონი, კოლინზი, შოუკროსი, უილსონი - პენანტი, უილენი, დილეპი, ეზერინგტონი (72. უაიტჰედი) - უოლტერსი, კ. ჯონსი (78. კარეუ)

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი - ბოისი, ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა - მაკარტი, უოტსონი, დიამე - ნ'ზოგბია (90. მოზესი), როდალეგა (86. დი სანტო), სემონი (67. კლივერლი)

**გოლები:** 0:1 როდალეგა (78)

**გაფრთხილება:** ეზერინგტონი - ალკარასი, მაკარტი, ფიგეროა, ბოისი

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 9-10; **კარში დარტყმა:** 12-7 (6-5); **თამაშგარე:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 27 566

### ტოტენჰემი–ბირმინგემი 2:1

**ტოტენჰემი** (4-4-2): კუდიჩინი - კაბული, ლ. კინგი, დოუსონი, როუზი - ლენონი, ჰადლსტოუნი (83. კრანჩარი), სანდრო, მოდრიჩი - დეფო, კრაუჩი (40. პავლიუჩენკო)

**ბირმინგემი** (4-5-1): ფოსტერი - კარი, რ. ჯონსონი, კ. დევისი, რიჯუელი - ლარსონი (75. დერბიშირი), ფეჰეი, ბ. ფერგიუსონი, გარდნერი, ბიუსეჟური - ჯერომი

**გოლები:** 1:0 პავლიუჩენკო (49), 1:1 გარდნერი (79), 2:1 პავლიუჩენკო (90)

**გაფრთხილება:** ბ. ფერგიუსონი, რიჯუელი, გარდნერი, დერბიშირი (ყველა ბირმინგემი)

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 7-16; **კარში დარტყმა:** 15-7 (9-3); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 36 119

### ვესტ ჰემი–სანდერლენდი 0:3

**ვესტ ჰემი** (4-3-3): გრინი - სპენსი, გებიდონი, ტომკინსი (55. იაკობსენი), ბრიჯი - ჰიტცლშპერგერი, კოლისონი, ბოა მორტე (61. პარკერი) - სირსი, ჰაინესი (54. ობინა), პიქვიონი

**სანდერლენდი** (4-5-1): მინოლე - ბერდსლი (67. რივეროსი), ა. ფერდინანდი, ონუოჰა, კოულბეკი - ალ მუჰამადი, ზენდენი, ჰენდერსონი, სესენიონი, მოლბრანკი - ასამოა (72. კუკი)

**გოლები:** 0:1 ზენდენი (17), 0:2 სესენიონი (51), 0:3 რივეროსი (90)

**გაფრთხილება:** ბერდსლი, მოლბრანკი (ორივე სანდერლენდი)

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 8-8; **კარში დარტყმა:** 15-17 (8-12); **თამაშგარე:** 5-0; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 32 792

### ვულვზი–ბლექბერნი 2:3

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი - ფოული, მენსიენი (46. ებანკს-ბლეიკი), კრედოკი, ელოკობი - ჯერვისი, ო'ჰარა, ჰენრი (85. გუედიოურა), ჰანტი - უორდი, ფლეტჩერი (90. ბერა)

**ბლექბერნი** (4-5-1): რობინსონი - სალგადო, ფ. ჯონსი, სამბა, ჟივე - ჰოილეტი (80. პედერსენი), ჯ. ჯონსი, ემერტონი, ნზონზი, ოლსონი - რობერტსი (75. მ.ბ. დიუფი)

**გოლები:** 0:1 რობერტსი (22), 0:2 ემერტონი (38), 0:3 ჰოილეტი (45), 1:3 ო'ჰარა (73), 2:3 ჰანტი (87)

**გაფრთხილება:** ჰენრი, კრედოკი, ჰანტი - სამბა

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 13-11; **კარში დარტყმა:** 14-13 (6-9); **თამაშგარე:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 29009

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 38 | 23 | 11 | 4 | 78-37 | 80 |
| 2. ჩელსი | 38 | 21 | 8 | 9 | 69-33 | 71 |
| 3. სიტი | 38 | 21 | 8 | 9 | 60-33 | 71 |
| 4. არსენალი | 38 | 19 | 11 | 8 | 72-43 | 68 |
| 5. ტოტენჰემი | 38 | 16 | 14 | 8 | 55-46 | 62 |
| 6. ლივერპული | 38 | 17 | 7 | 14 | 59-44 | 58 |
| 7. ევერტონი | 38 | 13 | 15 | 10 | 51-45 | 54 |
| 8. ფულჰემი | 38 | 11 | 16 | 11 | 49-43 | 49 |
| 9. ასტონ ვილა | 38 | 12 | 12 | 14 | 48-59 | 48 |
| 10. სანდერლენდი | 38 | 12 | 11 | 15 | 45-56 | 47 |
| 11. ვესტ ბრომვიჩი | 38 | 12 | 11 | 15 | 56-71 | 47 |
| 12. ნიუკასლი | 38 | 11 | 13 | 14 | 56-57 | 46 |
| 13. სტოკი | 38 | 13 | 7 | 18 | 46-48 | 46 |
| 14. ბოლტონი | 38 | 12 | 10 | 16 | 52-56 | 46 |
| 15. ბლექბერნი | 38 | 11 | 10 | 17 | 46-59 | 43 |
| 16. უიგანი | 38 | 9 | 15 | 14 | 40-61 | 42 |
| 17. ვულვზი | 38 | 11 | 7 | 20 | 46-66 | 40 |
| 18. ბირმინგემი | 38 | 8 | 15 | 15 | 37-58 | 39 |
| 19. ბლექპული | 38 | 10 | 9 | 19 | 55-78 | 39 |
| 20. ვესტ ჰემი | 38 | 7 | 12 | 19 | 43-70 | 33 |

**ბომბარდირები:** 20 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი), ტევესი; 18 - ვან პერსი (არსენალი); 17 - ბენტი (ასტონ ვილა); 15 - ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი); 13 - კემპბელი (ბლექპული), ქეროლი (ლივერპული), ერნანდესი (მანჩესტერ იუნაიტედი), კუიტი (ლივერპული), მალუდა (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი).

შოტლანდია. ასოციაციის თასის ფინალი.

# ლენონის ტყვიები, ყუმბარები და თასი

### მოზერუელი–სელტიკი 0:3

**მოზერუელი** (4-4-2): რენდოლფი - განინგი, ჰემილი (72. ჯეფერსი), კრეიგანი, ჰაჩისონი - ჰეიტელი, ლესლი, ჯენინგსი, ჰამფრი - მერფი (80. ჯონსი), სატონი

**სელტიკი** (5-2-3): ფორსტერი - იზაგირე, მაისტოროვიჩი, ლუვენსი, უილსონი, მალგრიუ - სუნ-იენგი, ბრაუნი - ჰუპერი (89. მაკორტი), კომონსი (81. ფორესტი), სამარასი (68. სტოკსი)

**გოლები:** 0:1 სუნ-იენგი (32), 0:2 კრეიგანი (76-ს.კ.), 0:3 მალგრიუ (88)

**გაფრთხილება:** ლესლი, კრეიგანი - მაისტოროვიჩი, ბრაუნი, სუნ-იენგი

**მაყურებელი:** 49618

შოტლანდიის თასის ფინალი „ჰემპდენ პარკზე“ გაიმართა. „სელტიკმა“ შთამბეჭდავად სძლია „მოზერუელს“, გლაზგოელთა თავკაცმა **ნილ ლენონმა** კი პირველი ჯილდო მოიპოვა. ანგარიში კი **სუნ-იენგმა** ლამაზად გახსნა, საფინალო სასტვენამდე 16 წუთით ადრე **მარკ უილსონის** დარტყმული უიღბლო **სტივენ კრეიგანმა** აისხლიტა და საკუთარ კარში შეაგდო, 88-ეზე კი **ჩარლი მალგრიუმ** კიდევ ერთი მოხდენილი დარტყმით დაუსვა შეხვედრას წერტილი.

ეს გამარჯვება ლენონისთვის შვება იყო. მოგეხსენებათ, მან სქოთთა პრემიერლიგის ტიტულიც წააგო და ეგრეთწოდებული ლიგის თასიც — ორივე ჯილდო მთავარმა კონკურენტმა „რეინჯერსმა“ წაართვა. ასეთი წარუმატებლობით შეურაცხყოფილი გულშემატკივრები მწვრთნელს, შესაშინებლად, ფოსტით ხან ტყვიებს უგზავნიდნენ და ხან პლასტიკურ ყუმბარებს, თუმცა, ფინალის წინ სასიამოვნო ამბავიც მოხდა — „ჰემპდენს“ პატარა თვითმფრინავმა გადაუფრინა, რომელსაც ჩამოკიდებული ჰქონდა წარწერა: „ჩვენ ლენონისა გვწამს“. როგორც ჩანს ყველა ფანი მისი მოწინააღმდეგე არ არის.

მატჩის შემდეგ „სელტიკის“ თავკაცმა განაცხადა: *„ძალიან მიხარია. გავიგე, რომ ჩვენი კლუბის მთავარ მეწილე დერმოტ დესმონდს რადიოში უთქვამს, რომ ჩემთან ხანგრძლივ კონტრაქტს გააფორმებს. პირადად ჩემთან მას ამ თემაზე არ ულაპარაკია, მაგრამ ამის მოსმენა სასიხარულო იყო. ამ ადამიანს მხარში დადგომის უნიკალური ნიჭი აქვს. მან სეზონის განმავლობაში ბევრი სასარგებლო რჩევა მომცა. სასარგებლო რჩევებს მაძლევდნენ „სელტიკის“ სხვა ხელმძღვანელებიც.*

*მე ჩემი საქმე ძალიან მიყვარს. მოუთმენლად ველი ახალ გამოწვევებს და იმედიანად ვარ, რადგან ვიცი, რომ კლუბის დირექტორატი ზურგს მიმაგრებს.*

*დღეს, ჩემს გულში ორი გრძნობა ებრძვის ერთმანეთს. ერთი გახლავთ უკმაყოფილება იმის გამო, რომ შოტლანდიის პრემიერლიგის ტიტული გავუშვით ხელიდან, მეორე კი თასის მოგებით გამოწვეული სიხარულია. ახლა ამ ჯილდოს ოფისში დავიდებთ და იმედი მაქვს, რომ მას მომავალში ბევრ სხვა ტიტულსაც მივამატებთ“.*



## უცხოური ფეხბურთი

### გერმანიის თასი. ფინალი

**დუისბურგი–შალკე 0:5**

**დუისბურგი (4-2-3-1):** იელდელი - ბ. კერნი (77. ექსლაგერი), რაიხე (60. ტროიანი), ბაჟიჩი, ვეინაუ - ბანოვიჩი, სუკალო - ილმაზი, გრლიჩი, შაჰანი - შეფლერი.

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მეტცელდერი, სარპეი (43. ესკუდერო) - კლუგე (81. უჩიდა), ხურადო - ფარფანი, დრაქსლერი (72. მატიპი) - რაული, ჰუნტელაარი.

**გოლები:** 0:1 დრაქსლერი (18), 0:2 ჰუნტელაარი (22), 0:3 ჰიოვედესი (42), 0:4 ხურადო (55), 0:5 ჰუნტელაარი (70)

**გაფრთხილება:** სუკალო

**მაყურებელი:** 75 708

# ვისია, ვისია, თასი ლამაზი?

## ვისი უნდა იყოს? შალკემ დუისბურგს შავი დღე აჰყარა


შალკემ გერმანიის თასი მოიგო და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა

გერმანიის თასის გათამაშების ისტორიას 76-წლიანი ისტორია აქვს და ამ ხნის მანძილზე, ფინალში ხუთბურთიანი სხვაობა არასდროს დაფიქსირებულა. როგორც მოსალოდნელი იყო, „შალკემ“ მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელი „დუისბურგი“ დიდი ანგარიშით, 5:0 გაანადგურა - თასის ფინალისთვის ტრადიციულ ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ საყვარელი გუნდის გამარჯვება „შალკეს“ 40 000-მა ქომაგმა იზეიმა.

ყველამ იცოდა, რომ ფინალს „შალკეს“ კაპიტნის, **მანუელ ნოიერის** გამოსათხოვარი მატჩის სტატუსიც უნდა ჰქონოდა, რადგან ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ გერმანიის ნაკრების მეკარე მიუნხენის „ბაიერნში“ გადავა, მაგრამ ოფიციალური დამშვიდობება არ შედგა. ნოიერმა შეხვედრის დასრულების შემდეგ მხოლოდ ის თქვა, რომ ძალიან ბედნიერია, მან და მისმა თანაგუნდელებმა გერმანიის თასი რომ მოიგეს, ტრანსფერი კი, ოფიციალურად არა მარტო მას, არამედ საერთოდ არავის დაუდასტურებია.

გულშემატკივრები მატჩის მიწურულს ნოიერის შეცვლას ითხოვდნენ, რათა ოვაციების ფონზე გაეცილებათ, მაგრამ გელზენკირხენეთა მთავარმა მწვრთნელმა **რალფ რანგნიკმა** ნოიერი არ შეცვალა. *„გადაწყვეტილი არაფერია და რატომ უნდა მიელო დღევანდელ მატჩს ნოიერის გამოსამშვიდობებელი სალამოს სტატუსი?“* - აღნიშნა რანგნიკმა.

მოგვიანებით, მანუელს არაერთმა ტელერეპორტიორმა ჰკითხა, ბოლოს და ბოლოს, გადადიხარ თუ არა რეკორდმაისტერშიო. აი, მანუელის პასუხიც: *„არაფერი არ ვიცი და ვერც იმას გეტყვით, როდის რა გაირკვევა. მხოლოდ ის ვიცი, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. სხვას ვერაფერს გეტყვით!“*

მოკლედ, ნოიერის გამო საკმაოდ კომიკური სიტუაციაა შექმნილი: ყველამ იცის, რომ ის „ბაიერნში“ გადადის, მაგრამ ტრანსფერს არავინ ადასტურებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, საქმე იმაშია, რომ „შალკესა“ და „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს სატრანსფერო თანხაზე ვაჭრობა გაუგრძელდათ. აი, მაგალითად გერმანიის ნაკრების მწვრთნელ **იოახიმ ლიოვისთვის** ყველაფერი დღესავით ნათელია: *„მანუელი „შალკეს“ გერმანიის თასით ემშვიდობება - ეს იდეალური გამოთხოვებაა.“* გელზენკირხენული კლუბის შეფი **კლემენს ტიონიესი** კი ყველასათვის მოულოდნელად ამბობს, გამორიცხული არაა, რომ ნოიერი ჩვენთან კიდევ ერთი წლით დარჩესო. *„მანუელი ჩვენი ლიდერია და მისი გასხვისება არ არის იოლი. გამორიცხული არც ისაა, რომ ჩვენთან 2012 წლამდე დარჩეს. მოკლედ, იმ კვირაში ყველაფერი გაირკვევა. სავარაუდოდ სამშაბათს ყველას ყველაფერი ეცოდინება,“* - თქვა ტიონიესმა.

ამით კი უკვე ბევრი რამ არის ნათქვამი და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, რომ სამშაბათს დაველოდოთ, ახლა კი ფინალს დავუბრუნდეთ: არა მარტო ნოიერისთვის, გერმანიის თასი რანგნიკისთვისაც პირველი ტიტულია. მოგეხსენებათ, „პროფესორი რალფი“ გელზენკირხენულ კლუბში მარტში დაბრუნდა და მაშინ „შალკეს“ ფინალის საგზური უკვე მოპოვებული ჰქონდა. ამრიგად, რანგნიკმა პირდაპირ ფინალი მოიგო. ეს ყველაფერი რალფს კარგად ახსოვდა და ისიც გაითვალისწინა, რომ გუნდი ფინალამდე მისმა წინამორბედმა, **ფელიქს მაგათმა** გაიყვანა. შესაბამისად, პირველი ზეიმის დროს გერმანიის თასს ხელით არ შეხებია...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „შალკემ“ ეს სეზონი საბოლოო ჯამში ნორმალური შედეგით დაამთავრა. მართალია, **ლევან ყენიას** გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა, მეოთხედფინალში კი მილანის „ინტერთან“ ისტორიული გამარჯვება (5:2) იზეიმა, მაგრამ ეს წარმატება ბუნდესლიგაში მე-14 ადგილის დაკავებამ გააბათილა - შეგახსენებთ, რომ „შალკეს“ გერმანიის ჩემპიონატში ასეთი ცუდი შედეგი 17 წელია არ ჰქონია. თუმცა შაბათს ეს გელზენკირხენში კაციშვილს არ გახსენებია, რადგან „შალკემ“ თასის მოგებით ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა და ქომაგები მომავალ სეზონს იმედით ელოდებიან. გელზენკირხენელებს აღარც ის ახსოვდათ, რომ „შალკეს“ მოსისხლე მტერი დორტმუნდის „ბორუსია“ გერმანიის ჩემპიონი გახდა და გერმანიის თასზე გაცილებით მნიშვნელოვანი „ვერცხლის სინი“ მოიგო, თუმცა უკვე გაისმა პირველი მუქარაც: „შალკეს“ ფანები სკანდირებდნენ, სუპერთასი ჩვენ დაგვრჩება, „დორტმუნდს“ გავამწარებთო. გერმანიის სუპერთასის ფინალური მატჩი 23 ივლისაა დაგეგმილი: ჩემპიონ „დორტმუნდსა“ და თასის მფლობელ „შალკეს“ შორის.

„დუისბურგზე“ არაფერი გვითქვამს, თუმცა სალაპარაკო ბევრი არცაა. „ზებრები“ არსებობის ისტორიაში მეოთხედ გავიდნენ გერმანიის თასის ფინალში და მეოთხედაც დამარცხდნენ. მართალია, **ივიცა გრლიჩმა** ითამაშა, სამაგიეროდ, მოედანზე ტრავმების გამო გუნდის სხვა ლიდერები, **ბალიაკი, კოხი** და **მაიერჰოფერი** ვერ გავიდნენ. როცა მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელი ხარ და თან სამი წამყვანი ფეხბურთელი გაკლია, რა გასაკვირია, რომ ფინალში „შალკესთან“ უშანსოდ იქნები. ამიტომაც თქვა დუისბურგელთა მთავარმა მწვრთნელმა **სასიჩმა**, ჩემს გუნდს დამარცხებულს და განადგურებულს ვერ ვუწოდებ, რადგან არაერთი წამყვანი მოთამაშე გვაკლდაო.

**გოტფრიდ ლენცი**

### საფრანგეთი. ლიგა 1. XXXVII ტური

# ფრე პარიზში, ტრიუმფი საფრანგეთში

**ოსერი–ბრესტი 0:1**

**გოლი:** 0:1 ლ. ტურე (63)

**ლანსი–არლი 0:1**

**გოლი:** 0:1 კერმორგანი (44)

**ლიონი–კაენი 0:0**

**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, სისოხო, კრისი, დიაკატე, ტულალანი, კალსტრიომი, პიანიჩი (55. ბასტოსი), ედერსონი (67. პიდი), დელგადო (88. ლაკაზეტი), ლ. ლოპესი.

**მარსელი–ვალანსიენი 2:2**

**მარსელი:** მანდანდა, ფანი, მბია, დიავარა, ჰაინცე, ბენ. შეირუ, კაბორე, ა. აევუ, რემი (90. ასპილიკუეტა), ჟ. აევუ (65. ჟინიაკი), ვალბუენა (65. ლ. გონსალესი).

**გოლები:** 0:1 კადირი (33), 1:1 ა. აევუ (34), 2:1 რემი (37), 2:2 რ. გომისი (65)

**მონპელიე–მონაკო 0:1**

**გოლი:** 0:1 მუკანჯო (56)

**ნიცა–ლორიანი 2:0**

**გოლები:** 1:0 მულუნგი (1), 2:0 მულუნგი (16)

**გაძევება:** რომაო (83. ლორიანი)

**პსჟ–ლილი 2:2**

**პსჟ:** კუპე, ჟალე, ტიენე (46. არმანი), ზ. კამარა, მ. სახო, მაკელელე, ბოდმერი, ნენე, ჟიული (77. სეარა), ოარო, მევლუთი (87. ბაებეკი).

**ლილი:** ლანდრო, დებუში, ემერსონი, რამი, შეჯუ, მავუბა, ობრანიაკი (73. ფრო), კაბაიე, ჟერვინიო, აზარი (87. გუეიე), სოვი (68. ტულიო).

**გოლები:** 0:1 ობრანიაკი (5), 1:1 ოარო (45), 1:2 სოვი (60), 2:2 ბოდმერი (73)

**გაძევება:** ოარო (46)

**რენი–ნანსი 0:2**

**გოლები:** 0:1 ბ. ტრაორე (16), 0:2 ფერე (90)

**სოშო–სენტ ეტიენი 2:1**

**გოლები:** 1:0 იდეიე (5), 1:1 აუბამეიანგი (9), 2:1 იდეიე (72)

**ტულუზი–ბორდო 2:0**

**გოლები:** 1:0 სეტო (27), 2:0 კაპუე (54)

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ შაბათს "ლილი", რომელსაც ჩემპიონობაში ხელს ველარავინ უშლიდა, ტიტულს აუცილებლად გაიფორმებდა და ასეც მოხდა. **რუდი გარსიას** გუნდს ოქროს მედლებამდე ქულალა აშორებდა და ეს ამოცანა წარმატებითაც გადაჭრა, თუმდა პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში "ლილის" მდევარმა "მარსელმა" ვერ მოიგო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთპიროვნული ლიდერები ნებისმიერ შემთხვევაში გაჩემპიონდებოდნენ.

პარიზულ მატჩში "ლილის" წევრებს ნერვიულობა ოდნავადაც არ ეტყობოდათ. მათ სასურველ შედეგს ჩვეული ლაღი ფეხბურთით, ყოველგვარი ძალდატანებისა და ზედმეტი ენერგიის ხარჯვის გარეშე მიაღწიეს. "პარკ დე პრენსზე" მდევრის როლში სულ მასპინძლები იყვნენ. ჩემპიონთა ლიგაზე მოსახვედრად მებრძოლ პსჟ-ს გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროებოდა, მაგრამ "ლილმა" ამჯერადაც ჩემპიონურად ითამაშა და სიტუაციის ბატონ-პატრონი იყო.

მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში წარმართულ პირველ ტაიმს მეორე ნახევრის დებიუტში მსაჯმა სიმულაციისთვის მოედნიდან პარიზელი **ოარო** გააძევა და "სენ ჟერმენის" მისიის შესრულების ალბათობა ერთიორად შემცირდა. საბოლოოდ, ლოგიკური ფრე და ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელი მესამე ადგილის მოპოვების უპირობო ფავორიტად "ლიონი" იქცა. პსჟ-ს კი "ლილთან" ჭიდილში ზედიზედ მეორედ მოეცარა ხელი. შეგახსენებთ, პარიზელები ჩემპიონებთან რამდენიმე დღის წინ საფრანგეთის თასის ფინალშიც დამარცხდნენ.

"ლილი" კი დამსახურებულ ტიტულს ზეიმობს. გარსიას გუნდმა სეზონი თანაბრად ძლიერად ჩაატარა, გამოავლინა უმტკიცესი ხასიათი, დაძლია მცირე კრიზისი და ლიგა 1-ის მიმდინარე სეზონის საუკეთესო გუნდი ლოგიკურადაც გამოვლინდა.

რუდი გარსია: *"ეს ბრწყინვალე ისტორიაა. ჩემი ბიჭებით ყოველთვის ვამაყობდი, ახლა კი ჩემს სიამაყესა და ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ "ლილი" საფრანგეთის საუკეთესო კლუბია და აი, შრომა სათანადოდ დაგვიფასდა. გაივლის ათი, თხუთმეტი წელიწადი და კვლავაც ყველას ემახსოვრება გუნდი, რომელმაც ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა".*

წყალწაღებული "არლის" მცირეოდენ წარმატებებსაც ყურადღებას ვუთმობდით ხოლმე და ეს ტრადიცია არც ახლა დავარღვიოთ. ხუმრობა საქმე ხომ არაა, მაჩანჩალებმა სეზონში მესამე მატჩი მოიგეს, აქედან ორი – ბოლო ზედიზედ. ყოველგვარი ირონიის გარეშე უნდა ვთქვათ, "არლს" პროგრესი აქვს, მაგრამ კაი დროსია...

ზემოთ "ლიონი" ვახსენეთ და **კლოდ პიუელის** გუნდს ახლავე შეეძლო, თავის ჩემპიონთა ლიგაში დაეგულებინა, მაგრამ დედაქალაქელებისა არ იყოს, ვერც თავად ივარგა და საკუთარ მოედანზე უსახურ "კაენს" ვერაფერი დააკლო. ელიტაში დასარჩენად მებრძოლი სტუმრებისთვის კი ეს ქულა სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო.

ორი გავარდნილის ვინაობა უკვე გარკვეულია, შაბათს მონაკოელებს რომ არ ევაჟკაცათ, ქვედა ლიგის გზას დაადგებოდნენ, მაგრამ უმძიმესი მატჩი სათავისოდ დაასრულეს და მომავალ შაბათს კიდევ ერთი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გადატანა მოუწევთ. "მონაკო"-"ლიონი" ტურის მშვენება უნდა გამოდგეს. ორი ტიტულოვანი კლუბის დაპირისპირებაში ორივეს გამარჯვება სჭირდება და თავად განსაჯეთ, როგორი ბრძოლა გაჩაღდება "ლუი მეორეზე".

რაც შეეხება ბოლო ტურის სხვა პრინციპულ შეხვედრებს, ისინი მრავლადაა: გადარჩენისთვის მებრძოლი "კაენი" უმოტივაციოდ დარჩენილ "მარსელს" დაუხვდება, "ლილი" მთავარ ზეიმს "რენთან" საშინაო მატჩისას მოიწყობს, "მონაკო"-"ლიონზე" უკვე ვთქვით, "კაენისა" და "მონაკოს" კონკურენტ "ნანსის" უკვე გავარდნილი "ლანსის" დამარცხება მართებს, "ვალანსიენი" და "ნიცა" უშუალო კონკურენტები არიან, პსჟ კი მიზერული საჩემპიონთალიგო შანსის გამოყენებისთვის სენტ ეტიენში იბრძოლებს. მოკლედ, ჩემპიონი უკვე გამოვლენილია, მაგრამ ბოლო ტურს ყურადღებით უნდა მივადევნოთ თვალი, გასარკვევი კიდევ ბევრი რამაა.

ბოლოს ორი სიტყვით ლიგა 2-ზეც. ელიტაში ალზევება უკვე დაიბევა "ევიანმა", "დიჟონსაც" თავი თითქმის ქუდში აქვს, მესამე იღბლიანი კი "აიაჩო" იქნება ანაც **გიორგი მაკარიძის** "ლე მანი". უკეთესი შანსი "აიაჩოს" აქვს, რადგან ბოლო ტურის წინ "ლე მანს" ორი ქულით უსწრებს.




**ლევან ჯანეზაშვილი**

**ბოლო ტური**

29.მაისი: არლი-სოშო, ბორდო-მონპელიე, ბრესტი-ტულუზი, კაენი-მარსელი, ლილი-რენი, ლორიანი-ოსერი, მონაკო-ლიონი, ნანსი-ლანსი, სენტ ეტიენი-პსჟ, ვალანსიენი-ნიცა.К

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 37 | 20 | 13 | 4 | 65-34 | 73 |
| 2. მარსელი | 37 | 18 | 13 | 6 | 60-37 | 67 |
| 3. ლიონი | 37 | 16 | 13 | 8 | 59-40 | 61 |
| 4. პსჟ | 37 | 15 | 14 | 8 | 55-40 | 59 |
| 5. რენი | 37 | 15 | 11 | 11 | 36-32 | 56 |
| 6. სოშო | 37 | 16 | 7 | 14 | 57-42 | 55 |
| 7. ლორიანი | 37 | 12 | 13 | 12 | 45-46 | 49 |
| 8. სენტ ეტიენი | 37 | 12 | 12 | 13 | 45-46 | 48 |
| 9. ბორდო | 37 | 11 | 15 | 11 | 41-42 | 48 |
| 10. ტულუზი | 37 | 13 | 8 | 16 | 36-36 | 47 |
| 11. მონპელიე | 37 | 12 | 11 | 14 | 32-41 | 47 |
| 12. ოსერი | 37 | 9 | 19 | 9 | 43-40 | 46 |
| 13. ბრესტი | 37 | 11 | 13 | 13 | 36-41 | 46 |
| 14. ნიცა | 37 | 11 | 13 | 13 | 32-46 | 46 |
| 15. ვალანსიენი | 37 | 9 | 18 | 10 | 43-40 | 45 |
| 16. კაენი | 37 | 11 | 12 | 14 | 44-49 | 45 |
| 17. ნანსი | 37 | 12 | 9 | 16 | 39-48 | 45 |
| 18. მონაკო | 37 | 9 | 17 | 11 | 36-38 | 44 |
| 19. ლანსი | 37 | 7 | 14 | 16 | 35-54 | 35 |
| 20. არლი | 37 | 3 | 11 | 23 | 20-67 | 20 |

ბომბარდირები: 22 – სოვი (ლილი), 21 – გამეირო (ლორიანი), 17 – ელ არაბი (კაენი), 16 – ლ. ლოპესი (ლიონი).

იტალია. სერია A. XXXVIII ტური

# უდინეზე ჩემპიონთა ლიგაში!

## იუვე ევროპის ლიგასაც ვერ შესწვდა

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო - მიუხედავად მილანელთა არაერთი განცხადებისა ფეარ-პლეის პრინციპების დაცვის თაობაზე, "როსონერიმ" ნახევარი ძალით ითამაშა "უდინეზესთან", რამაც ფრიულელებს გზა გაუხსნა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისკენ. ამით იმის თქმა ნამდვილად არ გვსურს, რომ სრული მობილიზების შემთხვევაში, ლომბარდიელები აუცილებლად დაამარცხებდნენ მეტოქეს, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან გაუიოლეს ამოცანა გაცილებით უფრო მოტივირებულ მეტოქეს. ერთადერთი, ვინც სტუმართაგან თავი ბოლომდე გამოავლინა, კიპერი **მარკო ამელია** გახლდათ - "როსონერის" სათადარიგო მეკარემ საოცარი თამაში ჩაატარა და ბევრჯერ გადაარჩინა გუნდი გოლისგან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარკომ თერთმეტმეტრიანიც აილო და თანაც, აუღო ვის? - თვით **ანტონიო დი ნატალეს**, სერია A-ს 2010/2011 წლების საუკეთესო ბომბარდირს.

...ჯიახ, დი ნატალე ყველაზე ახლოს იყო გოლთან, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ფეხი აუკანკალდა და ამელიას კიდევ ერთხელ მისცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. როგორც ჩანს, ტოტოს ლიდერთათვის დამახასიათებელი სინდრომი აქვს და ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში უჭირს პენალტების გატანა. შეგვიძლია 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური ეტაპი გავიხსენოთ, რომელშიც ესპანეთმა იტალიას სწორედ თერთმეტმეტრიანების სერიაში მოუგო და მაშინაც, ტოტოს დარტყმული არაზუსტი გამოდგა. ამჯერად, დი დატოვა მოედანი. მოკლედ, უდინეში ემოციური საღამო იყო - ცოტა ცრემლები და ბევრი ზეიმი.

საინტერესო მატჩი გაიმართა ლეჩეში, სადაც ადგილობრივმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი მეორე გუნდი, "ლაციო" მიიღო. როგორც მოსალოდნელი იყო, რომაელებმა დაამარცხეს მეტოქე, მაგრამ მიზნის მისაღწევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. არადა, თამაშამდე იმედიანად იყვნენ დედაქალაქელები - **ედუარდო რეიამ** ისიც კი განაცხადა, დარწმუნებული ვარ, მილანელები თავს არ დაზოგავენ უდინეში და ჩვენს შანსებს უფრო ძვირად შევაფასებდიო. რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა და "ლაციალებს" ევროპის ლიგის საგზურით მოუწევთ დაკმაყოფილება.

ევროპის ლიგაზე მეორე რომაული გუნდიც მიიღებს მონაწილეობას, რადგან **ვინჩენო მონტელას** შეგირდებმა დაამარცხეს სერია ბ-ში გავარდნილი "სამპდორია" და მეექვსე ადგილი შეინარჩუნეს. ამ პოზიციაზე ალზევების შანსი "იუვენტუსს" ჰქონდა, მაგრამ ტურინელებმა საკუთარ კედლებში "ნაპოლისთან" გაიყვეს ქულები და მომდევნო სეზონში მხოლოდ ეროვნული ასპარეზით შემოიფარგლებიან. ტურინული თამაში ორმხრივ იერიშებში წარიმართა და მომენტებიც უხვად შეიქმნა. მათი აღწერისგან თავს არ შევაწყენთ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სამხრეთელებმა გადახალისებული შემადგენლობით ითამაშეს - თავად განსაჯეთ, შეტევის წინა ხაზზე **ვალტერ მაძარიმ ჯუზეპე მასკარა** და **კრისტიანო ლუკარელი** გაამწესა. ამ უკანასკნელმა გოლიც კი გაუტანა სის" გულშემატკივრებს მხოლოდ იმით შეუძლიათ დაიმშვიდონ თავი, რომ კლუბს ახალი მეპატრონე **რობერტო დი ბენედეტო** ჰყავს, რომელიც "რომაში" დიდძალი თანხების ჩადებას აპირებს. დი ბენედეტო დაესწრო კიდეც ბოლო ტურის შეხვედრას და ტიფოზებმა მას ოვაციებიც მოუწყვეს.

"ინტერს" კიდევ აქვს ერთი შეხვედრა დარჩენილი და თანაც ძალიან მნიშვნელოვანი, "პალერმოსთან' თასის ფინალი, თუმცა "ჯუზეპე მეაცაზე" გამართულ ბოლო ტურის პაექრობას მაინც ფეხბურთელების გულშემატკივრებთან დამშვიდობების ელფერი დაკრავდა. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო მოსაზრებით „ინტერმა" სეზონი ჩააგდო, ქომაგებმა თბილად მიიღეს გუნდი და არც ტაში დაიშურეს. ორჯერ **ჯამპაოლო პაცინიმ** გაუტანა "კატანიას", ერთხელ **ნაგატომომ**, რასაც სიცილიელებმა **ლედესმას** კინკილა გოლით უპასუხეს. საბოლოოდ, 3:1 "ინტერის" სასარგებლოდ და დამსახურებული მეორე ადგილი სატურნირო ცხრილში. ნამატჩევს **ლეონარდომ** გულშემატკივრებს გადაუხადა განსაკუთრებული მადლობა, თუმცა არც შეგირდები დაივიწყებია: *"თასის ფინალი გვაქვს წინ და ბევრისგან განსხვავებით, სეზონი ჯერ არ დაგვისრულებია. თუმცა, სერია ა დამთავრდა და ძალიან კარგია, რომ ბოლო შეხვედრაში დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვეთ. მადლობა ფეხბურთელებს, რომლებიც არც აქამდე ზოგავდნენ ძალებს და "კატანიასთანაც" ბოლომდე დაიხარჯნენ. ულრმესი მადლობა გულშემატ-*



ფრანჩესკო გვიდოლინი და ანტონიო დი ნატალე ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას ზეიმობენ

ნატალეს გაუმართლა - "მილანმა" არ მოიკლა შეტევაში თავი და შეხვედრა მასპინძელთათვის სასურველი ანგარიშით, 0:0 დასრულდა.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი აჟღერდა და მწვრთნელ-ფეხბურთელები ზეიმს მიეცნენ. **ფრანჩესკო გვიდოლინმა** დაპირებული ცეკვა შეასრულა, შემდეგ კი როგორც წესია, ხელში აიტაცეს და ჰაერშიც არაერთხელ ააგდეს. ცალკე სალაპარაკო თემაა გულშემატკივრები, რომლებმაც პირველად გაავსეს "სტადიო ფრიულის" ტრიბუნები და ისე იზეიმეს წარმატება, იფიქრებდით "უდინეზემ" სკუდეტო მოიგოო. პრინციპში, უდინური კლუბისთვის ლიგის თუნდაც საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური სკუდეტოც არის და შესაძლოა უფრო მეტიც. გვიდოლინის მსგავსად, ჰაერში **ანდრეა პირლოც** აიტაცეს, ოღონდ „მილანის" ფეხბურთელებმა და ასეთი ჟესტით გააცილეს გუნდიდან. ანდრეას "როსონერის" მცირერიცხოვანმა გულშემატკივრებმა სიმღერა უძღვნეს და ამ უკანასკნელმაც თვალცრემლიანმა პიემონტელებს და შეგვახსენა, რომ ერთ დროს მრისხანე ფორვარდი იყო. ტურინელთაგან იმათ გამოიჩინეს თავი, რომლებზეც ყველაზე ნაკლებად ამბობენ, რომ სეზონის ჩაგდებაში მიუძღვით ბრალი - პირველი **ჯორჯო კიელინიმ** შეაგდო, ხოლო მეორე **ალესანდრო მატრიმ**. რაც მთავარია, **ლუიჯი დელ ნერი** მიდის - მან უკვე განაცხადა, რომ "ნაპოლისთან" პაექრობა მისთვის ბოლო იყო "ვეკია სენიორას" მთავარი მწვრთნელის" პოსტზე. სავარაუდოდ, დელ ნერის **ანტონიო კონტე** ჩაანაცვლებს...

"რომას" მიერ "სამპდორიას" ძლევის შესახებ უკვე ვთქვით და ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ გოლები თავდამსხმელებმა: **ფრანჩესკო ტოტიმ, მირკო ვუჩინიჩმა** და **მარკო ბორიელომ** გაიტანეს. დედაქალაქელებმა 3:1-ზე დაამარცხეს მეტოქე და ევროპის ლიგაზე რიხით შეჯლიგინდნენ. მეორე საქმეა, რომ "ჯალოროსის" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ჰქონდა მიზნად დასახული და ეს შედეგი ნამდვილად ვერ ჩაითვლება წარმატებულად. "ჯალორო-*კივრებს, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში გვერდში გვიდგანან და დარწმუნებული ვარ, ასე გაგრძელდება მომავალშიც".*

ლეონარდო რომ "ინტერში" რჩებოდა, ისედაც ცხადი უყო და ამ სიტყვების შემდეგ ყველანაირი კითხვის ნიშანი მოიხსნა. **მასიმო მორატი** ენდობა ბრაზილიელს და ვნახოთ, მომდევნმო სეზონში მაინც თუ გაუმართლებს ინტუიცია. დიახ, "ინტერის" პრეზიდენტმა სწორედ ასე თქვა: ინტუიცია მკარნახობს, ლეო უნდა დარჩეს, რათა მასთან ერთად ახალი მწვერვალები დავიპყროთო. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო...

სერია A-ს 2010/2011 წლების სეზონი დასრულდა, თუმცა ის, რაც იტალიელებს ყველაზე მეტად უყვართ, სწორედ ახლა იწყება - სტატისტიკური მონაცემების შეკრება-შეჯამება, ანალიზი, თითოეული დეტალის და ნიუანსის გარჩევა. მოკლედ, სერია A დაგვემშვიდობა, თუმცა ბევრი საფიქრალი დაგვიტოვა.

**ლაშა ნიკლაური**

### ჯენოა-ჩეზენა 3:2

**ჯენოა (4-4-2):** პერინი - დაინელი (20. კალაძე), კრიშიტო, მესტო, მორეტი - მ. როსი, რაფინია (56. კუკა), ანტონელი, მილანეტო - პალასიო, ფლორო ფლორესი (61. ბოზელი).

**ჩეზენა (4-3-3):** კალდერონი - ფელიპე, ლაურო, დელაფიორე (20. პელეგრინო), სანტონი - კასერტა (46. სამარკო), პაროლო, გორობსოვი - ხიმენესი, ჯაკერინი (71. მალონია), ბოგდანი.

**გოლები:** 1:0 ფლორო ფლორესი (6), 2:0 ფლორო ფლორესი (17), 3:0 პალასიო (45), 3:1 ბოგდანი (49-პენ), 3:2 ხიმენესი (89)

**გაფრთხილება:** პერინი

**კუთხური:** 10-10; **ჯარიმა:** 6-7; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 18(7)-24(10); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 24 000

### ინტერი-კატანია 3:1

**ინტერი (4-3-1-2):** კასტელაცი - ნაგატომო, რანოკია (70. სამუელი), ლუსიო, კივუ - ხ. ძანეტი, ტ. მოტა, სტანკოვიჩი (56. მატერაცი) - ხარჯა - პაცინი, ეტო'ო (46. დ. მილიტო).

**კატანია (4-3-3):** კამპანიოლო - პ. ს. ალვარესი, პოტენცა, ტერლიცი, მარკეზე - პ. ლედესმა, კარბონი (55. ლოდი), კაპუანო (55. რიკიუტი) - სკელოტო (70. ისკო), ბერჯესიო, გომესი.

**გოლები:** 1:0 პაცინი (15), 2:0 პაცინი (48), 3:0 ნაგატომო (63), 3:1 პ. ლედესმა (66)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 7-10; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 21(6)-9(3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 58 000

### ბრეშა-ფიორენტინა 2:2

**ბრეშა (3-5-2):** არკარი - ძობოლი, ძებინა, ბეგა - ფილიპინი (77. ტასი), ძამბელი, ბაიოკო, აკარდი, დიამანტი (61. მასე ნანა) - ედერი, ჟონატასი (84. კარაჩოლო).

**ფიორენტინა (4-3-3):** ფრეი - გამბერინი, ნატალი, დე სილვესტრი, გულანი (31. კომოტო) - ვარგასი, მონტოლივო, ბეჰრამი - ბაბაკარი, მუტუ (46. ლიაიჩი), ჩერჩი (79. სეფეროვიჩი).

**გოლები:** 0:1 ვარგასი (2), 1:1 ედერი (19), 1:2 ჩერჩი (75), 2:2 აკარდი (88)

**გაფრთხილება:** ძებინა, ძობოლი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 19-11; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 16(4)-15(3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 9 500

### ბოლონია-ბარი 0:4

**ბოლონია (4-3-3):** ვივიანო - მორლეო, პორტანოვა, მორაში, კერუბინი - დელა როკა (57. მუტარელი), ეკდალი, მუდინგაი - დი ვაიო, პაპონი (46. მეჯორინი), სილიგარდი (68. ხიმენესი).

**ბარი (4-4-2):** ჟილე - ა. მასიელო, რინალდი, ბელმონტე (39. გალასო), რაჯი (82. კოდრეა) - მ. დონატი, გაცი, კოპუნეკი, ბენტივოლიო - ჰუსეკლეპი, გრანდოლფო (70. სტრამბელი).

**გოლები:** 0:1 გრანდოლფო (28), 0:2 გრანდოლფო (47), 0:3 გრანდოლფო (54), 0:4 ჰუსეკლეპი (78)

**გაფრთხილება:** მუდინგაი - რინალდი

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 19(6)-13(5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 19 000

### პალერმო-კიევო 1:3

**პალერმო (4-5-1):** სირიგუ - გოიანი, მუნოსი, კასანი, დარმაინი - მილიაჩო (53. კურტიჩი), ნოჩერინო, პასტორე, ილიჩიჩი, აკვა (31. ლივერანი) - მიკოლი (62. პინილია).

**კიევო (4-4-2):** სკუიცი - მორერო, ანდრეოლი (83. სესარი), მანტოვანი, სარდო - ფერნანდესი, დიმიტრიევიჩი (59. კონსტანტი), გუანა, ბოლიაჩინო (72. პულძეტი) - პელისიერი, მოსკარდელი.

**გოლები:** 1:0 ნოჩერინო (15), 1:1 პელისიერი (41), 1:2 კონსტანტი (67), 1:3 პულჩეტი (80)

**გაფრთხილება:** აკვა, გოიანი - ფერნანდესი, ანდრეოლი, მორერო

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 14-8; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 16(4)-17(9); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 24 000

### კალიარი-პარმა 1:1

**კალიარი (4-4-2):** აგაცი - არიაუდო (81. კეპელინი), ასტორი, კანინი, აგოსტინი (63. პერიჩო) - ნიანგოლანი, კონტი, ბიონდინი, ლაძარი - აკვაფრესკა, რაგაცუ (72. მისიროლი).

**პარმა (4-4-2):** პავარინი - ფელტშერი, ანჯელო, გობი, პაცი - მორონე (33. ზე ედუარდო), გალოპა, მოდესტო (81. დეფრელი), ვალიანი - ჯოვინკო, ბოჟინოვი (67. ფილიპე ოლივეირა).

**გოლები:** 0:1 ბოჟინოვი (34), 1:1 ფელტშერი (54-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** ანჯელო, ჯოვინკო

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 16-21; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 19(4)-7(5); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 12 000

### იუვენტუსი-ნაპოლი 2:2

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი - სალიჰამიჯიჩი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი - კრასიჩი (75. დე ჩელიე), აკვილანი, მარკიზიო, პეპე (46. ბონიპერტი) - დელ პიერო, ტონი (71. მატრი).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანკტისი - სანტაკროჩე, კრიბარი, ვიქტორ რუისი - მაჯო, გარგანო, მაიელო (67. ჰამშიკი), ძუნიგა - სოსა (53. ლავეცი), მასკარა - კ. ლუკარელი (86. არონიკა).

**გოლები:** 0:1 მაჯო (22), 1:1 კიელინი (47), 1:2 კ. ლუკარელი (70), 2:2 მატრი (84)

**გაფრთხილება:** კიელინი, მარკიზიო, ბარძალი - ვიქტორ რუისი, მასკარა, გარგანო

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 21-17; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 18(9)-8(5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 22 000

### უდინეზე-მილანი 0:0

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი - საპატა, დომიცი, ბენატია - ისლა, ინლერი, პინცი, ასამოა, არმერო - სანჩესი, დი ნატალე.

**მილანი (4-3-1-2):** ამელია (87. რომა) - აბატე, ტიაგო სილვა, იეპესი, დიდაც - ფლამინი, ვან ბომელი (46. ემანუელსონი), კ.-პ. ბოატენგი - ზეედორფი - პატო (71. რობინიო), კასანო.

*74-ე წუთზე დი ნატალემ (უდინეზე) ვერ გაიტანა პენალტი (აცილა)*

**გაფრთხილება:** ბენატია - ფლამინი, ზეედორფი, ბოატენგი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 7-13; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 15(5)-11(1); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 15 000

### რომა-სამპდორია 3:1

**რომა (4-3-2-1):** ლობონტი - როზი, ბურდისო, ლორია, რიისე - ტადეი, პეროტა (62. გრეკო), ჰიზარო - ტოტი (86. ფლორენცი), ვუჩინიჩი (73. ბაპტისტა) - ბორიელო.

**სამპდორია (4-4-2):** ჯუნიორ კოშტა - ძაური (80. კომანი), მარტინესი, ვოლტა, ციგლერი - მანინი (74. გუბერტი), ტისონე, პალომბო, ლაშკო (87. დესენა) - პოცი, ბიაბიანი.

**გოლები:** 0:1 მანინი (26), 1:1 ტოტი (30), 2:1 ვუჩინიჩი (70), 3:1 ბორიელო (86)

**გაფრთხილება:** ბურდისო - ვოლტა, მარტინესი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 12-8; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 18(5)-11(3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 33 000

### ლეჩე-ლაციო 2:4

**ლეჩე (4-4-1-1):** ბენასი - დონატი, ჯაკომაცი, ჯულიატო, ბრივიო - მუნარი, კოპოლა, ვივესი, მესბა (49. კორვია) - პიატი (49. ჩევანტონი) - დი მიკელე (54. როზატი).

**ლაციო (4-3-3):** მუსლერა - ლიხტშტაინერი (83. სკალონი), ბიავა, ანდრე დიასი, გარიდო - კ. ლედესმა, ბროკი, მაური - ერნანესი (46. გონსალესი), სარატე, როკი (64. ფლოკარი).

**გოლები:** 0:1 როკი (6), 1:1 კოპოლა (33), 1:2 სარატე (35), 2:2 პიატი (41), 2:3 სარატე (54-პენ), 2:4 ვივესი (62-საკ. კარში)

**გაძევება:** ბენასი (52. ლეჩე)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 9-5; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 16(7)-19(12); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 10 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 38 | 24 | 10 | 4 | 65:24 | 82 |
| 2. ინტერი | 38 | 23 | 7 | 8 | 69:42 | 76 |
| 3. ნაპოლი | 38 | 21 | 7 | 10 | 59:39 | 70 |
| 4. უდინეზე | 38 | 20 | 6 | 12 | 65:43 | 66 |
| 5. ლაციო | 38 | 20 | 6 | 12 | 55:39 | 66 |
| 6. რომა | 38 | 18 | 9 | 11 | 59:52 | 63 |
| 7. იუვენტუსი | 38 | 15 | 13 | 10 | 57:47 | 58 |
| 8. პალერმო | 38 | 17 | 5 | 16 | 58:63 | 56 |
| 9. ფიორენტინა | 38 | 12 | 15 | 11 | 49:44 | 51 |
| 10. ჯენოა | 38 | 14 | 9 | 15 | 45:47 | 51 |
| 11. კიევო | 38 | 11 | 13 | 14 | 38:40 | 46 |
| 12. პარმა | 38 | 11 | 13 | 14 | 39:47 | 46 |
| 13. კატანია | 38 | 12 | 10 | 16 | 40:52 | 46 |
| 14. კალიარი | 38 | 12 | 9 | 17 | 44:51 | 45 |
| 15. ჩეზენა | 38 | 11 | 10 | 17 | 38:50 | 43 |
| 16. ბოლონია | 38 | 11 | 12 | 15 | 35:52 | 42 |
| 17. ლეჩე | 38 | 11 | 8 | 19 | 46:66 | 41 |
| 18. სამპდორია | 38 | 8 | 12 | 18 | 33:49 | 36 |
| 19. ბრეშა | 38 | 7 | 11 | 20 | 34:52 | 32 |
| 20. ბარი | 38 | 5 | 9 | 24 | 27:56 | 24 |

**ბომბარდირები:** 28 - დი ნატალე (უდინეზე); 26 - კავანი (ნაპოლი); 21 - ეტო'ო (ინტერი); 20 - მატრი (იუვენტუსი); 19 - დი ვაიო (ბოლონია); 17 - პაცინი (ინტერი); 15 - ტოტი (რომა).

გოტფრიდ ლენცი

### სერია B

XXXXI ტური

**ემპოლი-ტორინო** 1:1

**გოლები:** 0:1 იუნკო (3), 1:1 ვალფიორი (49).

**ატალანტა-ჩიტადელა** 2:2

**გოლები:** 1:0 ტროესტი (21), 2:0 მარილუნგო (48), 2:1 პიოვაკარი (61), 2:2 გაბიადინი (62).

**კროტონე-გროსეტო** 0:0

**ფროზინონე-სასუოლო** 1:2

**გოლები:** 0:1 კვადრინი (12-პენ.), 1:1 ჩეზარეტი (40), 1:2 მანნელი (52).

**მოდენა-პორტოგრუარო** 3:1

**გოლები:** 1:0 გრეკო (23), 2:0 გრეკო (48-პენ.), 3:0 მაცარანი (60), 3:1 სკიავონი (77).

**პადოვა-ლივორნო** 3:2

**გოლები:** 0:1 დანილევიჩუსი (58), 1:1 პაულა (69), 2:1 კუფა (82), 2:2 დანილევიჩუსი (86), 3:2 იტალიანო (90-პენ.).

**პესკარა-ნოვარა** 1:2

**გოლები:** 0:1 ბერტანი (24), 0:2 ბერტანი (63), 1:2 სანსოვინი (78-პენ.).

**პიაჩენცა-ალბინოლეფე** 1:3

**გოლები:** 1:0 გუერა (16), 1:1 კოკო (47), 1:2 გროსი (60), 1:3 გროსი (74).

**რეჯინა-ასკოლი** 0:0

**ტრიესტინა-ვიჩენცა** 0:1

**გოლი:** 0:1 აბრუსკატო (48).

**სიენა-ვარეზე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატალანტა | 41 | 22 | 12 | 7 | 60-34 | 78 |
| 2. სიენა | 40 | 20 | 14 | 6 | 62-34 | 74 |
| 3. ნოვარა | 41 | 18 | 16 | 7 | 61-35 | 70 |
| 4. ვარეზე | 40 | 15 | 20 | 5 | 50-29 | 65 |
| 5. რეჯინა | 41 | 15 | 16 | 10 | 44-37 | 61 |
| 6. პადოვა | 41 | 14 | 17 | 10 | 61-48 | 59 |
| 7. ტორინო | 41 | 15 | 13 | 13 | 49-46 | 58 |
| 8. ემპოლი | 41 | 13 | 17 | 11 | 45-38 | 56 |
| 9. ლივორნო | 41 | 14 | 14 | 13 | 47-45 | 56 |
| 10. პესკარა | 41 | 14 | 11 | 16 | 42-45 | 53 |
| 11. ვიჩენცა | 41 | 15 | 8 | 18 | 43-53 | 53 |
| 12. მოდენა | 41 | 11 | 19 | 11 | 43-49 | 52 |
| 13. კროტონე | 41 | 12 | 15 | 14 | 42-48 | 51 |
| 14. გროსეტო | 41 | 12 | 14 | 15 | 42-49 | 50 |
| 15. ჩიტადელა | 41 | 11 | 15 | 15 | 47-52 | 48 |
| 16. სასუოლო | 41 | 12 | 12 | 17 | 39-44 | 48 |
| 17 ასკოლი | 41 | 13 | 14 | 14 | 41-48 | 46 |
| 18. ალბინოლეფე | 41 | 12 | 10 | 19 | 54-66 | 46 |
| 19. პიაჩენცა | 41 | 11 | 13 | 17 | 50-62 | 46 |
| 20. ტრიესტინა | 41 | 8 | 16 | 17 | 34-54 | 40 |
| 21. პორტოგრუარო | 41 | 10 | 10 | 21 | 37-60 | 40 |
| 22. ფროზინონე | 41 | 8 | 14 | 19 | 45-62 | 38 |

*ასკოლის დაკლებული აქვს 7 ქულა*

**ბომბარდირები:** 20 - პიოვაკარი (ჩიტადელა); 19 - ბიანკი (ტორინო); 18 - აბრუსკატო (ვიჩენცა), 17 - კაჩა (პიაჩენცა), ბონაცოლი (რეჯინა); ბერტანი (ნოვარა); 16 - კორალი (ემპოლი), კალაიო (სიენა), 15 - სუჩი (პადოვა), გონსალესი (ნოვარა).

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### კონფერენსი

პლეი ოფი

უიმბლდონი-ლუტონი 0:0 პენ. 4:3

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXXIII ტური

ბრაუნშვაიგი A-ჰამბურგი A 0:5
ხემნიცი-ლაიპციგი 1:0
კოტბუსი A-ჰერტა A 3:0
ჰალეშერი-ვოლფსბურგი A 0:2
ჰანოვერი A-მაგდებურგი 0:3
კილი-ლიუბეკი 2:2
ჰაველსე-ობერნოილანდი 6:2
თურკიემი-ვილჰელმსჰაფენი 0:2
მოისელვიტცი-პლაუენი 3:1

### რეგიონალლიგა (სამ)

XXX ტური

მემინგენი-ზონენჰოფი 0:1
ფრანკფურტი A-შტ. კიკერსი 0:2
ფიურტი A-ჰოფენჰაიმი A 1:1
კასელი-ვერდერი A 6:0
კარლსრუე A-მიუნხენი A 0:0
ვორმატია-დარმშტადტი 1:2

### რეგიონალლიგა (დას)

XXXI ტური

ტრირი-კიოლნი A 2:2
არმინია A-გლადბახი A 2:3
ბოხუმი A-ფორტუნა A 2:3
დორტმუნდი A-ელვერსბერგი 1:3
მაინცი A-ჰომბურგი 1:3
მუნსტერი-ფერლი 0:1
ლოტე-ლევერკუზენი A 1:0
ვუპერტალი-კაიზერი A 0:1

## გერმანიის თასი

### ფინალი

დუისბურგი-შალკე 0:5

## ჰოლანდია

### უეფას პლეი ოფი

1/2 ფინალი. II მატჩები

როდა-დენ ჰააგი 1:2 (2:4)
გრონინგენი-ჰერაკლესი 2:1 (2:3)

### გასავარდნი პლეი ოფი

1/2 ფინალი. II მატჩები

ცვოლე-კამბური 2:1 პენ. 7:6 (1:2)
ჰელმონდი-ვეენდამი 1:0 (3:3)
ვენლო-ვოლენდამი 2:0 (2:1)
ექსელსიორი-დენ ბოში 3:1 (3:3)

## ბელგია

### გასავარდნი პლეი ოფი

V ტური

ლომელი-ეუპენი 4:1
ვაასლანდი-მონსი 3:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონსი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-7 | 10 |
| 2. ვაასლანდი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-9 | 10 |
| 3. ლომელი | 5 | 3 | 0 | 2 | 12-8 | 9 |
| 4. ეუპენი | 5 | 0 | 0 | 5 | 5-17 | 0 |

## ბელგიის თასი

### ფინალი

სტანდარდი-ვესტერლო 2:0

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XXIX ტური

ავეში-ფეირენსე 0:2
ეშტორილი-ჟილ ვისენტე 1:3
ფატიმა-მორეირენსე 2:2
ფრეამუნდე-სანტა კლარა 1:0
ლეიქსოეში-აროუკა 0:2
პენაფიელი-ოლივეირენსე 3:2
ტროფენსე-კოვილია 2:1
ვარზიმი-ბელენენსეში 1:2

## პორტუგალიის თასი

### ფინალი

პორტუ-გიმარაეში 2:6

## შოტლანდია

### I დივიზიონი

პლეი ოფი. II მატჩი

ბრეჩინი-ეირი 1:2 (1:1)

### II დივიზიონი

პლეი ოფი. II მატჩი

ანანი-ალბიონი 2:1 (1:3)

## შოტლანდიის თასი

### ფინალი

სელტიკი-მოზერველი 3:0

## სლოვენია

XXXV ტური

პრიმორიე-მარიბორი 1:2
დომჟალე-ოლიმპია 3:0
კოპერი-პუბლიკუმი 1:0
რუდარი-ნაფტა 4:0
ტრიგლავი-გორიცა 1:0

## ავსტრია

XXXV ტური

ტიროლი-ლინცერი 1:0
კაპფენბერგი-მატერსბურგი 2:1
რაპიდი-აუსტრია 0:2 შეწყდა
ზალცბურგი-რიდი 2:2
ვინერი-შტურმი 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შტურმი | 35 | 18 | 9 | 8 | 64-32 | 63 |
| 2. ზალცბურგი | 35 | 16 | 12 | 7 | 49-29 | 60 |
| 3. აუსტრია | 34 | 16 | 10 | 8 | 60-33 | 58 |
| 4. რიდი | 35 | 15 | 10 | 10 | 49-38 | 55 |
| 5. რაპიდი | 34 | 13 | 11 | 10 | 50-38 | 50 |
| 6. ტიროლი | 35 | 13 | 11 | 11 | 42-40 | 50 |
| 7. ვინერი | 35 | 14 | 7 | 14 | 43-51 | 49 |
| 8. კაპფენბერგი | 35 | 9 | 11 | 15 | 42-59 | 38 |
| 9. მატერსბურგი | 35 | 7 | 9 | 19 | 28-55 | 30 |
| 10. ლინცერი | 35 | 3 | 10 | 22 | 21-73 | 19 |

## დანია

### II დივიზიონი

XXVIII ტური

აკადემისკი-ვეილე 2:2
სკივე-კიოგე 1:0

## დანიის თასი

### ფინალი

ნორდსილანდი-მიდტიულანდი 3:2

## ფინეთი

VI ტური

მარიეჰამნი-ჰიკ 2:0
მიუპა-ჰაკა 3:0
როვანიემი-ინტერი 3:4
იარო-ვაასა დღეს
ჰონკა-ტურკუ დღეს
იუვიასკიულა-კუოპიო დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-6 | 13 |
| 2. იუვიასკიულა | 5 | 4 | 1 | 0 | 10-5 | 13 |
| 3. ჰიკ | 6 | 4 | 0 | 2 | 8-5 | 12 |
| 4. მარიეჰამნი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-6 | 10 |
| 5. ჰონკა | 5 | 2 | 2 | 1 | 4-6 | 8 |
| 6. როვანიემი | 6 | 2 | 1 | 3 | 12-10 | 7 |
| 7. კუოპიო | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 8. ტურკუ | 5 | 2 | 0 | 3 | 7-8 | 6 |
| 9. ჰაკა | 6 | 1 | 2 | 3 | 6-12 | 5 |
| 10. იარო | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |
| 11. ვაასა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 12. მიუპა | 6 | 1 | 1 | 4 | 4-9 | 4 |

### II დივიზიონი

IV ტური

ოულუ-ლაჰტი 2:0; ჰიფკ-კემი 0:1; იიპო-ოპს 0:0; კპვ-ესპოო 4:1; პკ 35-პოპა 3:0; ჰამეენლინა-კტპ დღეს.

## საბერძნეთი

### პლეი ოფი

V ტური

ოლიმპიაკოსი (პ)-აეკ 1:0
პანათინაიკოსი-პაოკ 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოს | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 10 |
| 2. პაოკ | 5 | 3 | 0 | 2 | 6-7 | 9 |
| 3. აეკ | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 8 |
| 4. ოლიმპიაკ (პ) | 5 | 2 | 0 | 3 | 4-7 | 6 |

## ისლანდია

V ტური

ბრეიდაბლიკი-ფილკირი 3:1
სტიარნანი-რეიკიავიკი 1:1
ვალური-ფრამი 1:0
ვიკინგური-გრინდავიკი 0:0
კეფლავიკი-ვესტმანაეიარი 0:2
ტორი-ჰაფნარი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეიკიავიკი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 2. ვესტმანაეიარი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 3. ვალური | 5 | 3 | 0 | 2 | 5-3 | 9 |
| 4. სტიარნანი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-7 | 8 |
| 5. კეფლავიკი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 6. ბრეიდაბლიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-10 | 7 |
| 7. ფილკირი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 8. ვიკინგური | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| 9. ჰაფნარი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-4 | 5 |
| 10. გრინდავიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 11. ტორი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 3 |
| 12. ფრამი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-8 | 1 |

## ირლანდია

XIV ტური

ბოჰემიანსი-სტ. პატრიკსი 0:1
დერი-ბრეი 1:1
უნივერსიტი-დანდალკი 0:2
შემროკი-დროგედა 3:0
სლიგო-გალვეი 3:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შემროკი | 13 | 8 | 4 | 1 | 20-5 | 28 |
| 2. სლიგო | 14 | 8 | 2 | 4 | 21-8 | 26 |
| 3. დერი | 13 | 7 | 4 | 2 | 25-10 | 25 |
| 4. სტ. პატრიკ | 13 | 6 | 4 | 3 | 20-13 | 22 |
| 5. დანდალკი | 13 | 6 | 4 | 3 | 19-14 | 22 |
| 6. ბოჰემიანსი | 14 | 6 | 4 | 4 | 13-9 | 22 |
| 7. ბრეი | 14 | 6 | 4 | 4 | 16-15 | 22 |
| 8. უნივერსიტი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-25 | 14 |
| 9. გალვეი | 14 | 1 | 2 | 11 | 7-31 | 5 |
| 10. დროგედა | 14 | 0 | 2 | 12 | 6-29 | 2 |

### II დივიზიონი

XII ტური

ლიმერიკი-ფინ ჰარპსი 1:0; მერვუ-სოლტჰილი 0:0; შელბურნი-ლონგფორდი 1:0; უექსფორდი-კორკი 1:2; ეთლონი-უოტერფორდი 0:3.

## ნორვეგია

### II დივიზიონი

VII ტური

ჰამ კამი-ჰიონეფოსი 1:0
ასკერი-მიონდალენი 1:1
ბრინი-სტრიომენი 5:0
ლოვ ჰამი-ბოდო გლიმტი 0:1
რანდაბერგი-ნილი 3:2
რანჰაიმი-ალტა 1:0
სანდეფიორდი-ჰიოდი 1:0
სანდნესი-კონგსვინგერი 3:1

## შვედეთი

IX ტური

ჰაკენი-მალმიო 1:1
ჰელსინგბორგი-კალმარი 1:0
აიკ-გეფლე 0:2
გიოტებორგი-ტრელებორგი 1:1
ერებრო-გაის 3:1
სირიანსკა-ნორჩოპინგი 3:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგ | 9 | 6 | 2 | 1 | 12-5 | 20 |
| 2. მალმიო | 9 | 5 | 2 | 2 | 12-10 | 17 |
| 3. კალმარი | 9 | 5 | 1 | 3 | 11-8 | 16 |
| 4. გეფლე | 9 | 4 | 3 | 2 | 11-9 | 15 |
| 5. აიკ | 9 | 4 | 2 | 3 | 11-11 | 14 |
| 6. ტრელებორგ | 9 | 4 | 2 | 3 | 14-15 | 14 |
| 7. ელფსბორგი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-10 | 13 |
| 8. ერებრუ | 9 | 4 | 1 | 4 | 12-11 | 13 |
| 8. გაის | 9 | 4 | 1 | 4 | 12-11 | 13 |
| 10. ნორჩოპინგი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-14 | 13 |
| 11. ჰაკენი | 9 | 3 | 3 | 3 | 15-11 | 12 |
| 12. გიოტებორგი | 9 | 3 | 2 | 4 | 11-12 | 11 |
| 13. სირიანსკა | 9 | 2 | 2 | 5 | 8-11 | 8 |
| 14. მიალბიუ | 8 | 2 | 1 | 5 | 5-8 | 7 |
| 15. იურგორდენ | 8 | 1 | 2 | 5 | 8-12 | 5 |
| 16. ჰალმსტადი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-12 | 5 |

### II დივიზიონი

VIII ტური

სუნდსვალი-კვიდინგი 4:0; დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება.

## შვეიცარია

XXXV ტური

გრასჰოპერსი-სიონი 2:0
ლუცერნი-ციურიხი 0:5
ქსამაქსი-იანგ ბოიზი 1:2
სტ. გალენი-ბაზელი 0:0
თუნი-ბელინცონა 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 35 | 20 | 10 | 5 | 73-44 | 70 |
| 2. ციურიხი | 35 | 20 | 9 | 6 | 73-44 | 69 |
| 3. იანგ ბოიზი | 35 | 14 | 12 | 9 | 61-48 | 54 |
| 4. სიონი | 35 | 15 | 8 | 12 | 47-36 | 53 |
| 5. თუნი | 35 | 11 | 16 | 8 | 48-42 | 49 |
| 6. ლუცერნი | 35 | 13 | 9 | 13 | 62-54 | 48 |
| 7. გრასჰოპერსი | 35 | 10 | 11 | 14 | 45-52 | 41 |
| 8. ქსამაქსი | 35 | 8 | 7 | 20 | 44-67 | 31 |
| 9. სტ. გალენი | 35 | 8 | 7 | 20 | 32-63 | 31 |
| 10. ბელინცონა | 35 | 6 | 11 | 18 | 40-75 | 29 |

### ჩელენჯლიგა

XXIX ტური

არაუ-ივერდონი 2:1; კრინსი-ვილი 1:3; ლოზანა-ვადუცი 2:0; ლოკარნო-დელემონი 3:2; ლუგანო-ვოლენი 1:1; შაფჰაუზენი-ნიონე 2:3; სერვეტი-კიასო 3:0; ვინტერტური-ბილი 1:0.

## თურქეთი

### პლეი ოფი

თავსანლი-ბბ გაზიანთეფი დღეს
ორდუ-რიზე დღეს

## უელსი

### ევროპის ლიგის პლეი ოფი

ნითი-პრესტატინი 3:2

## ბელარუსი

X ტური

ტორპედო-ნემანი 2:2
ბელშინა-დნეპრი 2:2
მინსკი-ნაფტანი 1:3
გომელი-ბატე 0:0
შახტიორი-დინამო (ბ) 2:0
ვიტებსკი-დინამო (მნ) 1:3

## ბოსნია

XXIX ტური

ჩელიკი-სლობოდა 1:0
დრინა-სარაევო 0:5
ლეოტარი-ბუდუჩნოსტი 1:1
ველეჟი-სლავია 2:1
ჟვიეზდა-ოლიმპიკი 2:2
შიროკი ბრიეგი-ზრინსკი 4:1
ტრავნიკი-რუდარი 2:1
ჟელეზნიჩარი-ბორაცი 0:1

## ლატვია

IX ტური

იეგლავა-იურმალა 1:0
FC იურმალა-მეტალურგსი 1:3
ოლიმპსი-დაუგავა 0:6
გულბენე-სკონტო 1:0

## ლიტვა

VIII ტური

კლაიპედა-ბანგა 0:3
მაჟეიკიაი-შიაულიაი 0:0
კრუოია-ატლანტასი 0:0
კაუნასი-ტაურასი 1:1
დაინავა-ჟალგირისი 0:2
ეკრანასი-სუდუვა 1:0

## ბულგარეთი

XXIX ტური

აკადემიკი-ლევსკი 0:3
ბეროე-რაკოვსკი 1:1
კალიაკრა-სლივენი 2:1
ლოკომოტივი (პ)-ცსკა 4:1
ლოკომოტივი (ს)-ლოვეჩი 1:3
მინიორი-ჩერნო მორე 1:1
მონტანა-სლავია 1:0
პირინი-ჩერნომორეცი 1:1

## ხორვატია

XXX ტური

სიბალია-ისტრა 1:0
დინამო-სპლიტი 1:1
ჰაიდუკი-ლოკომოტივა 2:0
დრაგოვოლიაცი-ზაგრები 2:3
კარლოვაცი-შიბენიკი 1:1
რიეკა-ზადარი 0:2
სლავენი-ოსიეკი 2:1
ვარტექსი-ინტერი 3:0

## ჩეხეთი

XXIX ტური

ბოჰემიანსი-ტეპლიცე 1:1
ბუდეიოვიცე-სიგმა 1:0
ჰრადეცი-ლიბერეცი 1:0
იაბლონეცი-სლავია 2:2
პლზენი-ბანიკი 3:1
პრშიბრამი-ბრნო 1:0
სლოვაცკო-ბოლესლავი 1:2
უსტი-სპარტა 1:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 29 | 21 | 6 | 2 | 69-26 | 69 |
| 2. სპარტა | 29 | 21 | 2 | 6 | 51-20 | 65 |
| 3. იაბლონეცი | 29 | 16 | 7 | 6 | 61-31 | 55 |
| 4. სიგმა | 29 | 13 | 5 | 11 | 45-28 | 44 |
| 5. ბოლესლავი | 29 | 12 | 7 | 10 | 47-40 | 43 |
| 6. ბოჰემიანსი | 29 | 12 | 7 | 10 | 33-30 | 43 |
| 7. ლიბერეცი | 29 | 12 | 6 | 11 | 42-33 | 42 |
| 8. ჰრადეცი | 29 | 11 | 8 | 10 | 25-33 | 41 |
| 9. ტეპლიცე | 29 | 10 | 8 | 11 | 38-45 | 38 |
| 10. სლავია | 29 | 8 | 13 | 8 | 38-36 | 37 |
| 11. ბუდეიოვიცე | 29 | 7 | 11 | 11 | 27-45 | 32 |
| 12. ბანიკი | 29 | 7 | 9 | 13 | 31-44 | 30 |
| 13. სლოვაცკო | 29 | 8 | 6 | 15 | 26-42 | 30 |
| 14. პრშიბრამი | 29 | 7 | 7 | 15 | 20-36 | 28 |
| 15. ბრნო | 29 | 7 | 3 | 19 | 30-51 | 24 |
| 16. უსტი | 29 | 4 | 7 | 18 | 22-65 | 19 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

დუკლა-კლადნო 3:1; ტრშინეცი-ვიქტორია 1:4; ჰლუჩინი-ჟლინი 2:1; მოსტი-იჰლავა 1:0; სლოვანი-სოკოლოვი 1:1; კარვინა-ჩასლავი 5:0; ზნოიმო-სეზიმოვო 1:4.

## ესტონეთი

XII ტური

ტრანსი-ლევადია 1:1
ვილიანდი-პაიქსი 3:1
კალიუ-კურესაარე 1:1
ფლორა-პაიდე 2:1
ტამეკა-კალევი 1:4

## უნგრეთი

XXX ტური

პაპაი-კეჩკემეტი 1:1
დიოში-კაპოშვარი 2:0
მტკ-პაკში 3:4
შიოფოკი-ჰონვედი 1:3
დებრეცენი-ჰალადაში 1:2
ფერენცვაროში-ლომბარდ პაპა 3:0
ქოლნოკი-ზალაეგერსეგი 1:3
უიპეშტი-ვიდეოტონი 1:0

## ისრაელი

IV ტური

### საჩემპიონო

მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ნ) 4:1
ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ჰ) 1:1
ირონი-ჰაპოელი (თ-ა) 2:1

### გასავარდნი

აშდოდი-ჰაპოელი (რ-გ) 1:0
ბნეი შახნინი-ბეითარი 1:0
ჰაპოელი (აშ)-ჰაპოელი (ფ-თ) 0:3

## მოლდოვა

XXXVII ტური

კოსტულენი-ვიიტორული 0:3
ცსკა-სფინტული 1:3
დინამო-ოლიმპია 0:2
აკადემია-ზიმბრუ 0:2
გაგაუზია-დაჩა 0:2
ნისტრუ-შერიფი 1:3
ტირასპოლი-ისკრა 1:2

## ჩერნოგორია

XXXI ტური

ბარი-ზეტა 3:3
ლოვჩენი-მლადოსტი 2:2
გრბალი-დეჩიჩი 0:2
მოგრენი-ბუდუჩნოსტი 1:2
მორნარი-პეტროვაცი 1:0
სუტიესკა-რუდარი 2:1

## სლოვაკეთი

XXXII ტური

დუკლა-ტატრანი 3:2
ნიტრა-ტრნავა 3:2
რუჟომბეროკი-შენიცა 3:2
სლოვანი-დუბნიცა 3:1
ჟილინა-დ. სტრედა 0:0
მორავცე-კოშიცე 1:0

## პოლონეთი

XXVIII ტური

ბელხატოვი-ზაგლებე 0:2
გურნიკი-შლიონსკი 3:1
იაგელონია-კორონა 4:0
ლეგია-ვისლა 2:0
კრაკოვია-ვიძევი 1:2
არკა-პოლონია (ბ) 2:1
ლეჩია-ლეხი 2:1
რუხი-პოლონია (ვ) 0:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 28 | 16 | 5 | 7 | 41-27 | 53 |
| 2. იაგელონია | 28 | 13 | 6 | 9 | 36-28 | 45 |
| 3. ლეჩია | 28 | 12 | 7 | 9 | 36-33 | 43 |
| 4. შლიონსკი | 28 | 11 | 10 | 7 | 39-33 | 43 |
| 5. ლეგია | 28 | 13 | 4 | 11 | 36-36 | 43 |
| 6. გურნიკი | 28 | 12 | 6 | 10 | 32-39 | 42 |
| 7. ვიძევი | 28 | 10 | 10 | 8 | 40-30 | 40 |
| 8. პოლონია (ვ) | 28 | 11 | 7 | 10 | 39-26 | 40 |
| 9. ლეხი | 28 | 11 | 6 | 11 | 31-22 | 39 |
| 10. რუხი | 28 | 10 | 8 | 10 | 27-28 | 38 |
| 11. ზაგლებე | 28 | 9 | 9 | 10 | 29-34 | 36 |
| 12. ბელხატოვი | 28 | 9 | 9 | 10 | 30-33 | 36 |
| 13. კორონა | 28 | 9 | 7 | 12 | 33-44 | 34 |
| 14. არკა | 28 | 6 | 10 | 12 | 20-33 | 28 |
| 15. პოლონია (ბ) | 28 | 6 | 9 | 13 | 28-39 | 27 |
| 16. კრაკოვია | 28 | 7 | 5 | 16 | 34-46 | 26 |

## რუმინეთი

XXXIV ტური

ასტრა-ოცელული 0:1
კლუჟი-სტიაუა 1:3
ტიმიშოარა-დინამო 4:1
პანდური-ვასლუი 0:1
რაპიდი-ბრაშოვი 1:0
სპორტული-უნირეა 5:1
ტარგუ-უნივერსიტატეა (კლ) 0:2
უნივერსიტატეა (კრ)-გაზ მეთანი 1:2
ვიქტორია-გლორია 2:0

## რუსეთი

IX ტური

ტერეკი-ანჟი 1:0
ყუბანი-ნალჩიკი 1:1
რუბინი-ლოკომოტივი 0:0
ტომი-ზენიტი 2:1
როსტოვი-ამკარი 3:0
დინამო-კრილია 1:0
სპარტაკი-კრასნოდარი 4:0

## რუსეთის თასი

ფინალი

ცსკა-ალანია 2:1

## სერბეთი

XXVIII ტური

ბორაცი-ცრ. ზვეზდა 2:0
სლობოდა-მეტალაკი 0:1
სპარტაკი-სმედერევო 2:1
ჰაიდუკი-იავორი 2:0
ინდიია-ვოივოდინა 1:2
ოფკ-ბორჩა 1:0
რად-იაგოდინა 2:4
პარტიზანი-ჩუკარიჩკი 4:0

## უკრაინა

XXX ტური

არსენალი-კრივბასი 1:0
ილიჩივეცი-დინამო 3:2
კარპატი-ვორსკლა 2:2
ობოლონი-მეტალისტი 0:2
სევასტოპოლი-ტავრია 0:1
შახტარი-დნიპრო 0:0
ვოლინი-მეტალურგი (დ) 1:3
ზორია-მეტალურგი (ზ) 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 30 | 23 | 3 | 4 | 53-16 | 72 |
| 2. დინამო | 30 | 20 | 5 | 5 | 60-24 | 65 |
| 3. მეტალისტი | 30 | 18 | 6 | 6 | 58-26 | 60 |
| 4. დნიპრო | 30 | 16 | 9 | 5 | 46-20 | 57 |
| 5. კარპატი | 30 | 13 | 9 | 8 | 41-34 | 48 |
| 6. ვორსკლა | 30 | 10 | 9 | 11 | 37-32 | 39 |
| 7. ტავრია | 30 | 10 | 9 | 11 | 44-46 | 39 |
| 8. მეტალურ (დ) | 30 | 11 | 5 | 14 | 36-45 | 38 |
| 9. არსენალი | 30 | 10 | 7 | 13 | 36-38 | 37 |
| 10. ობოლონი | 30 | 9 | 7 | 14 | 26-38 | 34 |
| 11. ვოლინი | 30 | 9 | 7 | 14 | 27-49 | 34 |
| 12. ზორია | 30 | 7 | 9 | 14 | 28-40 | 30 |
| 13. ილიჩივეცი | 30 | 7 | 8 | 15 | 45-67 | 29 |
| 14. კრივბასი | 30 | 6 | 11 | 13 | 27-45 | 29 |
| 15. სევასტოპოლი | 30 | 7 | 6 | 17 | 26-48 | 27 |
| 16. მეტალურ (ზ) | 30 | 6 | 6 | 18 | 18-40 | 24 |

## ბრაზილია

I ტური

ატ. მინეირო-ატ. პარანაენსე 3:0
სეარა-ვასკო და გამა 1:3
ფლამენგო-ავაი 4:0
სანტოსი-ინტერნასიონალი 1:1
კურიტიბა-ატლეტიკო 0:1
ფიგეირენსე-კრუზეირო 1:0
გრემიო-კორინთიანსი 1:2
პალმეირასი-ბოტაფოგო 1:0
ამერიკა-ბაია გვ. დასრულდა
ფლუმინენსე-სან პაულუ გვ. დასრულდა

## აშშ

X ტური

ფილადელფია-ჩიკაგო 2:1
ჰიუსტონი-ნიუ იორკი 2:2
ჩივასი-ლოს ანჯელესი 0:1
სიეტლი-კანზასი 1:0
სან ხოსე-ნიუ ინგლენდი 2:1
პორტლენდი-კოლამბუსი 1:0
კოლორადო-ტორონტო გვ. დასრულდა
დალასი-სოლტ ლეიკი გვ. დასრულდა

## არგენტინა

XV ტური

ნიუელსი-ოლდ ბოისი 1:0
ბანფილდი-გოდოი 1:1
ტიგრე-ლანუსი 0:3
არგ. ხუნიორსი-ოლიმპო 0:1
ურაკანი-ესტუდიანტესი 0:2 შეწყდა
ინდეპენდიენტე-კოლონი 3:1
კილმესი-რასინგი 2:0
ველესი-ხიმნასია (ლ-პ) 2:0
რივერი-სან ლორენსო გვ. დასრულდა
არსენალი-ბოკა გვ. დასრულდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 15 | 9 | 3 | 3 | 29-14 | 30 |
| 2. გოდოი | 15 | 8 | 3 | 4 | 27-22 | 27 |
| 3. ლანუსი | 15 | 7 | 5 | 3 | 22-13 | 26 |
| 4. ოლიმპო | 15 | 7 | 4 | 4 | 26-20 | 25 |
| 5. ინდეპენდიენტე | 15 | 5 | 7 | 3 | 22-17 | 22 |
| 6. რასინგი | 15 | 7 | 1 | 7 | 21-18 | 22 |
| 7. არგ. ხუნიორსი | 15 | 5 | 7 | 3 | 12-9 | 22 |
| 8. რივერი | 14 | 6 | 4 | 4 | 11-10 | 22 |
| 9. ბოკა | 14 | 6 | 3 | 5 | 16-15 | 21 |
| 10. ტიგრე | 15 | 5 | 5 | 5 | 20-21 | 20 |
| 11. კოლონი | 15 | 6 | 2 | 7 | 18-22 | 20 |
| 12. სან ლორენსო | 14 | 5 | 4 | 5 | 16-12 | 19 |
| 13. ესტუდიანტესი | 14 | 5 | 4 | 5 | 14-15 | 19 |
| 14. ბანფილდი | 15 | 5 | 4 | 6 | 16-20 | 19 |
| 15. ოლ ბოისი | 15 | 5 | 4 | 6 | 11-15 | 19 |
| 16. კილმესი | 15 | 4 | 4 | 7 | 20-23 | 16 |
| 17. ხიმნასია | 15 | 3 | 6 | 6 | 15-20 | 15 |
| 18. არსენალი | 14 | 3 | 5 | 6 | 18-19 | 14 |
| 19. ურაკანი | 14 | 2 | 5 | 7 | 14-27 | 11 |
| 20. ნიუელსი | 15 | 3 | 2 | 10 | 14-30 | 11 |

## ჩილე

XVII ტური

უნ. ესპანიოლა-უნ. კონსეპსიონი 1:1
უნ. დე ჩილე-აუდაქსი 2:1
სან ფელიპე-პალესტინო 2:3
უაჩიპატო-ო'ჰიგინსი 2:1
დეპ. იკიკე-კობრესალი 1:1
ატ. ნუბლენსე-კოლო კოლო 2:3
ს. მორნინგი-კობრელოა 1:1
უონდერერსი-ლა კალერა 1:1
ლ სერენა-უნ. კატოლიკა გვ. დასრულდა

## კოლუმბია

XVIII ტური

ამერიკა-დეპ. ტოლიმა 2:3
ატ. უილა-დეპ. კალი 1:4
ატ. ხუნიორი-მილიონარიოსი 3:2
ატ. ნასიონალი-იტაგუი 3:1
კუკუტა-ჩიკო 1:0
ენვიგადო-დეპ. პერეირა 2:0
ლა ეკვიდადი-დეპ. კინდიო 1:0
ონსე კალდასი-ინდეპენდიენტე 1:0
სანტა ფე-რეალ კარტახენა 1:0

## ეკვადორი

XX ტური

დეპ. კუენსა-ლიგა დე ლოხა 1:2
ლდუ კიტო-იმბაბურა 2:0
ელ ნასიონალი-ოლმედო 2:1
ესპოლი-ინდეპენდიენტე 3:3
ემელეკი-დეპ. კიტო 0:0
მანტა-ბარსელონა გვ. დასრულდა

## პარაგვაი

XX ტური

გუარანი-ხენერალი 2:1
ლიბერტადი-3 დე ფებრერო 3:0
ლუკენო-ნასიონალი 1:3
სერო პორტენიო-სოლ დე ამერიკა 1:1
ტაკუარი-ინდეპენდიენტე 1:1
რუბიო ნუ-ოლიმპია გვ. დასრულდა

## პერუ

XIV ტური

უნივერსიტარიო-უნიონი 3:0
კოლეგიო-დ. კობრესოლი 2:2
სპორტ ბოისი-ალ. ლიმა 0:5
სპორტი-სპ. კრისტალი 3:0
დ. სან მარტინი-ინტი გასი 5:0
ლეონი-სენსიანო 4:0
ხუან აურიჩი-ს. ვალიეხო გვ. დასრულდა
მელგარ-ა. ატლეტიკო გვ. დასრულდა

## ურუგვაი

XIII ტური

ფენიქსი-ბელა ვისტა 2:2
მირამარი-ლივერპული 0:4
დანუბიო-ნასიონალი 0:1
რივერ პლეიტი-მონტევიდეო 4:2
სერო-ელ ტანკე 2:1
ტაკუარემბო-სენტრალი 2:1
რასინგი-რამპლა 3:2
დეფენსორი-პენიაროლი 1:1

## მექსიკა

### პლეი ოფი

ფინალი. II მატჩი

პუმასი-მორელია 2:1 (1:1)

## იაპონია

XII ტური

სერეზო-კავასაკი 3:3
ივატა-ფუკუოკა 4:1
იოკოჰამა-კოფუ 4:0
ნაგოია-კაშივა 0:0
ურავა-კაშიმა 2:2
გამბა-ნიიგატა 2:1
კობე-ჰიროშიმა 1:0
იამაგატა-ვეგალტა 0:1
ომიია-შიმიძუ 1:4

ესპანეთი. ლა ლიგა. ბოლო ტური

# რონალდოს პიჩიჩი და ოქროს ბუცი

## ეჰ, დეპორ, დეპორ!

„რეალის“ პორტუგალიელმა ლიდერმა **კრიშტიანო რონალდომ** ლა ლიგის ბომბარდირული თამასა ახალ მწვერვალზე ასწია, ელიტას გამოაკლდა ესპანური პირველობის ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული კლუბი, მადრიდის „ატლეტიკომ“ ერთი მცირე მიზანიც კი ვერ შეასრულა და ევროთასებზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოუწევს ჩაბმა, ჩემპიონატიდან და ფეხბურთიდან რამდენიმე დამსახურებული ვეტერანი გააცილეს - აი, ასეთი იყო ბოლო ტური რიგით მე-80 ჩემპიონატში, რომელიც




კრიშტიანო რონალდოს ბენეფისი: დუბლი და 4 საგოლე პასი

ერთობ დრამატული გამოდგა.

მაშ ასე, „ბარსელონამ“ ჩემპიონატი მოგებით დაასრულა, სტუმრად 3:1 სძლია „მალაგას“ და ცხრილში საბოლოოდ 96 ქულა დააგროვა. **ხოსეპ გვარდიოლამ** ანდალუსიაში ძირითადად ახალგაზრდული გუნდი ათამაშა და არც გაემტყუნება, ლიდერებს ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის ინახავს, რომელიც 28 მაისს „უემბლიზე“ გაიმართება. თამაში ძალზე დუნედ დაიწყო, თუმცა „ბლაუგრანას“ მაპროვოცირებელი **სება ფერნანდესის** გოლი გამოდგა, რომელმაც პინტოს 30-ე წუთზე გაუტანა. სტუმრებმა ტაიმის დამთავრებამდე გაათანაბრეს, **ბოიან კრკიჩმა** თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა.

„ბარსელონას“ **იბრაჰიმ აფელაის** გაბრწყინებამ მოაგებინა, მან 76-ე წუთზე მინი-შედევრი მოაწყო და შორეულ კუთხეში შორი მანძილიდან გაიტანა. ამის შემდეგ **დანი ალვეშის** კუთხურს **მარკ ბარტრას** თავური მოჰყვა - 1:3.

ამის შემდეგ დაიწყო მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე“, რომლის მთავარი ინტრიგა ის იყო, შეძლებდა თუ არა კრიშტიანო რონალდო ლა ლიგის რეკორდის დამხობას. მას აქამდე 38 გოლი ჰქონდა გატანილი. იმდენივე, რაც **ტელმო ზარას** და **უგო სანჩესს**. რონალდოს ამისთვის 4 წუთი დასჭირდა, **ჩაბი ალონსოს** ჩამოწოდებას, მისი გოლი მოჰყვა ახლო მანძილიდან. მაგრამ „რეალი“ ისეთი შემართებით იყო გამოსული მოედანზე, რომ საბრალო „ალმერია“ მისი გამჩერებელი არ ჩანდა. **მესუთ იოზილი, ემანუელ ადებაიორი, ქარიმ ბენზემა** და თავად რეკორდსმენი დიდებულად თამაშობდნენ. რონალდომ არაფრით მოისვენა, სანამ მე-40 გოლიც არ გაიტანა ჩემპიონატში, თანაც ბრწყინვალე სტილში შორეული დარტყმით. საბოლოოდ, პორტუგალიელის ანგარიშზე 2 გოლი და 4 საგოლე პასია! ჰეთ თრიკი შეასრულა ადებაიორმა, დუბლი - ბენზემამ. ერთი გოლიც შეცვლაზე შესულმა დებიუტანტმა **ხოსელუმ** გაიტანა - 8:1 „რეალის“ სასარგებლოდ. თამაშის მიწურულს „რეალის“ ფეხბურთელებმა დერეფანი მოუწყვეს გუნდის ვეტერან მეკარე **ირუი დუდეკს**, რომელმაც საფეხბურთო კარიერა დაასრულა.

გავარდნის „შანსი“ 6 გუნდს ჰქონდა და მათ შორის იყო „დეპორტივოც“, რომელიც შინ „ვალენსიას“ მასპინძლობდა. მიუხედავად იმისა, რომ „ღამურებს“ ეს მოგება არაფერში სჭირდებოდათ, მათ სპორტულ პრინციპს არ უღალატეს და **არიც ადურისისა** და **რობერტო სოლდადოს** გოლების წყალობით დაამარცხეს „რიასორზე“ „დეპორი“ - 2:0. სხვა თამაშები ისე დასრულდა, რომ გალისიური გრანდი პრიმერადივიზიონს დაემშვიდობა. ესპანეთის ჩემპიონატის არსებობის განმავლობაში „დეპორტივოს“ ელიტაში 80-დან მხოლოდ 2 სეზონი არ გაუტარებია. კლუბი ერთხელ ესპანეთის ჩემპიონი გახდა (1999-2000 წლების სეზონში), ხუთჯერ გავიდა მეორე ადგილზე, თასი 2-ჯერ მოიგო, 2004 წელს კი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალს უწია.

აი, ასე გავარდა **ბებეტოს, მაურო სილვას, რივალდოს, ალვარო არბელოას, ხოან კაპდევილას, ლუის სუარესის, არმანსიოს, სილვენ ვილტორის, სესარ სამპაიოს, ჟაკ სონგოოს, ხოსე ემილიო ამავისკას, მიროსლავ ჯუკიჩის, ნურედინ ნაიბეტის, როი მაკაის** და სხვა ვარსკვლავთა ყოფილი კლუბი.

„სარაგოსამ“ თავი გავარდნისგან ვალენსიაში იხსნა, სადაც ადგილობრივ „ლევანტეს“ მოუგო. სხვათა შორის, გავარდნის შესაძლო კანდიდატებისგან ვერც „მალიორკამ“ და „ხეტაფემ“ მიაღწიეს მიზანს, მაგრამ „დეპორტივოს“ არ გაუმართლა.

ევროპის ლიგის მონაწილე სამივე გუნდმა მოიგო - „სევილიამ“, „ბილბაომ“ და „ატლეტიკომ“ - ერთნაირი ქულები დააგროვეს, ეს კი „ატლეტიკოს“ არ აწყობდა **კიკე ფლორესის** გუნდი დარჩა მე-7 ადგილზე, რის გამოც ზაფხულში შვებულების შემცირება მოუწევს - ევროპის ლიგაზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან უნდა ჩაერთოს.

- *ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ: „ბარსელონა“, „რეალი“ და „ვალენსია“.*
- *ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ითამაშებს „ვილიარეალი“.*
- *ევროპის ლიგის პლეი ოფში ითამაშებენ „სევილია“ და „ბილბაო“.*
- *ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს „ატლეტიკო“.*
- *პრიმერადივიზიონიდან დაქვეითდნენ: „დეპორტივო“, „ერკულესი“ და „ალმერია“.*
- *უკვე ცნობილია პრიმერადივიზიონის ორი საგზურის მფლობელი: „ბეტისი“ და „რაიო ვალეკანო“.*
- *კრიშტიანო რონალდომ 40 გოლით მოიპოვა „პიჩიჩი“ და ევროპის „ოქროს ბუცი“.*
- *ზამორას პრიზი მოიპოვა **ვიქტორ ვალდესმა**.*
- *პრიმერადივიზიონში ყველაზე მეტი საგოლე პასი ლიონელ მესიმ შეასრულა - 18.*

### მალაგა-ბარსელონა 1:3

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო (86. არნაუ) - გამესი, სტადსგაარდი, ველიგტონი, ელიზეუ - აპონიო (69. პორტილიო), ნაჩო კამაჩო - ს. ფერნანდესი, მარესკა, დუდა (69. ს. სილვა) - ხუანმი.

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - ბარტრა, ფონტასი, აბიდალი (71. პედრო), მაქსველი - ტ. ალკანტარა, ს. რობერტო, ადრიანო (58. დანი ალვეში) - აფელაი, კრკიჩი, ხეფრენი (67. მასკერანო).

**გოლები:** 1:0 ს. ფერნანდესი (31), 1:1 კრკიჩი (43-პენ), 1:2 აფელაი (75), 1:3 ბარტრა (84)

**გაფრთხილება:** აპონიო, ელიზეუ, გამესი - აბიდალი, ალვეში

**კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 10-8; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 13-18 (4-8); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 28 500

### ერკულესი-სპორტინგი 0:0

**ერკულესი (4-3-3):** ალბა - კორტესი, პასი (46. ხუანრა), პამარო, პენია - ფარინოსი, აგილარი, ტ. გომეში - კიკო (46. რუფეტე), ტრეზეგე (67. სენდოა), პორტილიო.

**სპორტინგი (4-2-3-1):** რაული - სასტრე, ხორხე, გრეგორი, კანელია - ლორა, ს. ალვარესი - მორანი, ნაჩო კასესი (63. მუნისი), აიოსე (64. ნაჩო ნოვო) - ბარალი (78. პოვესი).

**გაფრთხილება:** პორტილიო

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 10-9; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 17-9 (4-2); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 27 000

### რეალი-ალმერია 8:1

**რეალი (4-3-3):** დუდეკი (77. ხესუსი) - სერხიო რამოსი, პეპე, ალბიოლი, არბელოა - იოზილი, ჩაბი ალონსო, კაკა (60. გრანერო) - ადებაიორი, ბენზემა (84. ხოსელუ), რონალდო.

**ალმერია (4-2-3-1):** ესტებანი - ხუანმა ორტისი, კ. გარსია, მ. სილვა, ლუნა - პელერანო (81. ხოსე ორტისი), ბერნარდელო - პიატი, კორონა, კრუსატი (60. ვარგასი) - კალუ უჩე (81. გოიტომი).

**გოლები:** 1:0 რონალდო (4), 2:0 ადებაიორი (31), 2:1 უჩე (32), 3:1 ბენზემა (47), 4:1 ადებაიორი (51), 5:1 ბენზემა (63), 6:1 ადებაიორი (72), 7:1 რონალდო (77), 8:1 ხოსელუ (87)

**გაფრთხილება:** ჩ. ალონსო - ხუანმა ორტისი

**კუთხური:** 15-6; **ჯარიმა:** 11-11; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 27-6 (13-1); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 60 000

### რასინგი-ბილბაო 1:2

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - პინილიოსი (54. კენედი), ენრიკე, ტორეხონი, კრისტიანი - ფრანსისი, ციოლისი, ლასენი, მუნიტისი (76. სისმა) - როზენბერგი (68. ი. ბოლადო), ჯ. დოს სანტოსი.

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ამორებიეტა, კასტილიო - დ. ლოპესი (88. გურპეგი), ორბაისი, ხ. მარტინესი, მუნიაინი (84. გაბილონდო) - ფ. ლორენტე, ტოკერო (73. ი. გომესი).

**გოლები:** 0:1 დ. ლოპესი (19), 0:2 ფ. ლორენტე (20), 1:2 კენედი (88)

**გაფრთხილება:** ლასენი, ენრიკე, ფრანსისი

**გაძევება:** ფრანსისი (73)

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 18-9 (6-7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 16 000

### ლევანტე-სარაგოსა 1:2

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, როდასი, ბალესტეროსი (72. რობუსტე), სერა - ხ. ტორესი, პალიარდო - მუნიოსი (60. ხორდა), რ. სუარესი (55. ველინგტონი), მონტერო - სტუანი.

**სარაგოსა (4-2-3-1):** ლეო ფრანკო - დიოგო, იაროშიკი, დ. სილვა, პარედესი - პონსიო, გაბი - ლაფიტა, ანდერი (72. ბერტოლო), ბუტაჰარი (64. ხ. ლოპესი) - უჩე (55. ბრაულიო).

**გოლები:** 0:1 გაბი (38), 0:2 გაბი (72), 1:2 სტუანი (79)

**გაფრთხილება:** პალიარდო, მუნუა, სტუანი, ტორესი, რობუსტე - გაბი, ბრაულიო, დიოგო, პარედესი

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 3-20 (2-10); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 23 000

### რეალ სოსიედადი-ხეტაფე 1:1

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, დემიდოვი, დე ლა ბელა - რივასი (85. ელუსტონდო), არანბურუ - ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა (46. სუტილი), გრიზმანი (69. ბერგარა) - ტამუდო.

**ხეტაფე (4-2-3-1):** უსტარი - მ. ტორესი, კატა დიასი, მარიო (46. მანე), მარკანო - ბოატენგი, ვ. სანჩესი - რიოსი, ალბინი (71. პარეხო), მანუ (82. კასკერო) - მიკუ.

**გოლები:** 0:1 კატა დიასი (9), 1:1 სუტილი (65)

**გაფრთხილება:** მარიო

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 8-12; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 12-8 (7-1); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 30 000

### დეპორტივო-ვალენსია 0:2

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაურე, ლოპო, კოლოტო, მანუელ პაბლო - ხ. როდრიგესი, რ. პერესი - ადრიანი, ვალერონი, გუარდადო (81. ლასადი) - რიკი (66. ხისკო).

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - ბრუნო, დ. ნავარო, დეალბერტი, ალბა - ალბელდა, მ. ტოპალი - ხოაკინი, ბანეგა (60. ტ. კოსტა), მატა (71. ჟონასი) - ადურისი (81. სოლდადო).

**გოლები:** 0:1 ადურისი (4), 0:2 სოლდადო (94)

**გაფრთხილება:** პერესი - სესარი

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 6-22; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 28-12 (6-6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 34 000

### ოსასუნა-ვილიარეალი 1:0

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - დამია, სერხიო, ფლანიო, მონრეალი - პუნიალი, ნეკუნამი (71. სორიანო) - სეხუდო (86. კალეხა), პანდიანი (61. ვადოცი), კამუნიასი - კიკე სოლა.

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - მარიო, ტომასი, კატალა, კაპდევილა - ბ. ვალერო (80. ინსა), სენა (54. ვაკასო), ბრუნო, კასორლა (63. მატილია) - მ. რუბენი, როსი.

**გოლი:** 1:0 სეხუდო (41)

**გაფრთხილება:** პუნიალი - ვალერო, ბრუნო

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 21-10; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 14-4 (6-3); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 19 500

### მალიორკა-ატლეტიკო 3:4

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი (46. ჟოაო ვიქტორი), ნუნიეში, რამისი, აიოსე - ტეხერა (53. კასტრო), მარტი - ნსუე (71. ვიქტორი), დე გუზმანი, პერეირა - ვებო.

**ატლეტიკო (4-2-3-1):** დე ხეა - ვალერა, პულიდო, უიფალუში, ფილიპე ლუიში - მ. სუარესი (68. ასუნსაო), ტიაგო - ხუანფრანი (82. რ. გარსია), რეიესი, კოკე - აგუერო (84. ელიასი).

**გოლები:** 0:1 აგუერო (12), 0:2 ხუანფრანი (18), 0:3 აგუერო (52), 1:3 დე გუზმანი (62-პენ), 2:3 ვებო (71), 2:4 აგუერო (81), 3:4 ვებო (92)

**გაფრთხილება:** აიოსე - პულიდო, ვალერა, გარსია

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 17-7; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 25-12 (14-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 14 500

### ესპანიოლი-სევილია 2:3

**ესპანიოლი (4-2-3-1):** ალვარესი - გალანი, ამატი, რ. როდრიგესი, ჩიკა - ხ. ლოპესი, ვერდიუ (78. დე ლა პენია) - ლ. გარსია, ი. ალონსო (57. რუი ფონტე), ა. ვასკესი (67. კალეხონი) - ოსვალდო.

**სევილია (4-4-2):** ვარასი - კასერესი, ს. სანჩესი, ესკუდე, დაბო - ალფარო, მედელი (88. ფასიო), რომარიკი, ლ. ალბერტო (71. რენატო) - კანუტე, ნეგრედო.

**გოლები:** 0:1 ნეგრედო (2), 0:2 კანუტე (46), 1:2 ოსვალდო (54), 1:3 ნეგრედო (62), 2:3 ვერდიუ (72)

**გაფრთხილება:** მედელი

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 7-14; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 15-5 (7-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 38 | 30 | 6 | 2 | 95-21 | 96 |
| 2. რეალი | 38 | 29 | 5 | 4 | 102-33 | 92 |
| 3. ვალენსია | 38 | 21 | 8 | 9 | 64-44 | 71 |
| 4. ვილიარეალი | 38 | 18 | 8 | 12 | 54-44 | 62 |
| 5. სევილია | 38 | 17 | 7 | 14 | 62-61 | 58 |
| 6. ბილბაო | 38 | 18 | 4 | 16 | 59-55 | 58 |
| 7. ატლეტიკო | 38 | 17 | 7 | 14 | 62-53 | 58 |
| 8. ესპანიოლი | 38 | 15 | 4 | 19 | 46-55 | 49 |
| 9. ოსასუნა | 38 | 13 | 8 | 17 | 45-46 | 47 |
| 10. სპორტინგი | 38 | 11 | 14 | 13 | 35-42 | 47 |
| 11. მალაგა | 38 | 13 | 7 | 18 | 54-68 | 46 |
| 12. რასინგი | 38 | 12 | 10 | 16 | 41-56 | 46 |
| 13. სოსიედადი | 38 | 14 | 3 | 21 | 49-66 | 45 |
| 14. ლევანტე | 38 | 12 | 9 | 17 | 41-52 | 45 |
| 15. სარაგოსა | 38 | 12 | 9 | 17 | 40-53 | 45 |
| 16. ხეტაფე | 38 | 12 | 8 | 18 | 49-60 | 44 |
| 17. მალიორკა | 38 | 12 | 8 | 18 | 41-56 | 44 |
| 18. დეპორტივო | 38 | 10 | 13 | 15 | 31-47 | 43 |
| 19. ერკულესი | 38 | 9 | 8 | 21 | 36-60 | 35 |
| 20. ალმერია | 38 | 6 | 12 | 20 | 36-70 | 30 |

**ბომბარდირები:** 40 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 31 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 20 - სერხიო აგუერო (ატლეტიკო), ალვარო ნეგრედო (სევილია); 18 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), დავიდ ვილია (ბარსელონა), ჯუზეპე როსი (ვილიარეალი), რობერტო სოლდადო (ვალენსია); 15 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 14 - სალომონ რონდონი (მალაგა); 13 - პაბლო ოსვალდო (ესპანიოლი), პედრო როდრიგესი (ბარსელონა), ფელიპე კაისედო (ლევანტე); 12 - ფრედერიკ კანუტე (სევილია), დავიდ ტრეზეგე (ერკულესი).

### სეგუნდადივიზიონი

XXXX ტური

**გრანადა-ვილიარეალი B 3:0**

გოლები: 1:0 ი. ლოპესი (4), 2:0 კოლანტესი (17), 3:0 იგალო (44)

**ვალიადოლიდი-ხიმნასტიკი 1:0**

გოლი: 1:0 გუერა (50)

**სალამანკა-კარტახენა 2:0**

გოლები: 1:0 ხუანხო (44), 2:0 მ. მარკესი (69)

**პონფერადინა-კორდობა 3:0**

გოლები: 1:0 იური (13), 2:0 საისარი (72), 3:0 ფ. სუარესი (90)

**ლას პალმასი-ნუმანსია 0:0**

**უელვა-ალკორკონი 0:0**

**ხირონა-ბარსელონა B 0:2**

გოლები: 0:1 ტებარი (13 ს.კ.), 0:2 ბენხა (82)

**სელტა-ელჩე 2:2**

გოლები: 1:0 ტუნესი (33), 1:1 კრისტობალი (36), 2:1 დე ლუკასი (64), 2:2 ანხელი (85)

**ბეტისი-უესკა 3:1**

გოლები: 1:0 მოლინა (3), 2:0 რ. კასტრო (56-პენ), 2:1 კამაჩო (72-პენ), 3:1 მოლინა (86)

გაძევება: კორონა (85)

**ალბასეტე-ტენერიფე 1:2**

გოლები: 0:1 ნინო (31-პენ), 1:1 ტატო (42), 1:2 ალვარესი (76)

**რაიო ვალეკანო-ხერესი 3:0**

გოლები: 1:0 ტრეხო (49), 2:0 არმენტეროსი (82), 3:0 სუსაეტა (86)

გაძევება: მორენო (44. ხერესი), ამაია (65. ვალეკანო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 40 | 24 | 7 | 9 | 80-40 | 79 |
| 2. ვალეკანო | 40 | 22 | 10 | 8 | 67-43 | 76 |
| 3. გრანადა | 40 | 18 | 12 | 10 | 68-44 | 66 |
| 4. ელჩე | 40 | 17 | 14 | 9 | 48-38 | 65 |
| 5. ბარსელონა B | 40 | 18 | 11 | 11 | 77-59 | 65 |
| 6. სელტა | 40 | 16 | 16 | 8 | 58-41 | 64 |
| 7. ვალიადოლიდი | 40 | 18 | 9 | 13 | 63-50 | 63 |
| 8. ალკორკონი | 40 | 17 | 6 | 17 | 54-47 | 57 |
| 9. ხერესი | 40 | 16 | 9 | 15 | 57-59 | 57 |
| 10. კარტახენა | 40 | 16 | 8 | 16 | 46-56 | 56 |
| 11. უელვა | 40 | 12 | 19 | 9 | 44-35 | 55 |
| 12. ხირონა | 40 | 14 | 12 | 14 | 56-51 | 54 |
| 13. ნუმანსია | 40 | 16 | 5 | 19 | 59-61 | 53 |
| 14. უესკა | 40 | 12 | 16 | 12 | 37-42 | 52 |
| 15. ლას პალმასი | 40 | 12 | 15 | 13 | 55-69 | 51 |
| 16. კორდობა | 40 | 12 | 13 | 15 | 55-61 | 49 |
| 17. ვილიარეალი B | 40 | 14 | 6 | 20 | 40-61 | 48 |
| 18. ხიმნასტიკი | 40 | 11 | 12 | 17 | 34-43 | 45 |
| 19. სალამანკა | 40 | 13 | 6 | 21 | 43-61 | 45 |
| 20. ტენერიფე | 40 | 9 | 10 | 21 | 41-64 | 37 |
| 21. პონფერადინა | 40 | 5 | 17 | 18 | 34-61 | 32 |
| 22. ალბასეტე | 40 | 6 | 11 | 23 | 31-61 | 29 |

**ბომბარდირები:** 28 - სორიანო (ბარსელონა B); 25 - გუერა (ვალიადოლიდი); 24 - რ. კასტრო (ბეტისი), გეიხო (გრანადა); 21 - ქუინი (ალკორკონი); 20 - არმენტეროსი (რაიო ვალეკანო).

პორტუგალია. თასის ფინალი

# პორტუს ჰეთ თრიკი

### გიმარაეში-პორტუ 2:6

**გოლები:** 0:1 როდრიგესი (3), 1:1 პერეირა (21 ს.კ.), 1:2 ვარელა (22), 2:2 ედგარი (23), 2:3 როლანდო (36), 2:4 ჰალკი (43), 2:5 როდრიგესი (45), 2:6 როდრიგესი (73)

**ანდრე ვილას ბოასის** „პორტუმ“ ამ სეზონში ჰეთ-თრიკი შეასრულა: ევროპის ლიგას და დაუმარცხებლად მოგებულ ჩემპიონატს, ამ გუნდმა პორტუგალიის თასიც დაუმატა, თანაც მეტოქე გიმარაეშის „ვიტორია“ გაანადგურა - 6:2. მოკლედ, ერთადერთი ტიტული, რისი მოგებაც „პორტუს“ შეეძლო და ეს ვერ გააკეთა ქვეყნის ლიგის თასია, რომელიც ლისაბონის „ბენფიკას“ დარჩა.

33 წლის სპეციალისტმა პირველივე სეზონში მიაღწია ფანტასტიკურ შედეგს და საყოველთაო აღიარებას. ფინალში, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე გაიმართა „პორტუს“ უპირატესობას აშკარაც კი არ ეთქმოდა, კიდევ უფრო მეტი, „გიმარაეშმა“ პირველი ნახევარი საათი გაიბრძოლა, ორჯერ გაათანაბრა, მაგრამ ტაიმის მიწურულს ერთბაშად 3 გოლი გაუშვა და „პორტუმ“ პირველი ნახევარი 5:2 მოიგო. საბოლოო ჯამში **ჯეიმს როდრიგესმა** ჰეთ თრიკი შეასრულა, „პორტუმ“ კი 6:2 მოიგო.




ჯეიმს როდრიგესი ფინალის გმირია

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# უცხოური ფეხბურთი

## ამერიკა (ბელუ-ორიზონტი)

დაარსდა: 30. IV. 1912
სტადიონი: „მელაო" (45 000)
მწვრთნელი: მაურო ფერნანდესი

**ტიტული:**

კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: ტოსტაო, ბრიტო, ჟილბერტო სილვა
გუნდის ცნობადი სახეები: ანდერსონ კლებერი, ეულერი
წინა სეზონი: IV ადგილი ბრაზილიის II ლიგაში

## ატლეტიკო გოიანენსე (გოიანია)

დაარსდა: 2. IV. 1937
სტადიონი: „სერა დურადა" (50 000)
მწვრთნელი: პაულო სეზარ გუსმაო

**ტიტული:**

კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები:
წინა სეზონი: XVI ადგილი

## ატლეტიკო მინეირო (ბელუ ორიზონტი)

დაარსდა: 25. III. 1908
სტადიონი: „არენა დო ჟაკარე" (25 000)
მწვრთნელი: დორივალ ჟუნიორი

**ტიტული:**

ბრაზილიის ჩემპიონი (1971), „კომნებოლის თასის" („სუდამერიკანას თასის) ორგზის მფლობელი — 1992, 1997
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: ტონინო ცერეზო, ედერი, ლუიზინიო, პაოლო ისიდორო, რეინალდო
გუნდის ცნობადი სახეები: დანი კარვალიო, ამანტინო მანსინი
წინა სეზონი: XIII ადგილი

## ატლეტიკო პარანენსე (კურიტიბა)

დაარსდა: 21. III. 1924
სტადიონი: „არენა და ბაიშადა" (28 000)
მწვრთნელი: ადილსონ ბატისტა

**ტიტული:**

ბრაზილიის ჩემპიონი (2001)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები:
გუნდის ცნობადი სახეები: კლებერსონი, კლებერ სანტანა
წინა სეზონი: V ადგილი

## ავაი (ფილორიანოპოლისი)

დაარსდა: 1. X. 1923
სტადიონი: „რესაკადა" (19 000)
მწვრთნელი: პაულო სილასი

**ტიტული:**

კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები
გუნდის ცნობადი სახეები: სავიო, კაიო
წინა სეზონი: XV ადგილი

## ბაია (სალვადორი)

დაარსდა: 1. I. 1931
სტადიონი: „პიტუაჩუ (32000)
მწვრთნელი: რენე სიმოეში (17. XII. 1952)

**ტიტული:**

ბრაზილიის ჩემპიონი (1988), ბრაზილიის თასი (1959)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: დანი ალვეში, სერჟინიო
წინა სეზონი: III ადგილი ბრაზილიის II ლიგაში

## ბოტაფოგო (რიო დე ჟანეირო)

დაარსდა: 1. VII. 1894
სტადიონი: „ენჟენიაო" (47000)
მწვრთნელი: კაიო ჟუნიორი (8.III. 1965)

**ტიტული:**

ბრაზილიის ჩემპიონი (1968, 1995), საკონტინენტთაშორისო თასი (1967, 1968, 1970)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: დიდი, გარინჩა, ჟერსონი, ჟაირზინიო, ნილტონ სანტოსი, ზაგალო, კარლოს ალბერტო, ამარილდო, ბებეტო, ალემაო.
გუნდის ცნობადი სახეები: ჟეფერსონი, არევალო რიოსი, სებასტიან აბრეუ (ორივე-ურუგვაი)
წინა სეზონი: VI ადგილი

## გრემიო (პორტუ ალეგრე)

დაარსდა: 15. IX. 1903
სტადიონი: „ოლიმპიკო" (45000)
მწვრთნელი: რენატო გაუჩო (9. IX. 1962)

**ტიტული:**

ლიბერტადორესის თასი (1983, 1995), სულამერიკანას თასი (1996), ბრაზილიის ჩემპიონი (1981, 1996), ბრაზილიის თასი (1989, 1994, 1997, 2001)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: რონალდინიო, რენატო გაუჩო
გუნდის ცნობადი სახეები: ვიქტორი, ფაბიო როშემბაკი, როდოლფო, კარლოს ალბერტო
წინა სეზონი: IV ადგილი

## ვასკო და გამა (რიო დე ჟანეირო)

დაარსდა: 21. VIII. 1898
სტადიონი: „სან იანუარიო" (20000)
მწვრთნელი: რიკარდო გომეში (13. XII. 1964)

**ტიტული:**

ბრაზილიის ჩემპიონი (1974, 1989, 1997, 2000), ლიბერტადორესის თასი (1998)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: რომარიო, ედმუნდო, რობერტო („დინამიტი"), ვავა
წინა სეზონი: XI ადგილი

## კურიტიბა (კურიტიბა)

დაარსდა: 12. X. 1909
სტადიონი: „კოუტუ პერეირა" (37 000)
მწვრთნელი: მარსელო ოლივეირა

**ტიტული:**

ბრაზილიის ჩემპიონი (1985)
გუნდის ცნობადი სახეები: ანდერსონ აკინო
წინა სეზონი: I ადგილი ბრაზილიის II ლიგაში

---

**ბრაზილიის ჩემპიონატი. სერია A**

# რონალდინიო, ფალკაო და... აკინო

ევროპაში საფეხბურთო სეზონი, ფაქტობრივად, დამთავრდა, სამაგიეროდ ორი დღის წინ სტარტი აიღო ერთობ საინტერესო გათამაშებამ — ბრაზილიის ჩემპიონატმა. გათამაშებაში 20 გუნდი მონაწილეობს და ორწრიანი ტურნირი დეკემბრის დასაწყისამდე გრძელდება. პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები „ლიბერტადორესის თასის" საგზურს იღებენ, ისე როგორც ბრაზილიის თასის მფლობელი, ხოლო V-XII ადგილზე გასული გუნდები კი „სუდამერიკანას თასის" საგზურის მფლობელნი ხდებიან. უმაღლესი ლიგიდან ოთხი გუნდი ვარდება და მათ ნაცვლად სერია A-დან ასევე ოთხი გუნდი შემოდის.

ბრაზილიის ჩემპიონატი მეტად საინტერესო ტურნირია და ეს ინტერესი მნიშვნელოვნად განაპირობა ამ ქვეყნის წამყვანი კლუბების ფინანსურმა მოლონიერებამ. ანუ, ოთხი-ხუთი წლის წინ თუ ფაქტობრივად, ყველა ბრაზილიელ ფეხბურთელს ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა, რომ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ევროპაში წასულიყო, ახლა პირიქით არის. „ფლამენგო", „ფლუმინენსე", „ინტერნასიონალი", „კორინთიანსი", „სანტოსი", „კრუზეირო", „გრემიო", „სან პაულუ", „პალმეირასი," „ბოტაფოგო", — ბრაზილიური საკლუბო ფეხბურთის ეს გრანდები ფინანსურად ისე მომძლავრდნენ, რომ ევროპის წამყვან გუნდებში მოასპარეზე ცნობილ თანამემამულეებს მართლაც ზღაპრულ პირობებს სთავაზობენ და სამშობლოში აბრუნებენ. ეს ტენდენცია ორი-სამი წლის წინ დაიწყო, როცა ბრაზილიაში დაბრუნდნენ და იქაური ჩემპიონატის დონის ამაღლებას ხელი შეუწყვეს: **რონალდომ, რობერტო კარლოსმა, ადრიანომ, ფრედმა, ვაგნერ ლავმა, დეკუმ.** ეს პროცესი ახლაც გრძელდება და ბრაზილიის წლევანდელ ჩემპიონატში ევროპამოვლილი რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი იასპარეზებს: **რონალდინიო, ლუიშ ფაბიანუ, სავიო, ელანო, ლინკოლნი.** ბრაზილიის ჩემპიონატში ცალკე საუბრის თემაა სამწვრთნელო საკითხი: მსოფლიოში სხვაგან არსად არის, როცა სეზონის განმავლობაში, სულ მცირე, 40-50 სამწვრთნელო გადაადგილება ხდება-ხოლმე! ანუ, ფაქტობრივად, ყოველ სეზონში ერთმა და იმავე მწვრთნელმა, შესაძლოა, სამი-ოთხი კლუბიც გამოიცვალოს; თანაც, ხშირ შემთხვევაში კლუბის პრეზიდენტებს საერთოდ აღარ „ახსენდებათ" ამა თუ იმ მწვრთნელის მიღწევები და საკმარისია გუნდმა ორი-სამი მატჩი ვერ მოიგოს, მაშინათვე ახალი მწვრთნელის მოძებნას იწყებენ. კონკრეტული მაგალითის მოყვანაც შეგვიძლია: **მურისი რამალიოს** ხელმძღვანელობით „სან პაულუმ" ზედიზედ სამჯერ (2006, 2007, 2008 წლებში) მოიპოვა ბრაზილიის ჩემპიონობა, მაგრამ 2009 წელს მესამე ადგილზე გასვლა არ აპატიეს და გაათავისუფლეს. რამალიომ შარშან „ფლუმინესე" ჩაიბარა, წინა სეზონში გავარდნას ძლივს რომ გადაურჩა და რიო დე ჟანეიროს ეს პოპულარული კლუბი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ ჩემპიონი გახადა. თუმცა, რამალიოს „ფლუმინენსედანაც" წამოსვლამ მოუწია და ამჯერად ბრაზილიის ყველაზე ტიტულოვან კლუბში, „სანტოსში" მოღვაწეობს. სხვათა შორის, „სანტოსი" ერთადერთი ბრაზილიური კლუბია, „ლიბერტადორესის თასის" გათამაშებას რომ შემორჩა (ნახევარფინალშია გასული) და ამას გარდა, ბრაზილიის ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტიც არის. გამოცდილი ნახევარმცველის, 29 წლის ელანოს დამატებით სანტოსის" შანსები კიდევ უფრო გაზარდა, თუმცა ამ გუნდის საბოლოო შედეგი დიდად იქნება დამოკიდებული სამ ახალგაზრდა ვარსკვლავზე: 21 წლის **განსო,** 22 წლის **კეირისონი** და 19 წლის **ნეიმარი** ხომ წამყვანი ევროპული კლუბების სამიზნე გახლავან. „სანტოსი" ვახსენეთ და ბარემ სხვა გუნდების შანსებზეც ვისაუბროთ. ბრაზილიაში უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „ფლუმინენსეს" ტიტულის შენარჩუნება გაუჭირდება: 33 წლის **დეკუ** და 27 წლის **ფრედი** ურიგო ფეხბურთელები არ არიან, მაგრამ კონკურენტებს ბევრად უფრო ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ. უპირველეს ყოვლისა, ბრაზილიელთა „სახალხო გუნდი" და ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბი „ფლამენგო" უნდა ვახსენოთ, სადაც 31 წლის რონალდინიოს გაბრწყინებას ელოდებიან. სხვათა შორის, „ფლამენგომ" 2009 წელს ჩემპიონობა მოიპოვა, შარშან კი მხოლოდ ბოლო ტურში გადაწყვიტა სერია A-ში დარჩენის საკითხი და ეს, ახალი მწვრთნელის, 59 წლის გამოცდილი სპეციალისტის **ვანდერლეი ლუქსემბურგოს** დამსახურება იყო. თუმცა, ეს ცნობილი მწვრთნელი (ბრაზილიის ნაკრებშიც უმუშავია, „რეალშიც") , სხვადასხვა დროს ხუთჯერ რომ გამხდარა ბრაზილის ჩემპიონი, „ფლამენგოში" მხოლოდ მოკრძალებული მიზნებისათივს არ მიუწვევიათ. ისე როგორც 62 წლის **ლუიშ ფელიპე სკოლარი** — ბრაზილიის და პორტუგალიის ნაკრებების, აგრეთვე „ჩელსისა" და... უზბეკური „ბუნიოდკორის" ყოფილი მწვრთნელი „პალმეირასში" დაბრუნდა, სადაც 1999 წელს ყველა საკლუბო ტიტული მოიპოვა. „პალმეირასის" მსგავსად ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება „სან პაულუც": 63 წლის **პაულო სეზარ კარპეჯანიმ**, თავის დროზე „ფლამენგოსთან" ერთად საკონტინენტთაშორისო თასიც მოიგო, ლიბერტადორესის თასიც და ბრაზილიის ჩემპიონობაც. მაგრამ იმ დროს „ფლამენგოში" **ზიკო** ბრწყინავდა, ახლა კი „სან პაულუს" წარმატებული ასპარეზობა ბევრად იქნება დამოკიდებული ახალწვეულის, 30 წლის ფორვარდის **ლუიშ ფაბიანუს** საგოლე ალღოსა და 18 წლის უნიჭიერესი ნახევარმცველის **ლუკასის** თამაშზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ „სან პაულუს" ორი ცნობილი ვეტერანიც ჰყავს: 39 წლის **რივალდო** და 38 წლის **როჟერიო სენი.** ეს უკანასკნელი ხომ, საერთოდ, მოვლენაა ფეხბურთის ისტორიაში: ამპლუით მეკარეს კარიერის განმავლობაში 101 გოლი აქვს გატანილი!

საჩემპიონო დავაში აუცილებლად ჩაერევიან „კრუზეირო", „კორინთიანსი", „გრემიო", თუმცა, „სანტოსის", „სან პაულუსა " და „ფლამენგოს" შანსები უფრო მეტია, ისე როგორც კიდევ ერთი ფავორიტ გუნდისა: პორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალი" ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და წარმატებული ბრაზილიური კლუბია (თანაც, „ინტერნასიონალი" უფრო მეტ წარმატებას საერთაშორისო სარბიელზე აღწევს). „ინტერნასიონალის" ლიდერებად კი... არგენტინელი ფეხბურთელები უნდა მივიჩნიოთ: 30 წლის **ანდრეს დ'ალესანდრო,** 26 წლის **მარიო ბოლატი** (ორივე - ნახევარმცველი) და 27 წლის **ფერნანდო კავენაგი.** თუმცა, ამ კლუბის გულშემატკივრები ყველაზე დიდ იმედს ახალ მწვრთნელს უკავშირებენ: 16-წლიანი პაუზის (!) შემდეგ სამწვრთნელო კარიერა განაახლა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბრაზილის ნაკრების ლეგენდარულმა ნახევარმცველმა **ფალკაომ!** 57 წლის ფალკაო ფეხბურთელობის დროს 8 სეზონი სწორედ „ინტერნასიონალში" ასპარეზობდა. შემდეგ კი ხუთი წლის განმავლობაში „რომას" უდავო ლიდერი გახლდათ.

... ისე, ალბათ, წერილის დასაწყისშივე უნდა გვეთქვა, რომ ბრაზილიის ჩემპიონატმა, ასე ვთქვათ, თანამედროვე ფორმატის სახე მხოლოდ 2003 წლიდან მიიღო; მანამდე კი ეს იყო მრავალსაფეხურიანი ჩემპიონატი და... ოლიმპიური სისტემით ტარდებოდა. ეგ კი არა, 1971 წლამდე ბრაზილიაში საერთო ჩემპიონატი არ ტარდებოდა: რიო დე ჟანეიროს გუნდები საკუთარ პირველობას („კარიოკა") ატარებდნენ, ისე როგორც ამ ქვეყნის სხვა შტატებიც: „პაულისტა", „მინეირო", „გაუშუ", „ბაიანო". ერთი პერიოდი ისეც ხდებოდა, რომ ბრაზილიის თასი, ფაქტობრივად, ჩემპიონატად ითვლებოდა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2003 წლიდან სისტემა დაიხვეწა და ერთიანი ჩემპიონატიც ტარდება.

დაბოლოს, ბრაზილიის ახლანდელი ჩემპიონატის ერთ, მართლაც, განსაკუთრებულ მონაწილეზეც: ხანმოკლე პაუზის მერე სერია A-ში აღზევებული „კურიტიბას" შემადგენლობაში ჩვენთვის კარგად ნაცნობი, 25 წლის **ანდერსონ აკინო** იასპარეზებს! შეგახსენებთ, რომ აკინომ 2009-10 წლების სეზონი საქართველოში, კერძოდ, „ოლიმპში" გაატარა და უდიდესი წვლილი შეიტანა რუსთაველთა ჩემპიონობაში. აკინომ „ოლიმპის" შემადგენლობაში 31 მატჩი ჩაატარა და 26 გოლი გაიტანა — ამ მართლაც ჩინებული შედეგით კი საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა...

მასალა მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**



რონალდინიო

---

## ინტერნასიონალი (პორტუ ალეგრე)

დაარსდა: 4. IV. 1909
სტადიონი: „ბეირა-რიო" (56000)
მწვრთნელი: [illegible]

**ტიტული**

ბრაზილიის ჩემპიონი (1975, 1976, 1979), ლიბერტადორესის თასი (2006, 2010), სუდამერიკანას თასი (2008), კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპონი (2006).
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: ფალკაო, მაურო გალვაო, ვალდომირო, სერხიო გოიკოეჩეა, კარლოს გამარა, რობერტო აბონდანასიერი, ელის ფიგეროა, რუბენ პასი
გუნდის ცნობადი სახეები: მარიო ბოლატი, ანდრეს დ'ალესანდრო, ფერნანდო კავენაგი (სამივე-არგენტინა), ტინგა, ლეადრო დამიაო, რაფაელ სობისი, ანდრეზინიო.
წინა სეზონი: VII ადგილი

## კორინთიანსი (სან პაულუ)

დაარსდა: 1. IX. 1910
სტადიონი: „პაკაემბუ" (38 000)
მწვრთნელი: ტიტე (25. V. 1961)

**ტიტული**

ბრაზილიის ჩემპიონი (1990, 1998, 1999, 2005), ბრაზილიის თასი (სამჯერ), კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი (2000)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: რიველინო, სოკრატესი, დეკუ, რივალდო, რონალდო, რობერტო კარლოსი, მასკერანო, ტევესი, რინკონი, კასაგრანდე, ზე მარია, მარკუს სენა.
გუნდის ცნობადი სახეები: ლიედსონი, დანილო, მოასირი, დენტინიო, ადრიანო.
წინა სეზონი: III ადგილი

## კრუზეირო (ბელუ ორიზონტი)

დაარსდა: 2. I. 1921
სტადიონი: „არენა დო ჟაკარე" (25000)
მწვრთნელი: კუკა

**ტიტული**

ბრაზილიის ჩემპიონი (1966, 2003), ლიბერტადორესის თასი (1976, 1997), სუდამერიკანას თასი (1991, 1992), რეკოპას თასი (1998), ბრაზილიის თასი (ოთხჯერ).
გუნდის ცნობადი სახეები: ფაბიო, ჟილბერტო, ენრიკე
წინა სეზონი: II ადგილი

## პალმეირასი (სან პაულუ)

დაარსდა: 26. VIII. 1914
სტადიონი: „პაკაემბუ" (38 000)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

**ტიტული:**

ბრაზილიის ჩემპიონი (1960, 1967, 1969, 1972, 1973, 1993, 1994), ლიბერტადორესის თასი (1999)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: რივალდო. ზინიო, ედმილსონი, სეზარ სამპაიო, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი
გუნდის ცნობადი სახეები: მარკოსი, სისინიო, ლინკოლნი, მარკოს ასუნსიო, ვალდივია, დინეი
წინა სეზონი: X ადგილი

## სან პაულუ (სან პაულუ)

დაარსდა: 25. X. 1930
სტადიონი: „მორუმბი" (67 428)
მწვრთნელი: პაულუ სეზარ კარპეჯანი

**ტიტული**

ბრაზილიის ჩემპიონი (1977, 1986, 1991, 2006, 2007, 2008), კომნებოლის თასი (1994), ლიბერტადორესის თასი (1992, 1993, 2005), საკონტინენტთაშორისო თასი (1992, 1993), კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი (2003)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: რაი, როჟერიო სენი, ჟულიო ბაპტიშტა, სილასი, მიულერი, კარეკა, კაკა.
გუნდის ცნობადი სახეები: როჟერიო სენი, მირანდა, რივალდო, ლუკასი, კლებერ სანტანა, ლუიშ ფაბიანუ, ფერნანდინიო, ფერნანდაო.
წინა სეზონი: IX ადგილი

## სანტოსი (სანტოსი)

დაარსდა: 14. IV. 1912
სტადიონი: „ვილა ბელმირო" (20 120)
მწვრთნელი: მურისი რამალიო

**ტიტული**

ბრაზილიის ჩემპიონი (1961, 1962, 1963, 1964, 1965, 1968, 2002, 2004), ლიბერტადორესის თასი (1962, 1963), კომნებოლის თასი (1968, 1998), საკონტინენტთაშორისო თასი (1962, 1963), რეკოპას თასი (1964)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: პელე, კლოდოალდო, ლეონარდო, რობინიო, დიეგო
გუნდის ცნობადი სახეები: ელანო, განსო, ნეიმარი, კეირისონი, ედუ დრასენა, ლეო.
წინა სეზონი: VIII ადგილი

## სეარა (ფორტალეზა)

დაარსდა: 2. VI. 1914
სტადიონი: „დომინგაო" (10 500)
მწვრთნელი: ვაგნერ მანსინი

**ტიტული**

კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: ჟოსიმარი
წანი სეზონი: XII ადგილი

## ფიგეირენსე (ფლორიანოპოლისი)

დაარსდა: 12. VI. 1921
სტად: „ორლანდო სკარპელი" (19 808)
მწვრთნელი: ჟორჟინიო

**ტიტული:**

წინა სეზონი: II ადგილი ბრაზილიის II ლიგაში

## ფლამენგო (რიო დე ჟანეირო)

დაარსდა: 15. XI. 1895
სტადიონი: „ენჟენაო" (47000)
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუქსემბურგო

**ტიტული:**

ბრაზილიის ჩემპიონი (1980, 1982, 1983, 1987, 1992, 2009), ლიბერტადორესის თასი (1981), საკონტინენტთაშორისო თასი (1981), კომნებოლის თასი (1996), მერკოსურის თასი (1999)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: ზიკო, ჟუნიორი, ვაგნერ ლავი, ადრიანო.
გუნდის ცნობადი სახეები: რონალდინიო, ტიაგო ნევესი, პეტკოვიჩი, დეივიდი.
წინა სეზონი: XIV ადგილი

## ფლუმინენსე (რიო დე ჟანეირო)

დაარსდა: 21. VII. 1904
სტადიონი: „ენჟენაო" (47000)
მწვრთნელი: ენდერსონ მორეირა

**ტიტული**

ბრაზილიის ჩემპიონი (1970, 1984, 2010)
კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელები: დენილსონი, ბრანკო, ტიაგო სილვა.
გუნდის ცნობადი სახეები: დიეგო კავალიერი, ანდერე ლუიში, კონკა (არგენტინა) დეკუ, დიგინიო, ფრედი.
წინა სეზონი: I ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რუსეთი. პრემიერლიგა. X ტური

# ჩემპიონის მარცხი

**ტერეკი-ანჟი 1:0**
გოლი: 1:0 ბ. გეორგიევი (45)

**ყუბანი-სპარტაკი (ნ) 1:1**
გოლები: 1:0 გ. ბუკური (64), 1:1 ლეანდრო (87)

**როსტოვი-ამკარი 3:0**
გოლები: 1:0 რ. ადამოვი (50), 2:0 ა. გაცკანი (82), 3:0 დ. ბლატნიაკი (87)

**ტომი-ზენიტი 2:1**
გოლები: 1:0 ე. სტარიკოვი (37), 1:1 ა. იონოვი (41), 2:1 პ. გოლიშევი (52)

**დინამო-კრილია 1:0**
გოლი: 1:0 ა. ვორონინი (48)

**სპარტაკი (მ)-კრასნოდარი 4:0**
გოლები: 1:0 არი (30), 2:0, 3:0, ა. ძიუბა (52, 65), 4:0 არი (90)

**რუბინი-ლოკომოტივი 0:0**
**ვოლგა-ცსკა გადაიდო**

რუსულ პრემიერლიგაში ტური არ გავა, ერთი-ორი მოულოდნელი შედეგი რომ არ დაფიქსირდეს; ასე იყო ახლაც: ქვეყნის ჩემპიონი „ზენიტი", ბევრისთვის მოულოდნელად, ტომსკში დამარცხდა და ამ წაგებით იტალიელი სპეციალისტის **ლუჩანო სპალეტის** გუნდი IV ადგილამდე ჩამოქვეითდა. სხვათა შორის, ეს იყო „ზენიტის" პირველი „ოფიციალური" მარცხი ამ სეზონში — მანამდე, სანკტ-პეტერბურგელებს ტექნიკური წაგება ჩაეთვალათ „ლოკომოტივთან" საშინაო შეხვედრაში. ამ სეზონში „ტომის" მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, თუმცა გამოცდილი სპეციალისტის, 67 წლის **ვალერი ნეპომნიაშჩის** გუნდი ფავორიტებს ხშირად ამწარებს ხოლმე. ასე მოხდა ამ შეხვედრაშიც და საინტერესოა, რომ მასპინძელთა გამარჯვება მნიშვნელოვნად განაპირობა ორი ახალგაზრდა ფორვარდის, 19 წლის **მაქსიმ კანუნიკოვისა** და 22 წლის **ევგენი სტარიკოვის** აქტიურმა თამაშმა, — არადა, ორივე თავდამსხმელი... „ზენიტის" საკუთრებაა და „ტომში" იჯარით ასპარეზობს. ტურის ცენტრალური მატჩი ყაზანში ჩატარდა, სადაც „რუბინმა" თავისი უდავო უპირატესობა ვერაფრით გამოიყენა და ამაში დამნაშავე „ლოკომოტივის" ბრაზილიელი მეკარე, 25 წლის **გილერმე** იყო, ვინც მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა. გილერმეს მსგავსად ჩინებულად ითამაშა ჩვენებურმაც, „ანჟის" 24 წლის მეკარე **ნუკრი რევიშვილმა,** მაგრამ ერთ ეპიზოდში ისიც უძლური იყო: „ტერეკისა" და ბულგარეთის ნაკრების ნახევარმცველმა, 29 წლის **ბლაგოე გეორგიევმა** მართლაც ეფექტური საჯარიმო დარტყმა შეასრულა. „ტერეკს" ეს მატჩი რომ არ მოეგო, ამ გუნდის ჰოლანდიელ თავკაცს **რუუდ გულიტს,** ალბათ, შეხვედრის დასრულებისთანავე გაათავისუფლებდნენ. თუმცა, ახალ სტადიონზე (სადაც საზეიმო განწყობა სუფევდა და რუსული შოუ-ბიზნესის მონაწილეობით კონცერტიც ჩატარდა), „ტერეკის" მოგება, ასე ვთქვათ, პროგნოზირებადი იყო...

ზედიზედ ორი მოგებით საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა მოსკოვის „სპარტაკმა" და ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვალერი კარპინიც** ჯერჯერობით კვლავაც რჩება თავის პოსტზე. „სპარტაკმა" ამჯერად **სლავოლიუბ მუსლინის** „კრასნოდარს" აჯობა და რუსების სახალხო გუნდის ეს წარმატება ფორვარდების შედეგიანმა თამაშმა განაპირობა: 25 წლის **არიმ** (ბრაზილია) და 22 წლის **არტიომ ძიუბამ** „დუბლი" შეასრულეს.

ჩემპიონატს დღესდღეობით **იური კრასნოჟანის** „ლოკომოტივი" ლიდერობს, მაგრამ დაკარგული ქულებით ცსკა უნდა მივიჩნიოთ ლიდერად; **ლეონიდ სლუცკის** გუნდმა ეს ტური გამოტოვა, რადგან რუსეთის თასის ფინალში თამაშობდა და პირველლიგელ „ალანიას" დაძაბულ ბრძოლაში (2:1) აჯობა. იმის გამო, რომ ცსკამ ჩემპიონთა ლიგაზე უნდა იასპარეზოს. პირველლიგელი „ალანია" (სადაც პრეზიდენტად **ვალერი გაზაევი** მუშაობს) ევროპის ლიგის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას!

**გია ტუხაშვილი**

● ლეგიონი



რატი ალექსიძე (№10)

# ლეგიონის საზაფხულო დაისი




ალექსანდრე ამისულაშვილმა ნიღბით ითამაშა

**ქართველ ლეგიონერთა უმეტესობისთვის სეზონი ამ უქმეებზე დასრულდა. მორჩა სერია ა, უკრაინული პრემიერლიჰა, რუმინული, ებრაული და უნგრული ლიგებიც.**

## რატი ისევ ბომბარდირია

უნგრული შოპრონილიგა გამარჯვებითა და გოლით დაასრულა **რატი ალექსიძემ,** რომლის „დიორი ეტომ" „კაპოშვარს" 2:0 მოუგო და სეზონი მე-9 ადგილზე დაასრულა. ამ თამაშში მასპინძელთა რიგებში სამმა ქართველმა ითამაშა, სასტარტოში იყვნენ **გიორგი განუგრავაც** და **ლაშა თოთაძეც**. 33-ე წუთზე ალექსიძემ დაახლოებით 20 მეტრიდან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა სტუმართა გოლკიპერს. ეს 32 წლის ფორვარდის მე-9 გოლი იყო ჩემპიონატში, რატი ამ მაჩვენებლით გუნდის ბომბარდირი გახდა. უნგრული შოპრონილიგის ოფიციალურ საიტზე რატის თამაში 6 ბალით შეაფასეს, განუგრავასა და თოთაძეს 5-5 ბალი დაუწერეს.

ჩემპიონატი ოქროს შუალედში დაასრულა რუმინულ ლიგა 1-ში **აკაკი ხუბუტიას** „გაზ მეთანმაც". ქართველი მცველის გუნდმა სტუმრად 2:1 მოუგო „უნივერსიტატიას" და საბოლოოდ მე-7 ადგილი დაიკავა. ხუბუტია რუმინეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი სტაბილური და გამორჩეული მცველია - 31 თამაშში 1 გოლი გაიტანა.

## ალიანს არენადან პერშა ლიგაში

უკრაინულ პრემიერლიჰაში ბოლო ტურის წინ ისეთი სატურნირო მდგომარეობა შეიქმნა, რომ ერთ-ერთი ქართველი ლეგიონერის გუნდი აუცილებლად გავარდებოდა. ეს უილბლოები **მათე ღვინიანიძე** და მისი „სევასტოპოლი" გამოდგნენ, რომელიც შინ ყირიმულ დერბიში 0:1 დამარცხდა **ვასილ გიგიაძის** „ტავრიასთან". ამ შეხვედრაში ქართული დუელი 53-ე წუთამდე ვიხილეთ. „სევასტოპოლმა" 27 ქულა დააგროვა და ბოლოსწინა ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, დიდი შანსია, პირველი ლიგიდან **დავით თარგამაძის** „ოლექსანდრია" ალზევდეს.

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში ყველა ჩვენებურმა ითამაშა დნიპროელი **უჩა ლობჟანიძის** გარდა. ეს კი ნამდვილად იშვიათობაა. ის კი არა, **სანდრო კობახიძემ** თავი საგოლე პასითაც გამოიჩინა. ბოლოს კი, ძალიან მწარე რეალობა - ათამდე ქართველმა ლეგიონერმა ჯამში... ერთი გოლი გაიტანა და ისიც **დიმიტრი ტატანაშვილმა** მოახერხა, რომელიც კარგა ხანია თბილისის „დინამოშია".

## ნიღბით დაბრუნდა

დროულად დაუბრუნდა მოედანს **ალექსანდრე ამისულაშვილი,** რომლის გარეშეც ჩვენს ნაკრებს უთუოდ გაუჭირდება ხორვატიაში. მოსკოვში „სპარტაკისა" და „კრასნოდარის" დაპირისპირებაში ორი ქართველის დაბრუნებას ველოდით, მაგრამ ჯერ ერთი შედგა - სტუმარმა ამისულაშვილმა დამცავი ნიღბით ითამაშა, მასპინძელი **ჯანო ანანიძე** კი ჯერ სათადარიგოთა სკამზე გამოჩენით დაკმაყოფილდა. „სპარტაკმა" მეტოქე 4:0 გაანადგურა, „ჩემპიონატმა" ამისულაშვილს 5 ბალი დაუწერა.

## სერბეთში ქართველის ეიმედებათ

„ვოივოდინას" ერთ-ერთი საიტი **გიორგი მერებაშვილის** სიტყვებს აქვეყნებს, რომლის თანახმადაც, ქართველი ფეხბურთელი გუნდში საგაისოდაც აპირებს დარჩენას. „ვოივოდინას" საიტი აღნიშნავს, რომ ქართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მასზე დიდი მოთხოვნილებაა ევროპულ ქვეყნებში.

## პირველის დასასრული

დასრულდა **კახა კალაძის** პირველი სეზონი „ჯენოაში". ქართველის გუნდმა 51 ქულით მე-10 ადგილზე დაასრულა სერია ა. კახამ ბოლო ტურში „ჩეზენას" წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა, თუმცა მოედანზე ძალიან მალე, მე-20 წუთზე მოუხდა გასვლა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | ჩეზენა | 3:2 (შ) | 70 წთ (შეცვალეს) | 25 თ, 1 გ. |
| **სერია B** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | ტორინო | 1:1 (შ) | 90 წთ, გააფრთხ. | 20 თ, 2 გ |
| **საფრანგეთი. ლიგა II** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | ვანი | 3:4 (გ) | სათადარიგო | 0 თ |
| **ნასიონალი** | | | | | | |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | ორლეანი | 0:0 (შ) | არ უთამაშია | 8 თ |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | ცსკა | გადაიდო | | 8 თ |
| გოგიტა გოგუა | 27 | ვოლგა | ცსკა | გადაიდო | | 7 თ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | ცსკა | გადაიდო | | 7 თ, 2 გ |
| ოთარ მარცვალაძე | 26 | ვოლგა | ცსკა | გადაიდო | | 7 თ, 1 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | ცსკა | გადაიდო | | 4 თ, 1 გ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | ცსკა | გადაიდო | | 7 თ |
| ალეკო ამისულაშვილი | 28 | კრასნოდარი | სპარტაკი | 0:4 (გ) | 90 წთ | 6 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | ყუბანი | 1:1 (გ) | 7 წთ (შეცვლაზე) | 6 თ |
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | ტერეკი | 0:1 (გ) | 90 წთ | 6 თ |
| ირაკლი კლიმიაშვილი | 22 | ანჟი | ტერეკი | 0:1 (გ) | არ უთამაშია, დუბლები | 0 |
| ლევან გვაზავა | 30 | ტერეკი | ანჟი | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 5 თ |
| ჯანო ანანიძე | 18 | სპარტაკი | კრასნოდარი | 4:0 (შ) | სათადარიგო | 1 თ |
| **უკრაინა. პრემიერლიჰა** | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | დნიპრო | შახტარი | 0:0 (გ) | სათადარიგო | 17 თ |
| სანდრო კობახიძე | 24 | არსენალი | კრივბასი | 1:0 (შ) | 90 წთ, 1 საგოლე პასი, გააფ. | 3 თ |
| ვასილ გიგიაძე | 33 | ტავრია | სევასტოპოლი | 1:0 (გ) | 55 წთ (შეცვალეს) | 22 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | მეტალურგი ზ. | 0:2 (შ) | 90 წთ | 11 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | დინამო | 3:2 (შ) | 8 წთ | 10 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | არსენალი | 0:1 (გ) | 90 წთ, გააფრთხ. | 9 თ |
| მათე ღვინიანიძე | 24 | სევასტოპ. | ტავრია | 0:1 (შ) | 90 წთ | 9 თ |
| სანდრო გურული | 25 | კარპატი | ვორსკლა | 2:2 (შ) | 76 წთ (შეცვლაზე) | 18 თ |
| **დანია. ვიასატდივიზიონი** | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | ნაესტვედი | 2:1 (შ) | არ უთამაშია | 23 თ, 9 გ |
| **რუმინეთი. პროლიგა** | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | გაზ მეთანი | კრაიოვა | 2:1 (გ) | 90 წთ | 31 თ, 1 გ |
| **ისრაელი. ლიგათ ჰაალი** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 24 | მაკაბი ჰ. | ბნეი იეჰუდა | 1:1 (გ) | 45 წთ (შეცვალეს) | 29 თ, 12 გ |
| **ბელარუსი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| ზაზა ჭელიძე | 24 | ბრესტი | შახტიორი | 0:2 (გ) | 76 წთ (შეცვალეს) | 6 თ, 1 გ |
| უჩა გოგოლაძე | 21 | ბრესტი | შახტიორი | 0:2 (გ) | არ უთამაშია | 2 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | კრაკოვია | 2:1 (გ) | 24 წთ (შეცვლაზე) | 11 თ, 2 გ |
| **სერბეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | ინდია | 2:1 (გ) | 59 წთ (შეცვალეს) | 27 თ, 8 გ |
| **ბოსნია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| ლევან კუტალია | 21 | ზრინსკი | შიროკი ბრიგი | 1:4 (გ) | 90 წთ | 11 თ, 2 გ |
| **უნგრეთი. შოპრონილიგა** | | | | | | |
| რატი ალექსიძე | 32 | ეტო | კაპოშვარი | 2:0 (შ) | 90 წთ, 1 გოლი | 25 თ, 9 გ |
| გიორგი განუგრავა | 23 | ეტო | კაპოშვარი | 2:0 (შ) | 72 წთ (შეცვალეს), გააფრთხ. | 12 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ეტო | კაპოშვარი | 2:0 (შ) | 90 წუთი | 8 თ, 1 გ |
| თემურ შარაშენიძე | 19 | ეტო | კაპოშვარი | 2:0 (შ) | არ უთამაშია | 6 თ |
| **იაპონია. ჯეი ლიგა** | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | სანფრეჩე | კოფე | 0:1 (გ) | 90 წთ | 7 თ, 2 გ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. პოლონეთის ტურნირი

# ჩოჩელის მორიგი წარმატება

ამ უქმეებზე პოლონეთის ქალაქ შეზირკში ჭაბუკთა ევროპის თასი გათამაშდა ძიუდოში, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ორი სპორტსმენი მონაწილეობდა, ძმები **შალვა** და **რამზეს ჩოჩელები**. შალვა ფინალში გავიდა და იქ დამარცხდა, უმცროსი ძმა კი უმედლოდ დარჩა.

ძმები მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულ **ცეზარ ჩოჩელის** შვილები არიან და პოლონეთშიც საკუთარი ხარჯით წავიდნენ მწვრთნელ **ვაჟა ბალხამიშვილთან** ერთად. ძიუდოს ქომაგი უფრო შალვას იცნობს, რომელიც წლეულს გამოჩნდა ფართო აუდიტორიის წინაშე, რამზესი კი პირველად ჭიდაობდა უცხოეთში. ამ ხანმოკლე პერიოდში შალვამ უკვე მოასწრო თვალსაჩინო წარმატებების მოპოვება - 90 კილოგრამში ჯერ საქართველოს ჩემპიონი გახდა 17-წლამდელთა შორის, მერე კი ზედიზედ იმარჯვა ანთალიასა და კიევში გამართულ ევროპის თასებზე. დასამალი არაა, რომ საქართველოს პირველობაზე მის გამარჯვებას უმალ მოჰყვა ხმები მამის გავლენის და მსაჯთა მიკერძოების შესახებ. მაშინ მართლაც იყო გარკვეული საკამათო მომენტი, მაგრამ უმრავლესობა მაინც იმ აზრზე დარჩა, რომ მსაჯები ობიექტურები იყვნენ და ბიჭმა ალალად დაიმსახურა გამარჯვება. ეს მოსაზრება დრომ დაადასტურა - შალვამ დამაჯერებლად მოიგო ორივე ზემოხსენებული უცხოური შეჯიბრება და დღეს უკვე თამამად შეიძლება ლაპარაკი მის საჭიდაო ტალანტზე. რაც მთავარია,



შალვა ჩოჩელი

მშრომელი ბიჭია, ვარჯიშებს არ თაკილობს და მამის ავტორიტეტით არ ცდილობს ფონს გასვლას. ამბობენ, რომ, როგორც ელიტურ ოჯახებშია მიღებული, მამას ფეხბურთზე სურდა მისი გადაყვანა, მაგრამ შვილმა ცოცხალი თავით არ ჰქნა და ძიუდოს არ უღალატა. აქედანაც კარგად ჩანს, რამდენად ფანატიკურადაა შეყვარებული სპორტის ამ სახეობაზე.

ანთალიისა და კიევის მსგავსად, შალვა ჩოჩელმა პოლონეთშიც უალრესად დამაჯერებლად იჭიდავა - ჯგუფურ ეტაპზე სამი შეხვედრა წმინდად მოიგო. პირველ წრეში მასპინძელი **კონრად შიმალა** დაამარცხა, მეორეში - პორტუგალიელი **პედრო სილვა**, მესამეში - უკრაინელი **რომან დემიანენკო**. ნახევარფინალში ჩვენებურს საკმაოდ გაუჭირდა, თუმცა მეტოქეც ანგარიშგასაწევი ჰყავდა - ლიტველი **როკას სიმონისი**, რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე შეხვედრათა უმეტესობა ასევე წმინდად მოიგო. მათ შორის - რუს მომავალ ბრინჯაოს პრიზიორ **ვლადიმირ ბოლოტინთან**. ერთი სიტყვით, ყველაფრიდან ეტყობოდა, რომ ლიტველი იოლი ლუკმა არ იქნებოდა და ჩვენებურმა მართლაც მხოლოდ იუკო აართვა.

ამ ეტაპზე უკვე ცნობილი იყო, რომ ფინალში მისი მეტოქე აუცილებლად უკრაინელი იქნებოდა - მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს იქაურები, **ანტონ სავიცკი** და **ოლექსანდრ ჩერნიაკი** ხვდებოდნენ. ამ ორთაბრძოლაში მინიმალური ანგარიშით ჩერნიაკმა იმარჯვა, რომელსაც წინასწარ შეხვედრებში ნამდვილად არ დაუდია ისეთი დამაჯერებელი ანგარიშები, როგორიც - ჩოჩელმა, თუმცა ფინალი მაინც უკრაინელმა მოიგო იპონით. სამწუხაროდ, შეხვედრის პერიპეტიებზე ვერაფერს გეტყვით და არ ვიცით, რა მოხდა, როგორ წარიმართა იგი.

ამდენად, შალვა ჩოჩელმა წლეულს პირველი ფინალი წააგო, თუმცა შედეგი მაინც კარგია. სავარაუდოდ, მან უკვე გაინაღდა ზაფხულში მალტურ კოტონერაში ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა.

რამზეს ჩოჩელი (66) პირველივე წრეში იპონით დამარცხდა ებრაელ **ჰასან ორთან**. შეჯიბრება ძველი წესებით კი ტარდებოდა, ანუ თუ ებრაელი ნახევარფინალში გავიდოდა, ჩვენებური სანუგეშო წრეში გადაერთვებოდა, მაგრამ არ დასცალდა - ორს მომდევნო წრეში უკრაინელმა **ალექსანდრ კუზნეცოვმა** აჯობა და ჩვენებურიც გავარდა.

**ირაკლი თავაძე**

მშვილდოსნობა. ევროპის თასი



# ნაგება და პირველი მედალი

## ქართულ მშვილდოსნობას აქამდე შერეულ წყვილებში მედალი არ ჰქონდა მოპოვებული

სომხურ ეჩმიაძინში დამთავრებულ ევროპის ახალგაზრდულ თასზე ჭაბუკთა შორის შერეულ წყვილებში მოასპარეზე ქართულმა დუეტმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. **ირაკლი ქვლივიძე** და **თეონა კუტალაძე** ფინალში უკრაინელებთან - **იგორ ომელჩენკოსა** და **ანასტასია პავლოვასთან** დამარცხდნენ, თუმცა ეს მაინც ისტორიული შედეგია, ვინაიდან ქართულ მშვილდოსნობას აქამდე შერეულ წყვილებში მედალი არ ჰქონდა მოპოვებული.

შეგახსენებთ, რომ ფინალამდე ჩვენებმა მასპინძლებს, **როზა** და **ლევონ გრეგორიანებს** 132:122 მოუგეს, **ლუკას დანიელისა** და **მადისონ შეპერსის** ფრანგულ დუეტს ორი ქულით - 141:139 აჯობეს, ნახევარფინალში კი ასევე ორქულიანი უპირატესობით გერმანელები, **მაქსიმილიან ვეკმიულერი** და **კატარინა ბაიერი** დაამარცხეს - 145:143.

აღსანიშნავია, რომ ქვლივიძეს ბიჭებს შორის პირად პირველობაში ჩვენებურთაგან მეორე შედეგი ჰქონდა, კუტალაძე კი ეროვნული ნაკრების კორეელ თავკაც **ან-იონ სეუნის** კადრია - მან აღმოაჩინა და უკვე ორჯერ ეროვნულ ნაკრებშიც გამოსცადა. უფროსებთან ჭიდილი კუტალაძეს გაუჭირდა, აი, თანატოლებში კი ურიგოდ არ გამოსულა - 1318 ქულა დააგროვა, ოლიმპიური ნორმატივი კი 1350 ქულაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ კუტალაძე ჯერ ჭაბუკთა ასაკისაა, ის შედეგი კი ბევრად უფროსებზეა გათვლილი, თან უცხოეთში მხოლოდ მესამედ ისროდა, ვფიქრობთ, საყურადღებო მაჩვენებელია - იმედია, წლებისა და გამოცდილების მატების კვალდაკვალ, ქულებიც აუცილებლად მოიმატებს და ოლიმპიურ ნორმატივს მიაღწევს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ეროვნული ნაკრების გაწვრთნის გარდა, კორეელს ასაკობრივი გუნდების კოორდინატორობაც ევალება. ამიტომ ერევანში ჭაბუკთა ნაკრებს მთავარ მწვრთნელ **გია მაკიევთან** ერთად ისიც ახლდა და აქტიურადაც ეხმარებოდა შეგირდებს.

კორეელს სულ მალე - 27-31 მაისს მშობლიურ აზიაშიც მოუწევს წასვლა ქალთა ეროვნულ ნაკრებთან ერთად, ოღონდ ბანგლადეშში და არა სულ მთლად სამშობლოში. ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში აზიის თასის მესამე გათამაშება ტარდება, რომელშიც ჩვენი ნაკრები ძველი, უცვლელი ტრიოთი მიიღებს მონაწილეობას: **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე**. იყო ლაპარაკი იმაზე, რომ მწვრთნელს, შესაძლოა, ნარიმანიძე დაესვენებინა, მაგრამ საბოლოოდ მაინც წაყვანა გადაწყვიტა. თავდაპირველი გეგმით, ჩვენებს ახლა არა ბანგლადეშში, არამედ ფრანგულ ბოეში უნდა ესპარეზათ ევროპის თასზე, რომელიც ხვალ იწყება, მაგრამ აზიელებმა უფრო ხელსაყრელი პირობები შესთავაზეს - საკუთარი ხარჯით ილებენ და ამათაც ამიტომ გადაწყვიტეს იქ წასვლა. თანაც აზიური სკოლა საუკეთესოა მსოფლიოში. ამიტომ, სავარაუდოდ, მშვილდოსნობის მთელი ელიტა იქ იქნება თავმოყრილი და არა საფრანგეთში, ანუ უფრო ძლიერი ტურნირიც ის უნდა იყოს. ალბათ, ზემოაღნიშნული ტრიო გამოვა 6-12 მაისს ანთალიაში გასამართ მსოფლიოს თასზეც, თუმცა, შესაძლოა, იქ კორეელმა სხვებიც წაიყვანოს. მათ შორის - ვაჟებიც. ჯერჯერობით ამ რანგის მხოლოდ ერთი შეჯიბრება გაიმართა - ხორვატულ პორეჩში, სადაც ჩვენგან ყველაზე უკეთ ესებუამ ისროლა - ნახევარფინალში გავიდა. ქართველთაგან მსოფლიოს რეიტინგშიც ჯერ მხოლოდ ისაა შესული - 5 ქულით X-XVI ადგილებს იყოფს.

**ირაკლი თავაძე**

მძლეოსნობა

# ნაკრების წევრები ახალგაზრდებთან ერთად

გასულ შაბათ-კვირას ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა 1994-1997 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საქართველოს პირველობას უმასპინძლა. შეჯიბრებაში 15 ქალაქისა და რაიონის 170-ზე მეტმა სპორტსმენმა იასპარეზა. მათ შორის იყვნენ საქართველოს ნაკრების წევრებიც, რომლებიც უკონკურსოდ გამოდიოდნენ - უბრალოდ, ეროვნული ჩემპიონატის წინ ახალგაზრდებთან პაექრობაში ძალთა გამოცდა სურდათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია **ბენიკ აბრამიანის** შედეგი ბირთვის კვრაში. საქართველოს ზამთრის ჩემპიონატზე მან 18,05 მეტრი აჩვენა, ამჯერად საკუთარი მიღწევა მთელი 52 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

მართალია, ეროვნულ სტადიონზე შეჯიბრების მონაწილენი მრავლად იყვნენ, მაგრამ ზოგიერთ სახეობაში ისევ თითო-ოროლა სპორტსმენი ვიხილეთ. მაგალითად, 110 მეტრზე ვაჟთა თარჯრბენში მხოლოდ ერთი (**თემურ აზრუმელაშვილი**, თბილისი, 15,7) მონაწილე იყო, ასევე — უროს ტყორცნასა (**გელა აბაშმაძე**, თბილისი, 37,80; **ვერონიკა გალუზინსკაია**, თბილისი, 30,00) და გოგონათა სიმაღლეზე ხტომაში (**სალომე ჩაბაკაური**, თბილისი, 130 სმ). შეჯიბრების ორგანიზატორთა ვარაუდით, ბოლო დროს მძლეოსნობა მთელ საქართველოში ისე გამოცოცხლდა, რომ მდგომარეობა ამ და ზოგიერთ სხვა სახეობაშიც საგრძნობლად გამოსწორდება.

**კვარცხლბეკი**

**გოგონები. 100 მეტრი.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 12,6), 2. ნინო გვიანიძე (12,9), 3. მარი გამგონეიშვილი (ორივე-აჭარა, 13,6). **100 მ. თარჯრბენი.** 1. სალომე ჩაბაკაური (18,6), 2. თამარ კურატიშვილი (ორივე-თბილისი, 21,3), 3. გაიანე გაბრიელიანი (ახალციხე, 22,4). **200 მეტრი.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 25,9), 2. ნინო გვიანიძე (აჭარა, 27,0), 3. ანა ვახტანგაძე (თბილისი, 28,4). **400 მეტრი.** 1. სოფიკო ჩილინგარაშვილი (ახალციხე, 1.01,5), 2. მარიამ ბედუკაძე (1.01,7), 3. ანა ვახტანგაძე (ორივე-თბილისი, 1.06,6). **800 მეტრი.** 1. სოფიკო ჩილინგარაშვილი (ახალციხე, 2.31,9), 2. მარი ჭეიძე (თბილისი, 2.41,1), 3. მერი დვალიშვილი (ვანი, 3.05,01). **1500 მეტრი.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 4.54,2), 2. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 5.27,5), 3. თამრიკო შამოევა (თბილისი, 5.44,1). **3000 მეტრი.** 1. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 11.55,9), 2. თამრიკო შამოევა (თბილისი, 13.06,7). **4X400 მეტრი.** ახალციხე-57,7. **სიგრძეზე ხტომა.** 1. ნესტან დათუნაშვილი (479), 2. მირანდა გოგოჭური (ორივე-თბილისი, 467), 3. ანი სირაძე (ქუთაისი, 466). **სამხტომი.** 1. ანი სირაძე (ქუთაისი, 10,60), 2. ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 10,08). **ბირთვის კვრა.** 1. ხატია ხურცია (ხონი, 10,02), 2. ალბინა არუთუნიანი (აჭარა, 8,10), 3. ლია არდოტელი (თიანეთი, 6,74). **ვაჟები. 100 მეტრი.** 1. გიგა ჭიკაძე (11,3), 2. გიგა ბერძენიშვილი (11,6), 3. ვაჟა უტურაშვილი (სამივე-თბილისი, 11,7). **200 მეტრი.** 1. გიგა ჭიკაძე (თბილისი, 23,3), 2. ჯუმბერ მაჭარაძე (ვანი, 24,4), 3. ნუკრი ზოიძე (ოზურგეთი, 24,5). **400 მეტრი.** 1. გიორგი აზარაშვილი (თბილისი, 54,0), 2. დავით ძიმისტარიშვილი (ქუთაისი, 54,1), 3. ნიკა რურუა (მარტვილი, 56,9). **800 მეტრი.** 1. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 2.08,2), 2. ნიკა დაგარგულია (ზუგდიდი, 2.15,5), 3. დავით ძიმისტარიშვილი (ქუთაისი, 2.23,8). **1500 მეტრი.** 1. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 4.27,9), 2. გელა ტაბატაძე (4.42,0), 3. რუდიკ მინასიანი (ორივე-ახალციხე, 4.50,3). **3000 მეტრი.** 1. რუდიკ მინასიანი (10.34,6), 2. გელა ტაბატაძე (ორივე-ახალციხე, 10.36,4), 3. რევაზ დაგარგულია (ზუგდიდი, 10.36,6). **4X400 მეტრი.** 1. თბილისი-48,4, 2. ქუთაისი-49,3, 3. მარტვილი-49,9. **სიგრძეზე ხტომა.** 1. ლაშა ღულელაური (ახმეტა, 709), 2. გიორგი აზარაშვილი (თბილისი, 618), 3. დავით ალხანიშვილი (მარტვილი, 591). **სამხტომი.** 1. გოგა მაღლაკელიძე (ქუთაისი, 13,07), 2. გიორგი რურუა (მარტვილი, 12,66), 3. ნუკრი ზოიძე (ოზურგეთი, 12,05). **ბირთვის კვრა.** 1. თემურ ლასტაკანიძე (აჭარა, 12,08), 2. თორნიკე სვანიძე (თბილისი, 12,03), 3. ბესიკ ნიკლაური (თიანეთი, 11,25). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ლაშა ნუცუბიძე (165), 2. ავთანდილ ლონლაძე (ორივე-ქუთაისი, 160), 3. დათო ალხანიშვილი (მარტვილი, 145).



ალექსი ახვლედიანი აჯილდოებს გიგა ჭიკაძეს

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

● ჭადრაკი

# ევროპის ჩემპიონატი მაიას ქალაქში

თბილისიდან საჭადრაკო დღესასწაულმა ქუთაისში გადაინაცვლა. ორი დღის განმავლობაში სასტუმრო „ბაგრატი-1003"-ში მიმდინარეობდა ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის სწრაფ ჭადრაკში, რომელსაც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის **მაია ჩიბურდანიძის** პატივსაცემად „მაიას თასი" ეწოდა და ტიტულოვანი მოჭადრაკის 50 წლის იუბილეს მიეძღვნა. ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 10.400 ევრო იყო, 12 ქვეყნის 74 მოჭადრაკე მონაწილეობდა. 11 ტურში დაგროვებული 9 ქულით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა უნგრეთის სახელით მოასპარეზე **თრან თრანგ ჰოანგმა,** რომელიც მთავარი პრიზის –2.000 ევროს მფლობელი გახდა. მეორე ადგილზე გავიდა ქართველი **სალომე მელია** 1.500ევრო (8ქ), მესამე ადგილს და 1.000 ევროს სომხეთის წარმომადგენელი **ლილი მკრტჩიანი** (8ქ) დაეუფლა. ტურნირის ყველაზე რეიტინგული მოჭადრაკე რუსი **ნადეჟდა კოსინცევა** კი მეექვსე ადგილს დასჯერდა. გამოვლინდნენ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებულებიც. 8-წლამდელთა შორის - **თამარ ესაძე** (3ქ), 10 წლამდე - **ელენე კოსტავა** (4), 12, 14, 16 და 18-წლამდელთა შორის შესაბამისად **თეა ჭოლაძემ** (5), **ალექსანდრა გარიაჩკინამ** (რუსეთი, 5) **საბრინა იბრაჰიმოვამ** (აზერბაიჯანი, 6) და **მერი არაბიძემ** (6,5) იპირველეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მაია ჩიბურდანიძის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დააჯილდოვეს.

ტიტულოვან მოჭადრაკეს იუბილე მიულოცეს მხარისა და ქალაქის მაღალჩინოსნებმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის და იმერეთის რეგიონალური ფედერაციის ხელმძღვანელებმა. ქალბატონმა მაიამ არაერთი მილოცვა და საჩუქარი მიიღო ბიზნესსექტორისგანაც.

„საქართველომ ზედიზედ ორჯერ უმასპინძლა ევროპის საჭადრაკო ჩემპიონატს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი პატივია. ასეთი ფაქტი ჭადრაკის ისტორიაში არ ყოფილა... ვულოცავ ქალბატონ მაიას 50 წლის იუბილეს, ის არის პირველი ქალბატონი, რომელსაც დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს უმაღლესი ჯილდო სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა",- განაცხადა საიუბილეო საღამოზე მინისტრის მოადგილემ **გიორგი გალდავამ.**

ევროპის ჩემპიონმა თრან ჰოანგმა, რომელიც თავად მაია ჩიბურდანიძემ დააჯილდოვა, ტურნირის ორგანიზატორებისა და იუბილარის მიმართ თბილი სიტყვები არ დაიშურა: „საქართველოში მეორედ ვარ და ეს ქვეყანა ძალიან მიყვარს. საოცრად კარგი პირობები გვქონდა შექმნილი როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში. ბედნიერი ვარ, რომ ისეთი ლეგენდარული მოჭადრაკის სახელობის თასის მფლობელი გავხდი, როგორიც მაია ჩიბურდანიძეა."

ცნობილმა შვედმა მოჭადრაკემ **პია კრამლინგმა** აღნიშნა: „ყოველთვის გაოცებული ვიყავი მაიას გენიალური საჭადრაკო ნიჭით, მისი საიდუმლოების ამოხსნას ვცდილობდი და ეს ახლა მოვახერხე: მაიას წარმატებების საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ ის ამ უმდიდრესი საჭადრაკო ტრადიციების ქალაქშია (ქუთაისში) დაბადებული. ვიმედოვნებ, მაია კიდევ დარჩება აქტიურ სპორტში და გულშემატკივრებს კვლავ გაახარებს წარმატებებით."

**ტურნირის საპრიზო ოცეული**

1. თრანგ ჰოანგი-9ქ. (უნგრეთი)
2. სალომე მელია-8 (საქართველო)
3. ლილით მკრტჩიანი-8 (სომხეთი)
4. ევგენია ოვოდი-8 (რუსეთი)
5. ანა მუზიჩუკი -8 (სლოვენია)
6. ნადეჟდა კოსინცევა-7.5 (რუსეთი)
7. ნანა ძაგნიძე-7.5 (საქართველო)
8. ბელა ხოტენაშვილი -7.5 (საქარათველო)
9. ინა გაპონენკო -7.5 (უკრაინა)
10. მარინა რომანკო-7.5(რუსეთი)
11. ქეთი წაწალაშვილი-7.5 (საქართველო)
12. ინგა ჭარხალაშვილი -7 (საქართველო)
13. ნატალია ჟუკოვა-7 (უკრაინა)
14. მარია მუზიჩუკი-7 (უკრაინა)
15. ნინო ბაციაშვილი-7 (საქართველო)
16. ლილით გალოიანი -7 ((სომხეთი)
17. ტატიანა კოსინცევა-6.5 (რუსეთი)
18. ლელა ჯავახიშვილი-6.5 (საქართველო)
19. მერი არაბიძე -6.5 (საქართველო)
20. მაკა ფურცელაძე-6.5 (საქართველო)

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან





● ნაკლე ბაშო. 8-22 მაისი



მარცხნიდან პირველი - ტოჩინოშინი

# ტოჩინოშინი:
## რეკორდი, ვიცე-ჩემპიონობა, მებრძოლი სული და დაბრუნებული კომუსუბის ტიტული

ქართველი ბაშოს მოგებასთან ასე ახლოს არ ყოფილა - საკმარისი იყო მე-6 მაეგაშირა **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** ასპარეზობის ბოლო დღეს ემარჯვა, რომ ის დიდ მონღოლ **ჰაკუჰოსთან** საჩემპიონო პლეი ოფის საგზურს მოიპოვებდა, მაგრამ ჩვენებური დამარცხდა და 12-3 ბალანსით ვიცე-ჩემპიონობა (ჯუნ-იუშო) და მებრძოლი სულის პრიზი (კანტო-შო) იკმარა. ტოჩინოშინმა 2009 წლის ბაშოს მიღწევა გაიმეორა თავის პრიზებიანად, თუმცა ახლა უფრო მეტს მიაღწევს - თითქმის დარწმუნებით შეგვიძლია თქვა, რომ მან კომუსუბის ტიტული დაიბრუნა!

თხრობა რომ არ გაგვიგრძელდეს, ვიტყვით, რომ შაბათს ქართველმა სეკივაკე **კოტოშოგიკუ** დაამარცხა იორიკირის ილეთით, მაგრამ მოიგო ჰაკუჰომაც. ბოლო დღეს მან მონღოლი ოძეკი **ჰარუმაფუჯი** შეხვდა. ტოჩინოშინმა წააგო, არადა, მას დიდებულ საჩუქარს უმზადებდა ჰაკუჰო, დიდმა ჩემპიონმაც მარცხი იგემა და ბაშო 13-2 ბალანსით მოიგო კარიერაში მე-19-ჯერ. ტოჩინოშინი და კომუსუბი **კაკურიუ** ვიცე-ჩემპიონები გახდნენ.

სპორტული გმირობა - ასე შეგვიძლია დავახასიათოთ **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)** ასპარეზობა ბოლო დღეებში. გავარდნის პირას მყოფმა ქართველმა ბოლოს ზედიზედ 4 ორთაბრძოლა მოიგო და ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულა - 8-7. ახლა ის რეიტინგში წინ წაიწევს დაქვეითების ნაცვლად. აი, **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** კი ვერაფრით გაგვახარა, ძურიოს დივიზიონი 5-10 ბალანსით დაასრულა. ჩვენებურთაგან ვის რა პერსპექტივა აქვთ ახალ რეიტინგში, უახლოეს ხანებში გაგაცნობთ.

**XIV დღე**

**მაკუუჩი:** ჰაკუჰო-ბარუტო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ტაკეკაძე (იორიკირი), კისენოსატო-კაიო (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-კოტოშოგიკუ (იორიკირი), ტოიონოშიმა-ოკინოუმი (სუკუინაგე), კაკურიუ-ტოსაიუტაკა (ცუკიდაში), გოეიდო-ვაკაკოიუ (ცუკიოტოში), ტოიოჰიბიკი-ტოჩიოძანი (ოშიდაში), შოტენრო-ჰომაშო (ოდაში), ამინიშიკი-კაისეი (კატასუკაში), არანი-კიტატაიკი (ცუკიოტოში), ვაკანოსატო-ტოკიტენკუ (ოშიდაში), ტამავაში-ტოჩინონადა (ოშიდაში), იოშიკაძე-კიმურაიამა (იორიკირი), კიოკუტენჰო-ტოჩინოვაკა (იორიკირი), ტაკამისაკარი-ასასეკირიუ (კირიკაეში), **გაგამარუ**-დაიდო (ოკურიტაოში), მიაბიამა-ტაკაიასუ (ცუკიოტოში); **ძურიო:** ცურუგიდაკე-**კოკაი** (ოშიდაში).

**ბოლო დღე**

**მაკუუჩი:** კაიო-ჰომაშო (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ბარუტო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), კისენოსატო-ტაკეკაძე (ოშიდაში), კაკურიუ-ოკინოუმი (იორიკირი), იოშიკაძე-ტოიონოშიმა (იორიკირი), გოეიდო-ტოსაიუტაკა (იორიკირი), ჰომაშო-ამინიშიკი (ოშიდაში), ტოჩიოძანი-ვაკანოსატო (იორიკირი), ტოჩინოვაკა-კიტატაიკი (ოშიდაში), არანი-შოტენრო (ცურიდაში), ტამავაში-კიმურაიამა (ოშიდაში), მიაბიამა-კიოკუტენჰო (უვატენაგე), ასასეკირიუ-კაისეი (იორიკირი), **გაგამარუ**-ვაკაკოიუ (ოშიტაოში), ტოკიტენკუ-ტოიოჰიბიკი (იორიკირი), ტოჩინონადა-ბუშუიამა (იორიკირი), ტაკამისაკარი-ტამანოშიმა (იორიკირი); **ძურიო:** საგაცუკასა-**კოკაი** (ცუკიოტოში).

**საბოლოო მდგომარეობა**

**13-2:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).
**12-3:** კაკურიუ (კომუსუბი), **ტოჩინოშინი** (მაეგაშირა 6).
**11-4:** გოეიდო (მ 1).
**10-5:** ბარუტო (ოძეკი),ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), ტოსაიუტაკა (მ 9), კაისეი (მ 16).
**... 8-7: გაგამარუ** (მ 14).
ჩემპიონი: ჰაკუჰო (მე-19)
ბრწყინვალე ასპარეზობა: არავინ
მებრძოლი სული: **ტოჩინოშინი** (მე-3), კაისეი (1-ელი)
ტექნიკური რიკიში: კაკურიუ (მე-6), გოეიდო (მე-2)
ძურიოს ჩემპიონი: საგაცუკასა (1-ელი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● წყალბურთი

# ლიგამუსი ჩემპიონია

შარშან წყალბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი „თბილისმა" მოიგო. ოქროს მედლების ბედი წლეულსაც ჩემპიონისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყლოსნო კლუბ „ლიგამუსის" პაექრობაში უნდა გადაწყვეტილიყო. პირველი ფინალური შეხვედრა, როგორც გაუწყეთ, ლიგამუსელებმა მოიგეს 17:13. განმეორებითი ორთაბრძოლა თბილისელთა იერიშებით დაიწყო და ერთ-ერთი შეტევა ჩერქეზიშვილმა დააგვირგვინა. პირველი პერიოდის ბოლომდე წონასწორობა „ლიგამუსის" კაპიტანმა რურუამ აღადგინა, მეორე რვაწუთიანი მონაკვეთიც 1:1 დამთავრდა. შესვენების შემდეგ, როცა ანგარიში იყო 4:4, „თბილისის" გამოცდილმა მცველმა, ეროვნული ნაკრების წევრმა ქენქაძემ მე-3 პერსონალური შენიშვნა მიიღო და თამაშიდან შეცვლის უფლებით გააძევეს. ამის შემდეგ ილიაუნელებს, ასე ვთქვათ, ხელფეხი გაეხსნათ და მე-3 პერიოდი 8:3 მოიგეს. მართალია, თბილისელებმა ბოლო 8 წუთში იძალეს (6:4), მაგრამ საერთო გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. „ლიგამუსმა" მეტოქე მეორედაც დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

**ლიგამუსი–თბილისი 14:11**

1:1, 1:1, 8:3, 4:6

„ლიგამუსი": სტრუიჩი, ბაქრაძე, შენგელია, პოპოვიჩი (3), კორდიჩი (2), ტაბატაძე (2), რუსიშვილი, რურუა (2), გეგელაშვილი (3), ნიკოლეიშვილი (2), მანძულაშვილი, მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე.

**„თბილისი":** ნამორაძე, ქენქაძე, ყავლაშვილი (1), ჩომახაშვილი, ლაითაძე (3), ბაბუნაშვილი, მანძულაშვილი, ბალათურია (2), ქავთარაძე (2), ჩერქეზიშვილი (2), გოგავა (1), მთავარი მწვრთნელი ირაკლი ბაქრაძე.

მესამე ადგილისთვის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებით დაკომპლექტებული „ივერია" და ვეტერანთა გუნდი „ზვიგენები" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. განმეორებითი შეხვედრის ოთხივე პერიოდი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. სამი რვაწუთიანი მონაკვეთის შემდეგ ახალგაზრდები მეტოქეს 7:5-ს უგებდნენ. ბოლო რაუნდში კიდევ უფრო გაზარდეს ანგარიშში სხვაობა. თამაშის დამთავრებამდე 3 წუთი და 42 წამი იყო დარჩენილი, როცა უხეში თამაშისთვის ივერიელი ქართველიშვილი შეცვლის უფლების გარეშე გააძევეს. კაცნაკლულმა „ივერიამ" ვერ გაუძლო „ზვიგენების" იერიშებს და ზედიზედ 4 უპასუხო ბურთი გაუშვა. მატჩი ფრედ - 10:10 დამთავრდა. ამ ანგარიშმა ივერიელებს ბრინჯაო მოუტანა, რადგან პირველი პაექრობა მათ 10:5 ჰქონდათ მოგებული.

**ივერია–ზვიგენები 10:10**

2:1, 1:1, 4:3, 3:5

ივერია: ფავლენიშვილი, ჩიქვინიძე (2), ყაზახიშვილი, დავითური (2), ცანკაშვილი (1), სხილაძე, ქართველიშვილი, გელაშვილი, ურუშაძე (2), ბულაძე, გოჩიტაშვილი (1), პეიტრიშვილი (2), შუბლაძე, მთავარი მწვრთნელი რევაზ ჩომახიძე.

ზვიგენები: ჩიხლაძე, ალხაზოვი (1), ქერქაძე, თორდია, ბერიშვილი, კინწურაშვილი (2), ჟღენტი (2), ბროლაძე, ჩხეიძე (1), ალიბეგაშვილი (1), გიორგაძე (3), კანდელაკი, მაჭავარიანი, მთავარი მწვრთნელი მირიან ასათიანი





საქართველოს ჩემპიონატის მონაწილენი 28-29 მაისს ზუკა სახელაშვილის თასის ტრადიციულ გათამაშებაში იასპარეზებენ „ლაგუნა ვერეში". მასპინძლებთან ერთად აქ მთავარი პრიზისთვის რუსეთის გუნდიც იბრძოლებს. ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების წევრები ბრიტანელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის განმეორებითი მატჩისთვის მოემზადებიან, ძალების გამოსაცდელად 24-26 ივნისს „ოლიმპიკის" აუზში თბილისის აღდგენილ საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ, სადაც ყაზახეთის, ბელარუსისა და, სავარაუდოდ, ირანის ნაკრები გუნდები დაგვიპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს ჩემპიონატი

# რიჩარდმა არმია არია



მსუყე ციფრებით დავიწყოთ: 26 ქულა, 18 მოხსნა, 6 დაფარება, 3 პასი, 2 ჩაჭრა, 2 ფოლი, 2 შეცდომა. ასეთი მონაგრით ნებისმიერი მაღალი დონის ცენტრი იამაყებდა, მაგრამ ერთი-ორად დასაფასებელია, რომ ეს სტატისტიკა **რიჩარდ მათიაშვილმა** საქართველოს ჩემპიონატის ფინალში ჩაიწერა. თანაც სერიის გადამწყვეტ მატჩში, რომლის წაგების შემთხვევაში თსუ „არმიას" 0:2 ჩამორჩებოდა და ჩემპიონობის ბუზისოდენა შანსი დარჩებოდა.

თსუ-მ სულ 40-ჯერ მოხსნა, მათიაშვილმა - 18-ჯერ. თსუ-მ 64 ქულა ჩააგდო, რომელთაგან 26 რიჩარდის ანგარიშზე იყო... ამ სტატისტიკითაც ნათლად ჩანს, რომ შაბათს ნახევარი თსუ მათიაშვილი გახლდათ. აქვე არ უნდა გამოგვრჩეს - 6 დაფარება მიმდინარე სუპერლიგის რეკორდია.

■ ■ ■

სერიის პირველ მატჩში თსუ-მ 71 ქულა ჩაგდო, თუმცა ოთხი ქულის სხვაობით დამარცხდა. რა ბედი ეწია მეორე შეხვედრაში, თუ 64 ქულას მოუყარა თავი? - გაიმარჯვა. შეტევაში არმიელებმა არცთუ დამაჯერებლად ითამაშეს (53-დან 18 ორქულიანი, 20-დან 4 სამიანი და 20-დან 12 საჯარიმო გამოიყენეს). მათიაშვილს თუ გამოვაკლებთ, არც თსუ-ს ულხინდა დამაგვირგვინებელ ფაზაში, თუმცა საბოლოოდ „არმიაზე" ოთხით მეტი ჩააგდო და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

სხვათა შორის, თსუ-მაც სწორედ ისე აჯობა „არმიას", როგორც წინა დღეს „არმიამ" - თსუ-ს: პარასკევის მატჩში სირენამდე 3 წამით ადრე არმიელმა **კოტე ტულუშმა** ორივე საჯარიმო გამოიყენა, სხვაობა 4 ქულამდე (75:71) გაზარდა, რითაც თსუ-ს თამაშის თუნდაც სამქულიანით გადრჩენის შანსი მოუსპო. იგივე გამეორდა შაბათს, ოღონდ საპირისპირო მხარეს - მატჩის დასრულებას 11 წამი აკლდა, როცა მათიაშვილი საჯარიმოს ხაზზე დადგა (მასზე განზრახ დაჯარიმდნენ), ორივე ტყორცნა უშეცდომოდ შეასრულა და მანაც „მიუწვდომელი" სხვაობა დააფიქსირა - 64:60.

უსამართლობა იქნებოდა, არმიელი **გიორგი შარაბიძის** თამაშზე სიტყვა არ გვეთქვა. მან სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი მოხსნა (10) და ქულა მიითვალა (20). გიორგი „არმიას" მიერ შეთავაზებული ერთგვარი სიურპრიზის ნაწილი გახლდათ: რიგ ეპიზოდებში ძალოვნები იერიშზე მაღალ ტემპში გადადიოდნენ, გაქცევას ფეხს კარგად უწყობდა მობილური შარაბიძე და ქულას ქულაზე აგროვებდა.

■ ■ ■

სისწრაფესთან დაკავშირებით: გასულ წლებში თსუ ნახევარფინალში რეგულარულად თამაშობდა, ფინალში შარშან გავიდა და „ენერჯისთან" დამარცხდა. აქამდე **ნუგზარ ჭეიშვილის** გუნდი შემადგენლობით ფავორიტებს ვერ უტოლდებოდა, თუმცა ორიგინალური ტაქტიკით (სწრაფი თამაში, პრესინგი მთელ მოედანზე) არაერთი ფავორიტი დაუმარცხებია. ვაბანკზე წასვლა (რომელსაც ხშირად მოჰქონდა შედეგი) იმიტომ სჭირდებოდა, რომ შედარებით თანაბრად დაბალანსებული და გრძელსკამიანი მეტოქეებისთვის თამაშის დალაგების საშუალება არ მიეცა. შაბათის მატჩში ფავორიტ „არმიასთან" ვაბანკი არ დასჭირვებია - მეოთხე პერიოდი დინჯად მიიყვანა დასასრულამდე. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ფინალურ სერიაში ერთმანეთის წინაშე ორი ყოველმხრივ თანაბარი გუნდი დგას? არადა, პირველი მატჩის შემდეგ ნუგზარ ჭეიშვილმა აღნიშნა, ფინალში მოხვედრა ჩვენთვის დიდი წარმატებაა, „არმიას" ჩვენზე დიდი რესურსი აქვსო...

ზემოთ დასმულ კითხვას პასუხი სერიის მომდევნო მატჩებში გაეცემა. მესამე შეხვედრა დღეს 14 საათზეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

21 მაისი, თბილისი. სპორტი სასახლე

## არმია-თსუ 60:64

21:19, 12:15, 16:12, 11:18

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, დ. ბრიშვილი

| არმია | წთ | 2-ქულიანი | | | 3-ქულიანი | | | საჯარიმო | | | მოხსნა | | | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | მ | ს | ჯ | | | | | | |
| 4. გივი ბაქრაძე | 27:30 | 2 | 8 | 25 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 3 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 4 |
| 5. ზვიად ბაბიაშვილი | 16:08 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 50 | 2 | 5 | 7 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 1 |
| 6. ანატოლი ბოისა * | 14:22 | 1 | 1 | 100 | 0 | 4 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 | 4 | 7 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| 7. ვახტანგ მინაშვილი * | 24:46 | 4 | 10 | 40 | 0 | 0 | 0 | 6 | 10 | 60 | 5 | 2 | 7 | 1 | 4 | 3 | 4 | 0 | 14 |
| 10. კოტე ტულუში * | 33:20 | 0 | 2 | 0 | 1 | 6 | 16.7 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 | 6 | 3 | 3 | 4 | 4 | 0 | 3 |
| 13. რევაზ ათანელიშვილი | 02:27 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 21. დავით საყვარელიძე * | 33:56 | 2 | 8 | 25 | 2 | 6 | 33.3 | 2 | 2 | 100 | 2 | 1 | 3 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 12 |
| 23. გიორგი შარაბიძე * | 36:39 | 9 | 19 | 47.4 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 100 | 8 | 2 | 10 | 0 | 4 | 2 | 1 | 5 | 20 |
| 24. ბუბა ბერიშვილი | 10:52 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 50 | 1 | 2 | 50 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 | 1 | 4 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 6 | 5 | 11 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | |
| ჯამი | | 18 | 53 | 33.96 | 4 | 20 | 20.00 | 12 | 20 | 60.00 | 29 | 27 | 56 | 12 | 21 | 21 | 12 | 6 | 60 |

შენიშვნა: ვარსკვლავით აღნიშნულმა კალათბურთელებმა შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყეს

| თსუ | წთ | 2-ქულიანი | | | 3-ქულიანი | | | საჯარიმო | | | მოხსნა | | | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | მ | ს | ჯ | | | | | | |
| 4. დავით ხიზანიშვილი | 04:20 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5. მიხეილ ფანჩულიძე | 25:15 | 2 | 3 | 66.7 | 2 | 9 | 22.2 | 1 | 2 | 50 | 1 | 0 | 1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 11 |
| 6. გიორგი გაფრინდაშვილი* | 36:05 | 2 | 3 | 66.7 | 2 | 5 | 40 | 2 | 4 | 50 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 12 |
| 7. გიორგი მარხვაშვილი* | 05:40 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9. ილია ლონდარიძე * | 34:54 | 3 | 11 | 27.3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 4 | 9 | 1 | 3 | 5 | 1 | 0 | 6 |
| 10. ზურაბ კორკოტაძე | 02:01 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 11. მიხეილ ჩიტაშვილი | 27:21 | 2 | 6 | 33.3 | 1 | 1 | 100 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 5 | 5 | 1 | 3 | 0 | 7 |
| 13. რიჩარდ მათიაშვილი* | 34:37 | 9 | 12 | 75 | 0 | 2 | 0 | 8 | 11 | 72.7 | 6 | 12 | 18 | 3 | 2 | 2 | 2 | 6 | 26 |
| 15. მიხეილ ბერიშვილი * | 24:40 | 0 | 1 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 6 | 8 | 1 | 3 | 5 | 0 | 0 | [illegible] |
| 20. ზურა მაისურაძე | 05:07 | 1 | 2 | 50 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | |
| ჯამი | | 19 | 40 | 47.50 | 5 | 25 | 20.00 | 11 | 19 | 57.89 | 17 | 23 | 40 | 14 | 19 | 17 | 7 | 7 | 64 |

შენიშვნა: წ - წუთი, 2-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; 3-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; საჯარიმო - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; მოხსნა - (მ) მეტოქის ფარზე, (ს) საკუთარ ფარზე (ჯ) ჯამი; პ - პასი, ჯ - ჯარიმა, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა

# ქუთაისი მესამეა



**ქუთაისი-სოხუმი 91:84**

**19:23, 26:17, 29:17, 17:27**

**ქუთაისი:** ბაბუნაშვილი (14ქ.), დიდია (15ქ.9მ.), კვიმსაძე (18ქ.), ბოლქვაძე (9ქ.7მ), გ.ბარბაქაძე (26ქ.7მ.), ლომინაშვილი, ცეკვავა (7ქ.6მ.), კოლუაშვილი (2ქ.)

**სოხუმი:** ფარლალავა (22ქ.), ჰარისი (17ქ.), კანკია, კ.დამუსი (18ქ.15მ.), ფაცაცია (17ქ.9მ.), ჩლაიძე (3ქ.), კვენეტაძე (1ქ.), შანიძე (2ქ.), სორდია (2ქ.), კოპალიანი, რ.დამუსი (2ქ.)

**მსაჯები:** მ.კუპატაძე, ზ.მაჩალაძე, დ.ბერეკაშვილი

ქუთაისის საკალათბურთო გუნდმა სუპერლიგაში დაბრუნების პირველსავე წელს საპრიზო მესამე ადგილი დაიკავა. **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდებს ფინალში გასვლის კარგი შანსიც ჰქონდათ, მაგრამ საგზური თსუ-თან ოთხმატჩიან ბრძოლაში დათმეს. ამის მიუხედავად, სუპერლიგაში ახლადაბრუნებული გუნდისთვის ბრინჯაოს მედლები წარმატებად უნდა ჩაითვალოს. მესამე ადგილისთვის პაექრობა კარგი შემადგენლობის „სოხუმთან" საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. თავდაპირველად სტუმრებმა მოიპოვეს უპირატესობა და პირველ პერიოდში 4 ქულით იმარჯვეს (19:23). განსაკუთრებით აღსანიშნავია **კარლ დამუსის** შესანიშნავი თამაში, რომელმაც საბოლოოდ ორმაგი დუბლიც შეასრულა (18ქ. 15მ.). სოხუმელთა ამერიკელი ლეგიონერი შეტევაშიც ნაყოფიერი იყო და დაცვაშიც. ჩვეულად აქტიურობდნენ **ჰარისი** და **ლაშა ფარლალავაც**. მეორე პერიოდის საწყის წუთებში **ბაგატსკისის** შეგირდები 4-ქულიან უპირატესობას ინარჩუნებდნენ, მაგრამ „ქუთაისს" მეორე სუნთქვა გაეხსნა და პირველი ტაიმის შემდეგ ტაბლოზე 45:40 დაფიქსირდა – მასპინძელთა სასარგებლოდ.

ქუთათურებმა განსაკუთრებით კარგად მესამე პერიოდი ჩაატარეს, რამაც საბოლოოდ მათი მოგებაც განაპირობა. მასპინძლები ძალიან კარგად თამაშობდნენ დაცვაში და შეტევებშიც აგრესიულები იყვნენ. შესანიშნავად ისროდნენ სამქულიანებსაც. მაგალითად, **გიგი ბარბაქაძემ** ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო, მას **კვიმსაძემ, დიდიამ** და **ცეკვავამაც** მიჰბაძეს. ქუთათურები მესამე პერიოდის შემდეგ 17 ქულით დაწინაურდნენ. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ სოხუმელები. მათ იმდენი მოახერხეს, რომ ანგარიში 4 ქულამდე შეამცირეს. დროც საკმაოდ რჩებოდათ, თუმცა „ქუთაისმა" ბოლო ძალები მოიკრიბა, მდგომარეობა გამოასწორა და საბოლოოდ გამარჯვებაც მოიპოვა. მასპინძელთაგან საუკეთესო გიგი ბარბაქაძე იყო, რომელმაც საკუთარ გუნდს 26 ქულა შესძინა. აღსანიშნავია **ბოლქვაძის** კარგი თამაში დაცვაში, რომელსაც 12 მოხსნა დაუგროვდა.

გამარჯვებულებს მესამე ადგილოსნისთვის დაწესებული თასი და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ. კალათბურთელებს წარმატება ქუთაისის მერმა **გია თევდორაძემ** პირადად მიულოცა და მათ მხარდაჭერასაც დაჰპირდა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

იტალიის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი

# სანიკიძემ სიენას 11-ჯერ მოუხსნა

იტალიის პირველობაზე მეორე მეოთხედფინალური მატჩი ჩაატარა „ვირტუსმა". **ვიქტორ სანიკიძის** გუნდი სიენაში „მონტეპასკისთან" მეორედაც დამარცხდა, თუმცა ამჯერად მეტოქეს ბოლომდე ებრძოლა და 4 ქულის სხვობით დათმო - 81:85.

ვიქტორმა და მისმა თანაგუნდელმა **ჯარედ ჰოუმანმა** ყველაზე მეტი, 11-11 მოხსნა მოაგროვეს. ჯარედმა შეტევაშიც გამოიჩინა თავი - 19 ქულა ჩააგდო, ხოლო სანიკიძემ 2-დან 1 ორქულიანის, 1-დან 1 სამქულიანის რეალიზების შედეგად 5 ქულა მიითვალა. ამასთან მის ანგარიზე თითო პასი-დაფარებაა.

სერიის (სამ მოგებამდეა) მესამე მატჩი დღეს ბოლონიაში გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი

# ასანიძე კასპს ეწვია

კასპში ერთ ტერიტორიაზე კომპლექსურადაა თავმოყრილი ცენტრალური სასპორტო, ჭიდაობის კომპლექსური და საფეხბურთო სკოლები შესაბამისი ბაზებით, სასტუმროთი, რომელშიც ახლა გიმნაზიაა იჯარით. ვადა წლეულს იწურება, მაგრამ სასტუმროსთვის ფუნქციის დაბრუნება ზღვაში წვეთია არსებულ პრობლემათა შორის. ბოლო წლებში სპორტულ დარბაზებში მდგომარეობა იმდენად სავალალოა, რომ ზოგიერთ მათგანში შესვლაც საშიში გახდა. ზემდგომ ორგანოებში მიმართვებს, ამასწინათ შედეგად პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის **გიორგი ასანიძის** სტუმრობა მოჰყვა. ოლიმპიური ჩემპიონი მხარდაჭერას დაჰპირდა კასპელებს.

ტერესოა, რომ სკოლის პირველი დირექტორი წარსულის ცნობილი ფალავანი **ლავრენტი კაციაშვილი** გახლდათ. შენობას რემონტი არასდროს ჩატარებია, თუნუქის სახურავზე მუდამ წყალი დგებოდა და დღეს დარბაზი საშინელ მდგომარეობაშია (იხ. ფოტო). 2000 წლიდან არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით დარბაზში იკრძალება არათუ სპორტული შეჯიბრებების გამართვა, საერთოდ, შიგნით შესვლაც კი.

*„არ ვიცი, ჭერი როდის ჩამოინგრევა. ადგილობრივი ხელისუფლებიდან დაწყებული, სპორტის სამინისტრომდე ყველას შევთხოვეთ შველა. სასიხარულოა, რომ ბატონი გიორგი ასანიძე გვესტუმრა და დახმარებასაც დაგვპირდა. ამორტიზებული დარბაზის*



ასე გამოიყურება კალათბურთის დარბაზი

*„მდგომარეობის გამოსასწორებლად დახმარებაა საჭირო. ერთბაშად ყველაფრის რეაბილიტაცია ალბათ ვერ მოხერხდება, მაგრამ ეტაპობრივად უნდა გაიწეროს აღდგენის პროექტი. აქ ერთადაა თავმოყრილი სპორტის არაერთი სახეობისთვის ინფრასტრუქტურა, რაც ასეთი პატარა რაიონისთვის უნიკალური კომპლექსის შექმნის საშუალებას იძლევა და ეს საშუალება უნდა გამოვიყენოთ“*, - განაცხადა გიორგი ასანიძემ.

■ ■ ■

კასპის სასპორტო სკოლა 1961 წლიდან მუშაობს. თავიდან აქ ამ კუთხისათვის ტრადიციული საჭიდაო სახეობების ჯგუფები გახსნეს მხოლოდ. 1975 წლიდან ამოქმედდა სხვა სექციებიც. საინ*ნაცვლად ჯგუფები საჯარო სკოლებში გვაქვს გატანილი. ვატარებთ შეჯიბრებებსაც“*, - გვითხრა სასპორტო სკოლის დირექტორმა **ჯუმბერ სიდამონიძემ**.

სკოლაში ამჟამად სპორტის ხუთ სახეობაში (კალათბურთი, კარატე, შაში, ჭადრაკი, ძალოსნობა) ამეცადინებენ მწვრთნელები შეგირდებს. ფუნქციონირებს ჭადრაკისა და შაშის სექციები სოფელ ზემო ხანდაკში და ქალთა ფეხბურთის გუნდი სოფელ ნიგოზაში. სულ სკოლაში 182 ბავშვია.

**ვასილ ბალახაძე**
კასპიდან
**დავით ასპანიძის** ფოტო

ჩოგბურთი

# ტატიშვილი ფედერერის შემდეგ

დღეს ქართველი ჩოგბურთელი „როლან გაროსის“ ცენტრალურ კორტზე ითამაშებს. დიახ, ის უკვე რეალობაა, რაზეც ცოტა ხნის წინათ ვოცნებობდით - **ანა ტატიშვილი** (107) „დიდი სლემის“ ტურნირის ძირითად ბადეში თამაშობს. ჩვენებურს მასპინძელთა პირველი ჩოგანი, მსოფლიოში და საფრანგეთის ღია პირველობაზე კი - მე-11, **მარიონ ბარტოლი** დაუპირისპირდება. როგორც უკვე ვთქვით, ეს შეხვედრა ფილიპ შატრიეს სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება და რიგით მეოთხეა დღის გრაფიკში. ანა კორტზე მას მერე გავა, რაც იქ თამაშს **როჯერ ფედერერი** და **ფელისიანო ლოპესი** დაასრულებენ.

მეტოქე მეტისმეტად ძლიერია, მაგრამ ერთი დეტალი ანას სასარგებლოდ მეტყველებს, ბარტოლიმ ახლახან სტრასბურის ტურნირის ფინალში ითამაშა და მეორე სეტის დასაწყისში ტრავმის გამო ბრძოლა



შეწყვიტა. გამარჯვების შემთხვევაში ტატიშვილი 160 სარეიტინგო ქულას მიიღებს, თუ წააგო, მხოლოდ - 5-ს.

იზმირის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) ორი ნახევარფინალი დათმო პირველ ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ**. მან ერთეულებში რუმინელ **მიჰაელა ბუზარნესკუსთან** (358) 1:6, 4:6 დათმო პაექრობა. წყვილთა ნახევარფინალში კი შაფათავამ და **თათია მიქაძემ** (306) იმავე ბუზარნესკუსთან და ხორვატ **მრდეზასთან** წააგეს - 6:4, 4:6, 9:11. ერთეულებში გამოსვლისთვის ჩვენმა თანამემამულემ 24 ქულა დაიბევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ფავორიტი; 8. გაზაევი; 9. ლუგანსკი; 10. ბარტეზი; 11. ბერეჟნოი; 13. "ასტანა"; 15. "ლეირია"; 18. ხარლამოვი; 19. იგინლა; 21. შელია; 22. ტერენკური; 23. რაევაცი; 25. ბასლერი; 28. იბარა; 30. პურიჩელი; 31. ნელი; 32. ბროკი.

**შვეულად:** 1. ფოლი; 2. ვაგნერი; 3. რანიერი; 4. ტაკონი; 5. კაკა; 6. "ბასტია"; 7. ზვეზდა; 10. ბიატლონი; 12. კლეისტერსი; 14. ტომაშევსკი; 15. ნევილი; 16. რენიე; 17. ახალკაცი; 20. მალდინი; 24. ელანო; 25. ემერი; 27. აპია; 29. ანი.

თავგადასავლები

# მძლეოსნობის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე

### ნახტომი დიდი სპორტისკენ

დავიბადე ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში (სხვათა შორის ექვთიმე თაყაიშვილიც იქაური გახლდათ). ვიზრდებოდი ჩვეულებრივად ადრე დაობლებული „ბალანე“. როგორც სხვა გურული „ბალნები“ მეც ცეკვის წრეში ვიყავი და ვცეკვავდი მონდომებულად.

1962 წელია. სოფელ ლიხაურის პატარა კლუბის შენობაში გვქონდა რეპეტიციები. პატარა კლუბს პატარა - ერთი მეტრის სიგანის კულისი ჰქონდა. იქიდან მე - სოლისტი, უნდა გამოვქანებულიყავი და სცენის ზუსტად შუაგულში უნდა დავმხტარიყავი. „ნახტომი“ შესანიშნავად მქონდა დამულამებული. მოპირდაპირე კულისიდან ერთდროულად გელა უნდა გადმომხტარიყო, სცენის ცენტრში დავხტებოდით ორივე და მერე მიდიოდა ჩასმები და გასმები.

ოზურგეთის ახალ თეატრში კონცერტი გვაქვს. სცენას კარგა სამი-ოთხი მეტრი სიგანის კულისი ჰქონდა. გამიხარდა, რომ გამოქანებისთვის სივრცე დიდი იყო და მოვემზადე.

აი, ჩვენი ნომერიც გამოაცხადეს. ატყდა დოლ-გარმონის ჭყვიტინ-ბათქუნი. დავიხიე უკან ოთხი ნაბიჯით და გამოვექანე... ვისკუპე და გავფრინდი სცენისკენ. გელაც გამოფრინდა საპირისპირო მხრიდან. სასწაული სიმარჯვით ავცდით ჰაერში ერთმანეთს. გელა კი დახტა სცენის ცენტრში, მონიშნულ ადგილზე, მაგრამ მე იმხელა და იმსიგრძე ნახტომი გამომივიდა, რომ მოპირდაპირე მხარის კულისებში ამოვჩნდი. როგორც იტყვიან, ფრენით გადავსერე მთელი სცენა.

მეორე დღეს სკოლაში მითხრეს, დირექტორი გიბარებსო.

ვაი, შენს თამაზს!

გაუბედავი ნაბიჯებით შევიძურწე კაბინეტში. იქ კიდევ ერთი წარმოსადეგი კაცი დამხვდა.

- ე, მევიდა ჩვენი არწივი, - უთხრა იმ კაცს დირექტორმა.

- ესაა ის? - ხელი ჩამომართვა უცხომ (რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი აღმოჩნდა მძლეოსნობაში - გიორგი ერქომაიშვილი).

- ასე მარჯვედ ხტები ბიძიკო შენ ყოველთვის, თუ მარტო გუშინ გამოგივიდა? - მეკითხება.

ჩავლუნე თავი.

მოკლედ, მწვრთნელმა იმ დღიდან შეგირდად ამიყვანა.

ოლიმპიადას რა ბედი ეწია და - ჩვენმა ცეკვის ანსამბლმა მესამე ადგილი აილო „პაზორ ნა ვეს რაიონ“. გაშპენ და გადაირივნენ ჩვენი სოფლის ფანები - მესამე რაია, პირველი ადგილი გვეკუთვნოდა ჩვენ და რეიზა არ მოგვეცითო? - სერიოზულად წაეჩხუბნენ ჟიურის.

- რაიოოო? - იქით ჟიური გადაირია - მდინარაძის ბალანას უმადლოდეთ, სასწაული ტრიუკი რო ჩაატარა, თვარა „მაიც არ გეკუთვნოდენო“.

### ლელოში ვარრრრ... ლელოში!!!

სულ მალე თბილისში ჩამომიყვანეს. ბალნების შეჯიბრი გაიმართა „დინამოს“ სტადიონზე. ფეხშიშველა სირბილს შეჩვეულმა „შიპებიანი“ ბუცები ვიუცხოვე. იქით სტადიონის გრანდიოზულმა სარბენმა ბილიკმა ალმაფრთოვანა. აცხადებს ადგილობრივი ინფორმატორი გამოჩენილი სპრინტერების გვარებს და სულ „დავპატარავდი“.

მოვიდა ჩემი დროც... ავიწყვიტე, გავვარდი და რა გავვარდი. მერე გავიგე, თურმე პირველი ადგილი ამილია ჩემს ასაკში.

- როგორ მოახერხე ამდენი? - მეკითხებიან შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კორესპონდენტები. პასუხი პრიმიტიული, მაგრამ გულწრფელი იყო:

- როგორ და... ისეთ გვარებს აცხადებდნენ, შემეშინდა. შიშმა კი მარჯვე სირბილი იცის-მეთქი. დაწყდნენ სიცილით, ეს მართლა გურული ყოფილაო.

მეორე დღეს, ღამის მატარებლით უნდა დავბრუნდე გურიაში. დილაა, გამოვედი და დავდივარ ვაგზლის მოედანზე. შორს ვერ წავალ, დავიკარგები. მოულოდნელად ჩემსავით მობორიალე გუნდელი შემხვდა.

- ბიჭო, თამაზ, იცი შენ ახალი ამბავი? - მეკითხება. ელდა მეცა:

- რა მოხდა, ბებია ხოა კარგად?

- ბებია რა შუაშია. გაზეთ „ლელოში“ ხარ გამოჭიმული, შე ბედნიერო!

ვეცი ჯიხურს - „ლელო“ მომყიდეთ-მეთქი... არაა... ახლა სხვა ჯიხურს მივასკდი, არც იქაა... საერთოდ, იმ დროისთვის „ლელო“ ერთადერთი სპორტული გაზეთი იყო საქართველოში და ყველა მსურველს არ ხვდებოდა. იყო მეორე მულამიც (რაც მე, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი) - გაზეთის გამყიდველები ნაცნობებს სხვა გაზეთში (ვთქვათ - „კომუნისტი“) შეხვეულს უნახავდნენ „პო ბლატუ“.

მოკლედ, გულდაწყვეტილი ვარ, რომ ბოლო ჯიხურშიც უარი მითხრეს და ჰოი, საოცრებავ! ვიღაც, საშუალო ტანის კაცს უჭირავს ხელში და არ კითხულობს?! ამოვუდექი ამ კაცს უკან, ისიც თან მიდის, თან კითხულობს. წავიგრძელე კისერი და მეც ვკითხულობ. მიდის - მივყვები, მიდის - მივყვები.

- რატომ მომყვები, ახალგაზრდავ?!

- რეიზა ბიძია და მა გაზეთ „ლელოში“ მე ვარ.

- შენ ხარ? - ისევ შეეჭვდა კაცი.

- კი, ხო, დიახ - ბიძია.

- აპა, რომელი ხარ შენ?

ვატაკე თითი ჩემს სურათს. მიყურებს, ხან მე, ხან - გაზეთს.

- კი... გგავს, ხო იცი შენ!

- მგავს კი არა მე ვარ - პირწავარდნილი.

- აბა ახლა მე მაცალეო... ჩამავლო ხელი იმ დალოცვილმა (იცოდნენ იმ დროში სპორტსმენების ფასი), შემიყვანა ერთ იტალიურ ეზოში. მიუძახ-მოუძახა მეზობლებს. „შებზრიალდა“ შუა ეზოში სახელდახელო სუფრა და ასე დაუვიწყარ ვითარებაში, ამ უცხო ხალხმა დამილოცეს კარიერის დასაწყისი და პირველი, უდიდესი სიხარული ჩემთან ერთად გაიზიარეს. მატარებელში მთელი ღამე არ მიძინია ზურიკელასავით, რომელსაც სოფელში ჩემი ტკბილი ბებია მელოდა.

### ნუ გაწირავ, ბებია!

1967 წელია. მინსკში გავემგზავრეთ სტუდენტურ თამაშებზე. თავდაუზოგავი და ბეჯითი მეცადინეობა დამიფასდა. მოვიგე... ჩემპიონი ვარ!!! გაიხარა მთელმა გურიამ. ოზურგეთის სადგურშივე მომინყვეს გრანდიოზული შეხვედრა. როგორც იქნა, მივაღწიე სახლამდე. იქ კი გაიშალა სუფრა და რა სუფრა... მთელი ლიხაურის მასშტაბით. ბებია ასაკოვანი იყო, კი ხვდებოდა, რომ მისი გაზრდილი თამაზიკო დიდი კაცი გახდა, მაგრამ ყველაფერში დეტალურად გარკვევა ცოტა გაუჭირდა.

- ჩემპიონია შენი თამაზი, ჩემპიონი! - ეუბნება ერთი.

- რაიო?

- ჩემპიონია, ჩემპიონი! - უხსნის მეორე - დიდი კაცია შენი შვილიშვილი - დიდი კაცი!

ბებიამ ის იცოდა, რომ მაშინდელ საქართველოში ყველაზე დიდი კაცი ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძე იყო, მაგრამ იფიქრა აგი ჩემი თამაზიკო ალბათ „მიორეაო“.

- დიდი კაცია, აპა, ხო? - ხვარ მატყუებთ, თქვე „შეჩვენებულებო“?!

- კი, კი... მასეა - პასუხობენ „შეჩვენებულები“.

- ახლა მე მაცალეთ! - წელში გაიმართა ბებია და „სტრაჟნიკივით“ წამომადგა თავზე:

- დიდი კაციაო, შენზე რო ჩივიენ აი ყაზილარები, მართალია, ბებია? - ჩამიჩიფჩიფა.

- კი, კი... ასეა - გამეცინა მოხუცის გულუბრყვილობაზე.

- ხო და, ჩვენი თავმჯდომარე ხო იცი, ამბროსია გორდელაძე?

- რავა არ ვიცი, ბებია... ეგერ ზის სუფრის თავში.

- ხოდა, დუუქნიე, ბებია, ცოტა თითი მაგას! ერთი უყურე მაგას შენ!

- რაშია საქმე, ბებია?

- რაშია და რას გავს ჩვენი შუკების გზები, კბილებს დეიმტვრევს ადამიანი ჯაყჯაყში, არ იცი მაი? გააკეთოს კაი გზები, რო გელაპარაკები მე შენ!

- დუვუქნევ, ბებია, აპა რას ვიზამ! - დავამშვიდე სიცილით მოხუცი. ბებიამ სიამაყით გაბადრული სახით დამტოვა სუფრასთან. მეორე დილაა. გამელვიძა... მშობლიურ სახლში ვარ, მაგრამ ნაბახუსევს თავი მისკდება. ფუსფუსით წამომადგა თავზე ბებია:

- გეგელვიძა, თამაზიკო?

- კი, ბებია.

- ახლა, ბებია, რაცხა რო გითხარი გუშინ ამბროსიაზე, გახსოვს მაგი?

- აპა რა, ბებია?

- ხო და... ვითომ არ მითქვამს, ბებია - დაიმორცხვა - ვითომ არ მითქვას, ნუ გაწირავ, ბებია, ამბროსიას სულ მთლიანად, მაინც ჩვენია... ცოდვაა, ცოლ-შვილი ყავს!

- კაი, ბებია, კაი, რასაც შენ იტყვი - ჩავეხვიე საყვარელ ადამიანს...



### დროს თავისი მიაქვს ...

1988 წელს საქართველოს მძლეოსანთა ფედერაციის პრეზიდენტი გავხდი. ადრე თუ სხვები მარიგებდნენ ჭკუას, ახლა ჩემი ჯერია...

იმ წელს ლესელიძეში გავუშვი 80-კაციანი ჯგუფი შეკრებაზე. მოგვიანებით მეც ჩავაკითხე (ჯგუფს გამოცდილი მწვრთნელი ევგენი გაგუა ხელმძღვანელობდა). ჩავაკითხე და, რა თქმა უნდა, ვიკითხე, როგორ მიმდინარეობდა საწვრთნელი ღონისძიებები.

- თითქმის ყველაფერი რიგზეა, - მეუბნება გაგუა.

- „თითქმის“ რას ნიშნავს?

- ერთი-ორი ინციდენტი მოხდა, ბატონო თამაზ, - მეუბნება ისევ ბოლმიანად.

- რა ინციდენტი?

- აი... ჩვენი სპრინტერები, ვაჟა და თენგიზი უნდა მოვხსნათ შეკრებიდან.

- რატომ, რატომ, რაშია საქმე? - გამიკვირდა, რადგანაც ეს ბიჭები განსაკუთრებულად მეამაყებოდა.

- გოგოებისკენ იქაჩებიან, კაცო, გოგოებთან გვეპარებიან ეგენი. დონჟუანები მაგნები!

- ახლა ერთ რამეს გეტყვი, ჩემო ევგენი. სანამ მე პრეზიდენტი ვარ, ასეთი „უბრალო“ მიზეზის გამო არც თქვენ და არც არავის, ასეთი რამეებისთვის დასჯის უფლებას არ მივცემ!

- კი, მაგრამ, დისციპლინა? - გადაირია კაცი - ეს ხომ არ გაგიჟდაო...

- მე რა ვთქვი, გაიგონეთ თქვენ, ბატონო ევგენი? - ჩავმარცვლე ნათქვამი.

- ესე იგი... რა გამოდის?.. გაუშრა პირი. არადა - უნდა, არ უნდა - პრეზიდენტი ვარ და...

... მეორე დღეა... სასტუმროს ფოიეში ეს ჩვენი ევგენი სამ მწვრთნელს გაცხარებით უმტკიცებს რაღაცას, ისინიც თავს უქნევენ. წამოვეპარე და ვუსმენ:

- ხედავთ თქვენ, რა მითხრა, კაცო, პრეზიდენტმა? გიჟია კაცო ეგ? - გიჟი გვინდოდა ახლა ჩვენ? გიჟი?! ფრთხილად მოვუცაცუნე ხელი მხარზე უკანიდან, მობრუნდა... მე შევრჩი.

- დიახ, დიახ, ბატონო ევგენი, გინდოდათ, გინდოდათ-მეთქი. კინაღამ იქვე ჩაიკეცა.

მესამე დილით ნომერში განცხადება შემომიტანა.

რა თქმა უნდა, არ მომიხსნია და დიდხანაც მუშაობდა, საკმაოდ ნაყოფიერადაც...

P.S. 2011 წელს პრეზიდენტობა საიმედო კადრს გადავაბარე.

ერთ თვეში საზღვარგარეთ, ევროპის მძლეოსანთა ფედერაციამ განსაკუთრებული ღვაწლისთვის სპეციალური საპატიო მედლით და ჩოხა-ახალუხით დამაჯილდოვა.

თბილისში დაბრუნებულს შემხვდა თქვენი რედაქტორი და მეკითხება:

- რით დაგაჯილდოვეს ევროპაში?

- ჩოხა-ახალუხით-მეთქი. ღიმილით მეკითხება:

- საქართველოში, რით დაგაჯილდოვეს?

- საქართველოში ბატონო - „ჩოხა-ახალუხი“ აღარ მაჩუქეს, „გუდა-ნაბადი“ ამიკრეს-მეთქი.

გურული ვარ და ვიხუმრე, თორემ პრეზიდენტობა ჩემი ნებით დავტოვე და დიდი პატივისცემითაც გამაცილეს... რას იზამ? დროს თავისი მოაქვს, „ცოტა-ცოტა“ მიაქვს კიდევაც, თუმცა ეგ რა სახსენებელია... ცხოვრება გრძელდება!!!

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

მსოფლიო ალაფი

# თბილისში რაგბის ზეიმი იწყება




„მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" გათამაშება გახსნილად გამოცხადდა. ტურნირში, რომელიც 2012 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებაა, რვა გუნდი ითამაშებს. კანადის, აშშ-ს, სამოას, რუსეთის, ზიმბაბვეს, ურუგვაის, იაპონიისა და საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებების დაპირისპირებაში გამარჯვებული ელიტაში თამაშის უფლებას მოიპოვებს. გუნდები უკვე ორი დღეა, თბილისში არიან და მომავალი ბატალიებისთვის ემზადებიან.

„შევარდენის სანაკრებო" ბაზაზე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ**, IRB-ს ტურნირების დირექტორმა **ფილიპ ბურდარიასმა** და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაურმა** პრესკონფერენცია გამართეს.

**გიორგი ნიჟარაძე:** „ტურნირი ოფიციალურად უკვე დაწყებულია. ყველა საორგანიზაციო საკითხი მოგვარებულია, გუნდები, ოფიციალური პირები ჩამოსულნი არიან და სამშაბათს პირველი ტურის შეხვედრები გაიმართება.

მსგავსი დონის ტურნირი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არასდროს ჩატარებულა. მისი ორგანიზება მოხერხდა რაგბის საერთაშორისო საბჭოს, ქალაქის მერიისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დახმარებით.

შეგახსენებთ, რომ მატჩები ოთხ სათამაშო დღეს გაიმართება „ავჭალის" სტადიონსა და „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე". რვა გუნდი ორ ჯგუფშია განაწილებული, შესაბამისად, დღეში ოთხი თამაში ჩატარდება, სამი „ავჭალის" სტადიონზე, რომლებიც 14, 16 და 18 საათზე დაიწყება. ერთსაც „შევარდენის სანაკრებო ბაზა" უმასპინძლებს.

ტურნირი ძალიან საინტერესო იქნება, რადგან სუსტი გუნდი აქ არ არის. ყველას გამარჯვების თანაბარი შანსი აქვს და ბოლომდე თავდადებულად იბრძოლებენ. ჩვენ, მასპინძლებმა, ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ სტუმრებს საკადრისი პირობები შევუქმნათ. ვფიქრობ, ეს არის ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის პასუხისმგებლობა. თუ ტურნირმა კარგად ჩაიარა და რაიმე სერიოზული ხარვეზი არ გვექნება, ჩვენ ამაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ტურნირების ჩატარების უფლებასაც მოგვცემენ."

**ფილიპ ბურდარიასი:** „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს რაგბის კავშირს, თბილისის მერიას, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გაწეული დიდი სამუშაოსთვის. ველაპარაკე გუნდების მენეჯერებს და ისინი, უკლებლივ ყველა, ძალიან კმაყოფილნი არიან.

ჩვენ უკვე ოთხი დღეა, თბილისში ვიმყოფებით, თითქმის ყველაფერი ვნახეთ და შევამოწმეთ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ყველაფერი ისე და იმ დონეზეა მომზადებული, როგორც გვინდოდა, უფრო უკეთაც კი.

ეს ტურნირი განსაკუთრებულია, რადგან წლეულსვე იმართება მსოფლიო თასის გათამაშება. თბილისში ბევრი ცნობილი ჟურნალისტი ჩამოვა. ტურნირს ეწვევა IRB-ს პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე. ერთი სიტყვით, აქ მიმდინარე მოვლენები მთელი მსოფლიოს მიკროსკოპული დაკვირვების ქვეშ იქნება.

ამ ტურნირის თბილისში გამართვით, რაგბის ქართველ ქომაგებს მიეცათ უნიკალური შანსი, ნახონ უმაღლესი რანგის რაგბობა. ეს არის რაგბის დიდი ზეიმი და თქვენ შეგიძლიათ გახდეთ ამ ზეიმის ნაწილი. ამ შანსის ხელიდან გაშვება კი არ შეიძლება.

დიდი მადლობა საქართველოს რაგბისა კავშირს და ქართველ ხალხს შესანიშნავი მასპინძლობისთვის."

**დავით ნამგალაური:** „სანერვიულო და საზრუნავი ახლა უფრო გვაქვს, ვიდრე ტურნირისთვის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებისას. გათვალისწინებულია ყველა უმცირესი დეტალიც, თუმცა გამორიცხული არ არის, ამ დღეებში რამდენიმე მცირე ინციდენტი მაინც მოხდეს, მაგრამ ჩვენ მუდმივად მზადყოფნაში ვართ და ყველანაირ ხარვეზს უმალვე აღმოვფხვრით.

რაც შეეხება ტურნირის სპორტულ მხარეს, იმედი გვაქვს, რომ თამაშებს ბევრი მაყურებელი ეყოლება. ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ბიჭები ფინალამდე არ გვანერვიულებენ."

პრესკონფერენციის დასრულებიდან ერთი საათის შემდეგ ტურნირში მონაწილე გუნდების კაპიტნები, **დავით ლოსაბერიძე** (საქართველო), **კეუსკე უტიდა** (იაპონია), **უილ მეგი** (აშშ), **სტანისლავ სელსკი** (რუსეთი), **ავგუსტინ ორმაჩეა** (ურუგვაი), **მარკო მემა** (ზიმბაბვე), **ტეილორ ერდრონი** (კანადა) და **პატრიკ ფეეპეილი** (სამოა) მეტეხის პლატოზე შეიკრიბნენ და ტრადიციული მინი ბრიფინგი გამართეს. იქვე ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოებიც, რაც უმაღლესი რანგის სარაგბო ტურნირების ტრადიციაა.

„ჩვენ ეს შეჯიბრება აუცილებლად უნდა მოვიგოთ და მომავალ წელს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვიასპარეზოთ", - თქვა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა.

ავგუსტინ ორმაჩეა ურუგვაის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის **დიეგო ორმაჩეას** შვილი ყოფილა. მისი უფროსი ძმა ხუანი დიდი ხანია, ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავს.

„ამ ტურნირზე უდიდეს გამოცდილებას შევიძენ, რაც, ვფიქრობ, მომავალში აუცილებლად გამომადგება", - იმედოვნებს ის.

კანადის 20-წლამდელთა ნაკრების კაპიტანს ტურნირში გამარჯვებასთან ერთად სხვა მიზანიც აქვს:

„კანადის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში დამასახელა და შანსი მაქვს, ქვეყნის მთავარი გუნდის კვართი მსოფლიოს თასის გათამაშებაში წელსვე მოვირგო. თუ არადა, 2015 წელს ინგლისში გასამართ მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმზე აუცილებლად ვიასპარეზებ", - თქვა ტეილორ ერდრონმა.

### მსოფლიო ალაფი

**A ჯგუფი: სამოა, რუსეთი, ურუგვაი, აშშ**
**B ჯგუფი: იაპონია, საქართველო, კანადა, ზიმბაბვე**

### 24 მაისი

**იაპონია-ზიმბაბვე, სამოა-აშშ, რუსეთი-ურუგვაი, საქართველო-კანადა**

### 28 მაისი

**სამოა-ურუგვაი, იაპონია-კანადა, რუსეთი-აშშ, საქართველო-ზიმბაბვე**

### 1 ივნისი

**კანადა-ზიმბაბვე, ურუგვაი-აშშ, სამოა-რუსეთი, საქართველო-იაპონია**

### 5 ივნისი. ფინალი



ზე რაგბი




# ხარები იგებენ, ჯვაროსნებიც

ზე რაგბის გათამაშების მე-14 ტურში რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გაიმართა. განსაკუთრებული ყურადღება სამხრეთაფრიკულმა დაპირისპირებამ მიიპყრო. დურბანში C ჯგუფის მეორეადგილოსანი „ნატალ შარქსი" შინ შეხვდა შარშანდელ ჩემპიონ პრეტორიის „ბლუ ბულზს" და 23:32 დამარცხდა.

„ლურჯმა ხარებმა" პირველ ტაიმში შესანიშნავად ითამაშეს და, ფაქტობრივად, მატჩის ბედი გადაწყვიტეს. პრეტორიელებმა, მართალია, მხოლოდ ერთი ლელო გაიტანეს, მაგრამ კვლავ უზადოდ გაისარჯა მათი მგეზავი **მორნი სტეინი,** რომელმაც მატჩში ექვსი საჯარიმო და ორი გარდასახვა გაიტანა (22 ქულა). პირველი ნახევარი „ბლუ ბულზმა" 23:6 მოიგო.

მასპინძლებმა ხელი მეორე ტაიმშილა გამოიღეს, თუმცა მხოლოდ ანგარიშის ცხრა ქულამდე შემცირება შეძლეს. „ბლუ ბულზი", რომელიც 43 ქულით მესამე ადგილზეა, ამ გამარჯვების შემდეგ „ნატალ შარქსს" სამი ქულით ჩამორჩება. პრეტორიელები მომდევნო ტურში ბლუმფონტეინის „ჩიტაზს" დაუპირისპირდებიან, „ზვიგენებს" კი კიდევ ერთ ფავორიტთან სიდნეის „ვორათაზთან" მოუწევს დაპირისპირება.

საკმაოდ დაძაბული გამოდგა მატჩის პირველი ტაიმი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზისა" და ჰემილთონის „ჩიფსის" დაპირისპირებაში. ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ჰემილთონელების მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და პირველ ნახევარში ფრეს დასჯერდა - 6:6.

შესვენების შემდეგ კრუსეიდერზელები მთელი სიმძლავრით ამოქმედდნენ და მგეზავის **დენ კარტერის** შესანიშნავი თამაშის წყალობით გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს. დენმა ხუთი საჯარიმო, თითო არეკნი და გარდასახვა გაიტანა (20 ქულა). ქრაისთჩერჩელებმა თამაში 25:19 მოიგეს და B ჯგუფის ლიდერ ოქლენდის „ბლუზს" ორი ქულით ჩამორჩებიან.

ოქლენდელებმა თავის მხრივ C ჯგუფის ლიდერ კეიპთაუნის „სტორმერზს" უმასპინძლა და 26:28 წააგო. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა და დრამატული სცენარით განვითარდა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში მეტოქეს ყველაფერში აჯობეს და 16-ქულიანი სხვაობით მოუგეს - 19:3.

მეორე ნახევარში ვითარება მოედანზე რადიკალურად შეიცვალა. სტუმრებმა მატჩის 71-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირეს - 26:21. შეხვედრის ბოლო წუთზე კი გამარჯვების ლელო მესამეხაზელმა **სხალკ ბურხერმა** გაიტანა, შეცვლაზე შესულმა მგეზავმა **ლიონელ ნდუვენაგემ** გარდასახვა ზუსტად დაარტყა და სტორმერზელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს -28:26.

A ჯგუფის ლიდერი ბრისბენის „რედსი" მე-14 ტურში ისვენებდა. მეორეადგილოსანმა სიდნეის „ვორათაზმა" კი იოჰანესბურგის „ლაიონზს" უმასპინძლა და 29:12 დაამარცხა.

სიდნეელების უპირატესობა თამაშის ყველა რგოლში თვალსაჩინო იყო. მათ პირველ ტაიმში მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს და შესვენებაზე 24-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ. ხუთი ლელოდან ორი გარემარბ **სოსენე ასენის** ანგარიშზეა. მართალია, ფულბეკმა **ქართლი ბეილიმ** ერთი ლელო თვითონაც მიითვალა, მაგრამ ხუთიდან მხოლოდ ორის გარდასახვა შეძლო.

მეორე ტაიმში „ვორათაზს" მონაგარისთვის ალარაფერი შეუმატებია. სტუმრებმა კი მხოლოდ ერთი ლელოს დადება მოახერხეს.

ისევ დამარცხდა გათამაშების დებიუტანტი ავსტრალიური „მელბურნ რებლზი". ახალბედებმა ამჯერად სტუმრად წააგეს ბლუმფონტეინის „ჩიტაზთან" - 21:41. მელბურნელთა რიგებში კვლავ არ გამოჩენილა ინგლისელი მგეზავი **დენი სიპრიანი.**

### XIV ტური

### A ჯგუფი

**ვორათაზი-ლაიონზი 29:12, ფორსი-ბრამბიზი 13:13**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. რედსი - 54 ქულა, 2. ვორათაზი - 45, 3. ფორსი - 27, 4. ბრამბიზი - 24, 5. მელბურნ რებლზი - 19**

### XV ტური

**ბრამბიზი-სტორმერზი, რედსი-კრუსეიდერზი**

### B ჯგუფი

**ბლუზი-სტორმერზი 26:28, კრუსეიდერზი-ჩიფსი 25:19**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბლუზი - 50 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 48, 3. ჰაილენდერზი - 43, 4. ჩიფსი - 30, 5. ჰარიკენზი - 29**

### XV ტური

**ჰარიკენზი-ფორსი, ჰაილენდერზი-ლაიონზი**

### C ჯგუფი

**ჩიტაზი-მელბურნ რებლზი 41:21, ნატალ შარქსი-ბლუ ბულზი 23:32**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. სტორმერზი - 48 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 43, 3. ბლუ ბულზი - 40, 4. ჩიტაზი - 34, 5. ლაიონზი - 19.**

### XV ტური

**ნატალ შარქსი-ვორათაზი, ბლუ ბულზი-ჩიტაზი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

● ჰოკეი. NHL პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# სიტუაცია იძაბება

„ვანკუვერ კენაქსს“ არ გამოუვიდა იოლი გასეირნება „სან ხოსესთან“ სერიაში. მესამე მატჩის მოგების შემთხვევაში კანადელები პრაქტიკულად სტენლის თასის ფინალში იქნებოდნენ, მაგრამ „შარქსმა“ გაქვითა სერიაში ანგარიში და ბრძოლის შანსი დაიტოვა.

მასპინძლებმა დებიუტშივე სცადეს მატჩის ბედის გადაწყვეტა და ეს თითქმის გამოუვიდათ. ამაში მეტოქე ჰოკეისტების გაძევებები და მეკარე **ლოუნგოს** არადამაჯერებელი თამაში დაეხმარათ. „ზვიგენების“ კაპიტანმა **ჯო ტორნტონმა** ორი ბრწყინვალე პასით ორი გოლი გაატანინა **პატრიკ მარლოს**, მის გოლებს შორის ერთხელ თავი **ქლოუმ** გამოიჩინა.

3:0 დაწინაურების შემდეგ „სან ხოსემ“ ისევ ჩართო თვითლიკვიდაციის რეჟიმი. მეორე პერიოდში მასპინძლები ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ მოედანს გაძევებების გამო. „შარქსს“ გაუმართლა, როცა „ვანკუვერმა“ ორჯერ ვერ გამოიყენა ორით მეტი ჰოკეისტი. შემდეგ იყო მესამე პერიოდი, რომელსაც „სან ხოსე“, როგორც წესი, კოშმარულად ატარებს, თუმცა ამჯერად გაუმართლა, რადგან მეტოქემ კარგი საჩუქარი გაუკეთა. მას შემდეგ, რაც **ბაროუზმა** ერთი შაიბა გაქვითა, მან და კესლერმა 25 წამის ინტერვალით 2-წუთიანი ჯარიმები მიიღეს და **დენ ბოილმა** რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა - 4:1.

„სან ხოსემ“ მაინც ვერ აიცილა თავიდან ნერვიული დასასრული. მე-12 წუთზე „ზვიგენების“ ფორვარდმა **ჯეიმი მაკგინმა** ზურგში ჩასცხო „კენაქსის“ მცველ **აარონ როუმს**, რომელიც მოედნის დამცავ ბარიერს თავით დაეჯახა. ის გასახდელში საკაცით გაიყვანეს, მაკგინმა კი ხუთწუთიანი ჯარიმა და მატჩის ბოლომდე გაძევება დაიმსახურა.

ეს ხუთწუთიანი რიცხობრივი უპირატესობა „ვანკუვერმა“ მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენა - ორი შაიბა გაიტანა. ასე რომ, „შარქსისთვის“ ბოლო ექვს მატჩში მესამე პერიოდების საერთო ანგარიში 5:17 გახდა. თუმცა უფრო მეტის გაკეთება „ვანკუვერმა“ ვერ შეძლო. ბაროუზისა და **კესლერის** აქტიურობა ანგარიშის გასათანაბრებლად საკმარისი არ აღმოჩნდა, ძმები **სედინები** კი, რომლებმაც მეორე მატჩში გაიბრწყინეს, ამჯერად ისევ ჩრდილში მოექცნენ.


სან ხოსემ ანგარიში გაქვითა

■ ■ ■

თითქმის იმავე სცენარით წარიმართა „ტამპა ბეისა“ და „ბოსტონის“ სერიის მეოთხე მატჩი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ 0:3-ის შემდეგ „ლაითნინგმა“ შეძლო გამარჯვების მოპოვება და სერიაში ანგარიშის გათანაბრება.

ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლებისთვის თამაში კოშმარულად დაიწყო. დებიუტში „ბოსტონმა“ სამივე შაიბა მეტოქის უხეში შეცდომების შემდეგ გაიტანა. მაგალითად, **ბრეტ კლარკმა** საკუთარ კართან **პატრის ბერჟერონს** ჩააბარა შაიბა და მან ახლო კუთხეში გაიტანა.

როგორც ჩანს, მცველების არადამაჯერებლობა მეკარე **დუეინ როლოსონსაც** გადაედო. ერთ მომენტში მან კინაღამ ბარიერიდან ასხლეტილი შაიბა გაუშვა, ცოტა ხანში კი ერთი წუთის ინტერვალით მის კარში ორი შაიბა აღმოჩნდა და ვეტერანი **მაიკ სმიტით** შეცვალეს.

თითქოს **გი ბუშეს** გუნდს გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდა, რადგან „ტამპას“ ბევრი არაფერი გამოსდიოდა, მაგრამ მეორე პერიოდში მასპინძლებს მეტოქე დაეხმარა - სტუმრებმა საკუთარი კარის უკან დაკარგეს შაიბა, რომელიც **საიმონ განიემ** ჩაიგდო ხელში და **ტედი პურსელს** გაატანინა. ზუსტად ერთ წუთში მანვე მახვილი კუთხიდან გაიტანა და დუბლი შეასრულა. მასპინძლებმა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს და მალე ანგარიში გაათანაბრეს. **შონ ბერგენჰაიმმა** კარის უკან შაიბა მოპარა **კრეისის** და თავად დაასრულა შეტევა - 3:3.

მესამე გაშვებულმა გოლმა „ბოსტონი“ გაააქტიურა, მაგრამ როლოსონის შემცვლელი სმიტი კარგად იდგა კარში. მან ჯამში 21 დარტყმიდან ყველა მოიგერია და კარიერაში პირველად მოიგო პლეი ოფის შეხვედრა. ამასობაში, „ტამპამ“ პირველად წინ გასვლის შანსი დაკარგა, როცა **მელოუნმა** ერთი ერთზე გასვლა ვერ გამოიყენა, ცოტა ხანში კი საიმონ განიემ **ტიმ ტომასს** ახლო მანძილიდან გაუტანა.

რა არ სცადა „ბოსტონმა“ დარჩენილ დროში ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ სმიტს ვერაფერი მოუხერხა. ბოლო წუთზე კი **მარტინ სენტ ლუისმა** ცარიელ კარში გაიტანა და შეხვედრას წერტილი დაუსვა - 5:3.

**დასავლეთი**

| სან ხოსე-ვანკუვერი | 4:3 |
|---|---|

**3:0, 0:0, 1:3**

**გოლები:** 1:0 მარლო-6 (ჯ. ტორნტონი-12, სეტოგუჩი-3), 2:0 ქლოუ-5 (დ. ბოილი-12, ი. უაიტი-8), 3:0 მარლო-7 (ჯ. ტორნტონი-13), 3:1 ბაროუზი-5, 4:1 დ. ბოილი-3 (მარლო-4, ჯ. ტორნტონი-14), 4:2 ჰამჰუისი-1 (ჰ. სედინი-13), 4:3 ბიეკსა-4 (რეიმონდი-6, ჰანსენი-4).

**სერია: 1-2**

**აღმოსავლეთი**

| ტამპა ბეი-ბოსტონი | 5:3 |
|---|---|

**0:3, 3:0, 2:0**

**გოლები:** 0:1 პ. ბერჟერონი-3, 0:2 რაიდერი-5 (კელი-6, ტ. კაბერლე-6), 0:3 პ. ბერჟერონი-4, 1:3 პურსელი-3 (საიმონ განიე-6), 2:3 პურსელი-4 (ოლუნდი-2, ლეკავალიე-11), 3:3 ბერგენჰაიმი-9 (მური-8), 4:3 საიმონ განიე-4 (მელოუნი-3), 5:3 სენტ ლუისი-8 (საიმონ განიე-7, ჰედმანი-6).

**სერია: 2-2**

● TV პროგრამა

**23 მაისი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ნაპოლი.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერი-სან ლორენცო.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-მილანი.
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ბარსელონა.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ვალანსი.
21:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. არსენალი-ბოკა ხუნიორსი.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბლექპული.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატის. ტურის მიმოხილვა.
11:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ჩიკაგო. III მატჩი.
13:20 ჩოგბურთი. „დიდი შლემი“. როლან გაროსი. II დღე. პარიზი (LIVE).
00:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ჩიკაგო. III მატჩი.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-დალასი. IV მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

04:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ბოსტონი-ტამპა ბეი. V მატჩი (LIVE).

**EUROSPORT-1**

13:00 ჩოგბურთი. „დიდი შლემი“. როლან გაროსი. II დღე. პარიზი (LIVE).

**EUROSPORT-2**

13:00 ჩოგბურთი. „დიდი შლემი“. როლან გაროსი. II დღე. პარიზი (LIVE).
22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. პლეი ოფი (LIVE).

● ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ესპანეთი** | |
| ფუენლაბრადა-რეალი | 55:68 |
| ბილბაო-ვალენსია | 79:75 |
| გრან კანარია-კახა ლაბორალი | 76:93 |
| **იტალია** | |
| ვარეზე-კანტუ | 69:75 |
| სასარი-მილანი | 72:91 |
| **თურქეთი** | |
| ბანვითი-ოლინი | 71:60 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| სან ხოსე-ვანკუვერი | 2:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ნიცა** | |
| ჰანესკუ-ალმაგრო | 7:6, 3:6, 3:6 |
| **WTA. ბრიუსელი** | |
| პენგი-ვოზნიაცკი | 6:2, 3:6, 3:6 |
| **WTA. სტრასბური** | |
| პეტკოვიჩი-ბარტოლი | 6:4, 1:0 უარი |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| ფ. მაიერი-მონაკო | 7:6, 6:0 |
| კოლშრაიბერი-ჩელა | 4:6, 6:7 |

● ამბები

**ფორმულა 1**

## ჰემილტონი პოტენციური ფერარელია

იტალიური საჯინიბო „ფერარი“ არ მალავს თავის გეგმებს და ღიად აცხადებს, რომ „მაკლარენის“ პილოტ **ლუის ჰემილტონთან** სურს კონტრაქტის გაფორმება. „სკუდერიას“ შეფის **სტეფანო დომენიკალის** თქმით, ბრიტანელი მისი გუნდის პოტენციური წევრია.

*„ჰემილტონი „ფერარის“ პოტენციური პილოტია. ლუისი უმაღლესი მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი ნახლავთ. მართალია, ის „მაკლარენის“ ერთგულია, მაგრამ ხანდახან ადამიანები აზრს იცვლიან.*

*მოვლენათა განვითარების სხვა ვარიანტებიც გაგვაჩნია. გარდა ამისა, „ფერარი“ კმაყოფილია თავისი ამჟამინდელი პილოტებით. გავიფორმებთ თუ არა სეზონის ბოლოს უებერს? მზად ვართ ყველას მივცეთ შანსი. არასოდეს ვამბობთ - არასოდეს“, - განუცხადა სააგენტო AP-ს დომენიკალიმ.*

**ოლიმპიზმი**

## ბოლტის ნახვა მილიონებს უნდათ

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა მილიონზე მეტი განაცხადი მიიღო 5 აგვისტოს მძლეოსანთა ტურნირზე დასასწრებად. სწორედ ამ დღეს გაიმართება ფინალური გარბენი 100 მეტრზე მამაკაცებს შორის.

ოლიმპიური სტადიონის ტევადობა 80 ათასია, ამასთან ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ 40 ათასი ბილეთი. დანარჩენი ადგილები სპონსორებს, მაღალჩინოსნებსა და პრესის წარმომადგენლებს ეკუთვნით.

**კალათბურთი**

## უესტი სელტიქსში რჩება

„ბოსტონ სელტიქსი“, სავარაუდოდ, შეინარჩუნებს მომავალი სეზონისთვის მცველ **დელონტე უესტს**. როგორც Boston Globe წერს, მხარეებმა თითქმის მიაღწიეს შეთანხმებას ახალ კონტრაქტზე. ამასთან, პრესისთვის უცნობი დარჩა ამ ხელშეკრულების დეტალები.

გასულ რეგულარულში უესტი ძირითადი გამთამაშებლის **რაჟონ რონდოს** შემცვლელი იყო. საერთო ჯამში ის კარგად შეერწყა ახალი გუნდის სათამაშო სქემას.

## ლეიკერსი ადელმანს ელაპარაკება

როგორც ჩანს, სიმართლეს შეესაბამება ცნობა იმის შესახებ, რომ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ ძირითად კანდიდატად ვეტერან **რიკ ადელმანს** განიხილავს. კალიფორნიელთა ბოსები უკვე დაუკავშირდნენ „ჰიუსტონის“ ყოფილ მწვრთნელს და მოლაპარაკებების თარიღზე შეუთანხმდნენ. თუმცა მოლაპარაკების ადგილი და თარიღი პრესისთვის უცნობი დარჩა.

ადელმანის გარდა „ლეიკერსის“ ხელმძღვანელობა **მაიკ ბრაუნის**, **მაიკ დანლივისა** და **ფილ ჯექსონის** ასისტენტის **ბრაიან შოუს** კანდიდატურებს განიხილავს.

**ჰოკეი**

## ატლანტა ვინიპეგში გადადის

სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა კანადურმა გამოცემა The Globe and Mail-მა. როგორც ირკვევა, NHL-ის კლუბი „ატლანტა ტრეშერზი“ მომავალი სეზონისთვის ადგილსამყოფელს შეიცვლის და კანადის ქალაქ ვინიპეგში დაბანაკდება. როგორც ირკვევა, გუნდის გაყიდვასა და მის გადაბარგებაზე შეთანხმება ოფიციალურად არის გაფორმებული.

დაუდასტურებელი ცნობის თანახმად, კლუბის ახალმა მფლობელებმა - **მარკ ჩიპმანმა** და **დევიდ ტომსონმა** დიდი ხნის წინ ჩაიფიქრეს „ატლანტას“ შეძენა. რამდენიმე თვის წინ NHL-ის მმართველთა საბჭომ მოიწონა ეს გარიგება და სხვა ქალაქში გადასვლის შესაძლებლობა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ჯორჯიას შტატის მთავრობამ გუნდს ვერაფერი უშველა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კრივი

# ჯალათმა ისტორია გადაწერა


ბერნარდ ჰოპკინსი

შაბათს, კანადის ქალაქ მონრეალის რინგზე კრივის ახალი ისტორია დაიწერა. 46 წლის ამერიკელმა **ბერნარდ ჰოპკინსმა** მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა 28 წლის კანადელი **ჟან პასკალი** და WBC-ის ვერსიით ნახევრადმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ახლა ჰოპკინსი კრივის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი მოკრივეა, ვინც ერთ-ერთი ძირითადი ვერსიით ტიტული დაიმსახურა. ბერნარდმა ლეგენდარული ამერიკელის **ჯორჯ ფორმენის** რეკორდი დაამხო და სამუდამოდ შევიდა კრივის ისტორიაში.

აღნიშნული ბრძოლის მესამე რაუნდში პასკალის მარცხენა მოკლე დარტყმამ მიაღწია მიზანს და ჰოპკინსი კინაღამ ნოკდაუნში მოხვდა, მაგრამ ამერიკელმა წონასწორობა შეინარჩუნა და თავად გადავიდა შეტევაზე, რასაც ერთი უძლიერესი დარტყმა მოჰყვა. ახლა უკვე პასკალი აღმოჩნდა ნოკდაუნის ზღვარზე.

მეოთხე რაუნდის ბოლოს მასპინძელს კიდევ ერთი კარგი დარტყმა გამოუვიდა, მაგრამ მეექვსე რაუნდიდან მოყოლებული აქტივობას უკლო. მეცხრე 3-წუთეულში კანადელი ხელთათმანით რინგს შეეხო, მაგრამ მსაჯებმა ნოკდაუნი არ დააფიქსირეს. ბრძოლის ბოლოს პასკალმა იგრძნო, რომ ქულებით გამარჯვება ჰოპკინსს დარჩებოდა, ამიტომაც საბოლოო შტურმზე გადავიდა, მაგრამ ამერიკელმა ზეწოლას გაუძლო. სამივე მსაჯმა უპირატესობა ჰოპკინსს მიანიჭა - 115:113, 116:112, 115:114.

შეგახსენებთ, რომ ეს მოკრივეები შარშან დეკემბერში ხვდებოდნენ ერთმანეთს და მაშინ მსაჯების საეჭვო გადაწყვეტილებით ფრე დაფიქსირდა, რამაც პასკალს ტიტულის შენარჩუნების საშუალება მისცა. ახლა კი მატჩ-რევანში „ჯალათის“ (ჰოპკინსის მეტსახელი) სრული უპირატესობით დასრულდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# ფავორიტები დღეს იწყებენ

მამაკაცების ტურნირი იმით დაიწყო, რომ უბრძოლველად დატოვა როლან გაროსი მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ლეიტონ ჰიუიტმა.** ამის ოფიციალური მიზეზი მარცხენა ფეხის ტრავმა გახდა. შეგახსენებთ, რომ ავსტრალიელს სწორედ ამ დაზიანების გამო მაიამის მასტერსის შემდეგ არ უთამაშია.

30 წლის ჰიუიტი ძირითად ბადეში ფრანგმა **მარკ ჟიკელმა** შეცვალა. მას გუშინვე მოუწია პირველ წრეში თამაში და დამარცხდა ესპანელ **ალბერტ მონტანიესთან.**

შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პირველი განთესილი ჩოგბურთელის გავარდნა. საშინელი თამაში აჩვენა ტურნირის მე-19 ნომერმა **მარინ ჩილიჩმა.** საუკეთესო ათეულის ყოფილმა წევრმა სამ სეტში 67 (!) უნებლიე შეცდომა დაუშვა და ხუთჯერ წააგო საკუთარი მოწოდება. ასეთი თამაშით ხორვატს მეორე წრეში არაფერი ესაქმებოდა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჩილიჩმა წააგო ესპანელ **რუბენ რამირეს-იდალგოსთან.** ამ ჩოგბურთელმა „დიდი სლემის“ რიგით მე-15 ტურნირში აილო სტარტი და მხოლოდ მეოთხე (!) მატჩი მოიგო. 2006 წელს, საფრანგეთის ღია პირველობაზე ესპანელმა მეოთხე წრეში გააღწია, იქიდან მოყოლებული კი „დიდი სლემის“ 13 ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და 13-ჯერ (!) წააგო პირველი წრის მატჩი. ნავსი მან გუშინ გატეხა.

კიდევ ერთ ესპანო-ხორვატულ დაპირისპირებაში ასევე პირენეის ნახევარკუნძულის წარმომადგენელმა გაიმარჯვა. 65-ე ნომერმა **პერე რიბამ** ATP-ის 46-ე ნომერი **ივან დოდიგი** დაამარცხა ოთხ სეტში - 6:3, 3:6, 7:6(6), 6:4. გადამწყვეტი მომენტი იყო მესამე სეტი, რომელიც საათი და 12 წუთი გაგრძელდა. საბოლოოდ, ტაი-ბრეიკზე ესპანელმა იმარჯვა და შემდეგ მეოთხე სეტში წერტილი დაუსვა შეხვედრას. მარათონული მატჩი სამი საათი 21 წუთი მიმდინარეობდა.

აღარ გვიკვირს ერთ დროს პერსპექტიული ლატვიელის **ერნესტ გულბისის** წარუმატებლობები. საუკეთესო ოცეულის ყოფილი წევრი საერთოდ ამოვარდნილია ფორმიდან, ზედიზედ აგებს თამაშებს და ამ მომენტისთვის კლასიფიკაციაში 85-ე პოზიციამდეა დაშვებული.

ბალტიისპირელის მეტოქე რეიტინგში მისი მეზობელი, 24 წლის სლოვენიელი **ბლაჟ კავჩიჩი** იყო. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის საბოლოო ანგარიში კატასტროფული ლატვიელისთვის იყო (1:6, 4:6, 2:6), თამაში საკმაოდ დიდხანს, თითქმის ორ საათს გაგრძელდა. გულბისმა ორი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ ამასთან, შვიდჯერ დათმო საკუთარი მოწოდება. აღსანიშნავია, რომ ლატვიელი ძალიან ბევრს ცდებოდა: მის ანგარიშზე ცხრა ორმაგი და 55 უნებლიე შეცდომა იყო. კავჩიჩის ანალოგიური მაჩვენებლები ექვს ორმაგსა და 20 უნებლიე შეცდომას უდრიდა.

ადგილობრივი პუბლიკის გასახარად გუშინ სამი ფრანგი გავიდა მეორე რაუნდში, თუმცა იყვნენ წაგებულებიც. მაგალითად, შვეიცარიელმა **სტანისლას ვავრინკამ** ტურნირს ჩამოაშორა ფრანგი **ოგუსტენ ჟენსე,** მიუხედავად იმისა, რომ პირველი სეტი მასპინძელს დარჩა. სხვათა შორის, შვეიცარიელისთვის როლან გაროსზე ეს სტარტი ზედიზედ 25-ეა „დიდი სლემის“ ტურნირების“ ძირითად ბადეში. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ შვეიცარიელი ბოლო ორი წელი პარიზში მეოთხედფინალში თამაშობდა.

მთავარ ფავორიტთაგან გუშინ ბრძოლაში მხოლოდ ესპანელი **დავიდ ფერერი** ჩაება და პრობლემა არ ჰქონია პირველ მატჩში. 29 წლის ჩოგბურთელი მსოფლიოს 50-ე ჩოგანს, ფინელ **იარკო ნიემინენს** ხვდებოდა. სხვათა შორის, ეს მოთამაშეები წელს ავსტრალიის ღიაზეც ამავე ეტაპზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და დავიდმა გამარჯვებას მიაღწია.

პარიზულ გრუნტზე ესპანელმა კიდევ უფრო დამაჯერებლად მოიგო - 6:3, 6:3, 6:1. შემდეგ წრეში გასასვლელად დავიდმა საათი და 25 წუთი დახარჯა. ფერერმა ხუთჯერ აილო მეტოქის მოწოდება, ამასთან, სკანდინაველს არათუ ბრეიკი, ერთი ბრეიკ-პოინტიც არ დაანება.

ბრძოლას აგრძელებს ორი იტალიელი - **ფაბიო ფონინი** და **ანდრეას სეპი.** მათ შესაბამისად, **დენის ისტომინი** და **თემურ გაბაშვილი** დაამარცხეს. შემთხვევითი არ არის, რომ იტალიელებმა როლან გაროსის წინ კარგი ფორმა აჩვენეს და გუშინდელმა მატჩებმა მათი მზადყოფნა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

### კაცები

#### I წრე

**დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:3, 6:3, 6:1; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-რუი მაშადო (პორ) 4:6, 6:1, 6:2, 6:0; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-იუნ ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:1, 6:3, 6:4; **სერგეი სტახოვსკი (უკრ, 31)**-დავიდ გუე (საფ) 6:7, 6:3, 6:3, 6:3; **გიიომ რუფენი (საფ)**-ადრიან მანარინო (საფ) 6:2, 6:3, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14)**-ოგუსტენ ჟენსი (საფ) 4:6, 6:3, 6:4, 6:2; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 17)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 6:3, 6:2, 6:2; **პერე რიბა (ესპ)**-ივან დოდიგი (ხორ) 6:3, 3:6, 7:6, 6:4; **მაქსიმ ტეიშეირა (საფ)**-ვენსან მილო (საფ) 6:2, 5:7, 6:7, 6:4, 6:1; **ფაბიო ფონინი (იტა)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:4, 6:2, 6:2; **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ, 30)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:1, 7:5, 4:6, 6:3; **რუბენ რამირეს იდალგო (ესპ)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 19) 7:6, 6:4, 6:4; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:4, 6:4, 6:2; **ანდრეას სეპი (იტა)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:3, 7:5, 7:5; **ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:1, 6:4, 6:2.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

როლან გაროსი. კაცების ბადე



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# ფინალისტმა მოგებით დაიწყო

ქალთა ტურნირში პირველი სენსაცია იტალიელი **ფლავია პენეტას** სახელს უკავშირდება. მსოფლიოს მე-19 ნომერი ბოლო წლებში აშკარად ყველაზე სუსტ სეზონს ატარებს. ინდიან უელსის სუპერტურნირის მესამე წრეში გასვლის შემდეგ ფლავიასთვის ეს როლან გაროსი ზედიზედ მეოთხე შეჯიბრია, რომელშიც ის პირველივე წრეში გამოეთიშა ბრძოლას.

გუშინ იტალიელის დამარცხება შეძლო ტაშკენტში დაბადებულმა **ვარვარა ლეპჩენკომ**, რომელიც ამჟამად ამერიკის სახელით გამოდის. რეიტინგის 77-ე ნომერმა მეტოქეზე ერთით მეტი ბრეიკი გააკეთა და ამის ხარჯზე სამ სეტში გაიმარჯვა - 6:3, 2:6, 6:3. ამ ჩოგბურთელთა რიგით მეორე შეხვედრა საათსა და 58 წუთს გაგრძელდა და ლეპჩენკომ იტალიელთან ურთიერთშეხვედრებში გაათანაბრა ანგარიში.

კიდევ ერთი განთესილი, რომელიც როლან გაროსს ჩამოშორდა, ტურნირის მე-19 ნომერი **შაარ პეერი** იყო. ისრაელის წარმომადგენელი ერთ დროს ძლიერ, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში კლასიფიკაციაში 86-ე პოზიციამდე დაქვეითებულ ესპანელ **მარია ხოსე მარტინეს-სანჩესს** ხვდებოდა. ეს უკანასკნელი შარშან კლასიფიკაციის საუკეთესო ოცეულში იმყოფებოდა, მაგრამ ეს წელი მისთვის ძალიან ცუდად ვითარდება. მარიამ ტრავმის გამო რამდენიმე თვე გამოტოვა, მაგრამ ახლა ყველაფერი წესრიგში აქვს, რაც გუშინდელმა შეხვედრამაც დაადასტურა.

პირენეელმა ორი სეტი იკმარა პეერის დასამარცხებლად - 7:6(4), 6:1. მარტინეს-სანჩესმა ექვსი ბრეიკი გააკეთა და სამჯერ წააგო საკუთარი მოწოდება. აღსანიშნავია, რომ ისრაელელმა 36 უნებლიე შეცდომა დაუშვა, მისმა მეტოქემ - 25. მატჩი საათსა და 43 წუთში დასრულდა.

წარმატებით დაიწყო საფრანგეთის ღია პირველობაზე გამოსვლა **სამანტა სტოსურმა**. ავსტრალიელისთვის როლან გაროსი განსაკუთრებული ტურნირია. ორი წლის წინ მან აქ პირველად გააღწია „დიდი სლემის" ჩემპიონატის ნახევარფინალში, შარშან კი გააუმჯობესა ეს შედეგი და ფინალში ითამაშა, სადაც იტალიელ **ფრანჩესკა სკიავონესთან** წააგო.

სტოსურმა მატჩი საწყისი გეიმის წაგებით დაიწყო, მაგრამ ავსტრალიელმა მალე მიუჩინა კუთვნილი ადგილი **ივეტ ბენეშოვას**. ერთ-ერთმა ფავორიტმა 69 წუთში გაიფორმა პირველი გამარჯვება. სამანტამ 29 „ვინერსი" შეასრულა და 19 უნებლიე შეცდომა დაუშვა. საწყისი მატჩისთვის ცუდი მაჩვენებელი არ არის.

გერმანელმა **იულია გიორგესმა** მშვიდად და დამაჯერებლად მოუგო შვედური წარმოშობის ფრანგ **მატილდა იოჰანსონს**. ადგილობრივი პუბლიკა მეორე ფრანგმა - **ალიზ კორნემ** გაახარა, რომელმაც ორ პარტიაში სძლია **რენატა ვორაკოვას**.

**სვეტლანა კუზნეცოვამ** მოწოდებაზე ძალიან კარგი თამაში აჩვენა და ძირითადად, ამის ხარჯზე მოუგო **მაგდალენა რიბარიკოვას**. ამასთან, რუსმა აქტიური მოქმედებით მეტოქეზე შვიდი ქულით მეტი აიღო.

როგორც ჩანს, კარგ ფორმაშია სერბი **ელენა იანკოვიჩი**, რომელმაც პირველი წრის ბარიერი ძალიან იოლად გაიარა. როლან გაროსის სამგზის ნახევარფინალისტმა საათზე ოდნავ მეტი მოანდომა 26 წლის უკრაინელი **ალიონა ბონდარენკოს** განადგურებას - 6:3, 6:1. საინტერესოა ამ ჩოგბურთელთა ურთიერთშეხვედრების ანგარიში - 13:1 ელენას სასარგებლოდ.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია სამსაათიანი ბრძოლა **ვერა დუშევინასა** და **ელენა დოკიჩს** შორის, რომელშიც უფრო ძლიერი რუსი ჩოგბურთელი აღმოჩნდა, **ცვეტანა პირონკოვას** მოგება **კეისი დელაკუას** წინააღმდეგ, დღის ყველაზე გამანადგურებელი მოგება: **პოლონა ჰერცოგმა** საათზე ნაკლები მოანდომა **ოლივია სანჩესის** დამარცხებას (ფრანგმა მხოლოდ ერთი გეიმი აიღო ორ სეტში). აგრეთვე **ლუსი საფაროვას** მოულოდნელად დიდი უპირატესობა **კირსტენ ფლიპკენსის** წინააღმდეგ. ბელგიელმა 22 უნებლიე შეცდომა დაუშვა, ოთხიდან ვერც ერთი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და საბოლოოდ, 57 წუთში მხოლოდ ორი გეიმი აიღო.

სხვათა შორის, გუშინ როლან გაროსის ქალთა ბადე კიდევ ერთი განთესილის გარეშე დარჩა. ბოლო მომენტში საფრანგეთის ღია პირველობაზე თამაში იუარა რუსმა **ალისა კლეიბანოვამ** - მას ვირუსული ინფექცია შეეყარა და იძულებული გახდა განაცხადი გამოეტანა. მისი ადგილი ძირითად ბადეში კიდევ ერთმა რუსმა **ანასტასია პივოვაროვამ** დაიკავა, რომელმაც როლან გაროსის კვალიფიკაციის ფინალი წააგო ამერიკელ **სლოუნ სტივენსთან**.

**ქალები**

**I წრე**

**მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-შაარ პეერი (ისრ, 19) 7:6, 6:1; **რებეკა მარინო (კან)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:3, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 13)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:2, 6:3; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 6:1, 6:1; **ჯულია გორჯესი (გერ, 17)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 6:1, 6:4; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ, 32)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 7:5, 6:3; **ხისელა დულკო (არგ)**-ირინა ფალკონი (აშშ) 6:3, 6:4; **სიმონა ჰალეპი (რუმ)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:2, 6:1; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 8)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:2, 6:3; **ალიზ კორნე (საფ)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 6:4, 6:2; **მონა ბარტელი (გერ)**-სიბილი ბამერი (ავსტრია) 6:1, 7:5; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 14)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ) 7:5, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 10)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 6:3, 6:1; **ვერა დუშევინა (რუს)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 4:6, 6:3, 6:2; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-არანჩა პარა სანტონხა (ესპ) 2:6, 7:6, 6:3; **ვარვარა ლეპჩენკო (აშშ)**-ფლავია პენეტა (იტა, 18) 6:3, 2:6, 6:3; **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-ოლივია სანჩესი (საფ) 6:0, 6:1.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## როლან გაროსი. ქალების ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|---|
| ვოზნიაცკი (დან, 1) | | | | | |
| დატე (იაპ) | | | | | |
| ნამიგატა (იაპ) | | | | | |
| ვოზნიაკი (კან) | | | | | |
| მაკჰეილი (აშშ) | | | | | |
| ერანი (იტა) | | | | | |
| ჟანგი (ჩინ) | | | | | |
| ჰანტუხოვა (სლოვა, 28) | | | | | |
| პეერი (ისრ, 19) | | | | | |
| მარტინეს სანჩესი (ესპ) | | | | | |
| მარინო (კან) | | | | | |
| კ. ბონდარენკო (უკრ) | | | | | |
| რეზაი (საფ) | | | | | |
| ბეგუ (რუმ) | | | | | |
| რიბარიკოვა (სლოვაკ) | | | | | |
| კუზნეცოვა (რუს, 13) | | | | | |
| ბარტოლი (საფ, 11) | | | | | |
| ტატიშვილი (საქ) | | | | | |
| შავაი (უნგ) | | | | | |
| გოვორცოვა (ბლრ) | | | | | |
| ფლიპკენსი (ბელ) | | | | | |
| საფაროვა (ჩეხ) | | | | | |
| იოჰანსონი (საფ) | | | | | |
| გორჯესი (გერ, 17) | | | | | |
| პირონკოვა (ბულ, 32) | | | | | |
| დელაკუა (ავსტრა) | | | | | |
| დულკო (არგ) | | | | | |
| ფალკონი (აშშ) | | | | | |
| კუდრიავცევა (რუს) | | | | | |
| ჰალეპი (რუმ) | | | | | |
| ბენეშოვა (ჩეხ) | | | | | |
| სტოსური (ავსტრა, 8) | | | | | |
| ზვონარევა (რუს, 3) | | | | | |
| დომინგეს ლინო (ესპ) | | | | | |
| ლისიცკი (გერ) | | | | | |
| ამანმურადოვა (უზბ) | | | | | |
| კერბერი (გერ) | | | | | |
| გალოვიტცი (რუმ) | | | | | |
| როდიონოვა (ავსტრა) | | | | | |
| პეტროვა (რუს, 26) | | | | | |
| კლეიბანოვა (რუს, 23) | | | | | |
| ლ-ვივესი (ესპ) | | | | | |
| ვორაკოვა (ჩეხ) | | | | | |
| კორნე (საფ) | | | | | |
| ბამერი (ავსტრია) | | | | | |
| ბარტელი (გერ) | | | | | |
| შვედოვა (ყაზ) | | | | | |
| პავლიუჩენკოვა (რუს, 14) | | | | | |
| იანკოვიჩი (სერ, 10) | | | | | |
| ა. ბონდარენკო (უკრ) | | | | | |
| დოკიჩი (ავსტრა) | | | | | |
| დუშევინა (რუს) | | | | | |
| პარა სანტონხა (ესპ) | | | | | |
| მატეკი (აშშ) | | | | | |
| ლეპჩენკო (აშშ) | | | | | |
| პენეტა (იტა, 18) | | | | | |
| პენგი (ჩინ, 29) | | | | | |
| პაჩეკი (ავსტრია) | | | | | |
| სანჩესი (საფ) | | | | | |
| ჰერცოგი (სლოვენ) | | | | | |
| კეოტავონგი (ბრიტ) | | | | | |
| დოლონცი (რუს) | | | | | |
| ოუდინი (აშშ) | | | | | |
| სკიავონე (იტა, 5) | | | | | |

| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ნა ლი (ჩინ, 6) |
| | | | | | ზახვალოვა (ჩეხ) |
| | | | | | სოლერ-ესპინოსა (ესპ) |
| | | | | | ვესნინა (რუს) |
| | | | | | შნიდერი (შვეიც) |
| | | | | | კირსტეა (რუმ) |
| | | | | | პოუს ტიო (ესპ) |
| | | | | | დულგერუ (რუმ, 27) |
| | | | | | ციბულკოვა (სლოვ, 22) |
| | | | | | კინგი (აშშ) |
| | | | | | ბალტაჩა (ბრიტ) |
| | | | | | სტივენსი (აშშ) |
| | | | | | ს. ზახვალოვა (ჩეხ) |
| | | | | | ჟენგი (ჩინ) |
| | | | | | არნი (უნგ) |
| | | | | | კვიტოვა (ჩეხ, 9) |
| | | | | | კანეპი (ესტ, 16) |
| | | | | | არვიდსონი (შვედ) |
| | | | | | ფორეტც გაკონი (საფ) |
| | | | | | უოტსონი (ბრიტ) |
| | | | | | მაკაროვა (რუს) |
| | | | | | ოპრანდი (იტა) |
| | | | | | ლარსონი (შვედ) |
| | | | | | ივანოვიჩი (სერ, 20) |
| | | | | | ვინჩი (იტა, 30) |
| | | | | | ბრიანტი (იტა) |
| | | | | | როდინა (რუს) |
| | | | | | ბრემონი (საფ) |
| | | | | | პარმენტიე (საფ) |
| | | | | | პერვაკი (რუს) |
| | | | | | ჰლავაჩკოვა (ჩეხ) |
| | | | | | აზარენკა (ბლრ, 4) |
| | | | | | შარაპოვა (რუს, 7) |
| | | | | | ლუჩიჩი (ხორ) |
| | | | | | ონდრაშკოვა (ჩეხ) |
| | | | | | გარსია (ესპ) |
| | | | | | კრეიბასი (აშშ) |
| | | | | | დანილიდუ (საბ) |
| | | | | | ჩანი (ტაივ) |
| | | | | | ზაკოპალოვა (ჩეხ, 31) |
| | | | | | ვიკმაიერი (ბელ, 21) |
| | | | | | ნიკულესკუ (რუმ) |
| | | | | | მლადენოვიჩი (საფ) |
| | | | | | მორიტა (იაპ) |
| | | | | | მირზა (ინდ) |
| | | | | | ბაროისი (გერ) |
| | | | | | მეიერი (ავსტრია) |
| | | | | | ა. რადვანსკა (პოლ, 12) |
| | | | | | პეტკოვიჩი (გერ, 15) |
| | | | | | იოვანოვსკი (სერ) |
| | | | | | სევასტოვა (ლატ) |
| | | | | | ჰრადეცკა (ჩეხ) |
| | | | | | დენტონი (იტა) |
| | | | | | მედინა გარიგესი (ესპ) |
| | | | | | რაზანო (საფ) |
| | | | | | გაიდოშოვა (ავსტრა, 24) |
| | | | | | კირილენკო (რუს, 25) |
| | | | | | ვანდევეგე (აშშ) |
| | | | | | კუტუზოვა (უკრ) |
| | | | | | სხეპერსი (ს. აფრ) |
| | | | | | ერაკოვიჩი (ა. ზელ) |
| | | | | | რუსი (ჰოლ) |
| | | | | | იაკიმოვა (ბლრ) |
| | | | | | კლაისტერსი (ბელ, 2) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი


ოკლაჰომა-დალასი

# ნოვიცკის გარეშეც შესაძლებელია

„ოკლაჰომა-სიტიმ“ დიდი ხანი ვერ შეინარჩუნა საკუთარი მოედნის უპირატესობა, რომელიც მეორე მატჩში შესანიშნავ სტილში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მიიღო. „თანდერმა“ ძალიან სუსტად ჩაატარა სერიის მესამე შეხვედრა და „დალასმა“ ლოგიკური და სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

შეხვედრის დებიუტმა დაგვანახა, რომ „მავერიქსმა“ წინა მატჩში დამარცხების შემდეგ საჭირო დასკვნები გამოიტანა. ამასთან, „კოვბოების“ დამრიგებელმა **რიკ კარლაილმა** შესანიშნავი ტაქტიკური განსწავლულობა გამოავლინა და შესანიშნავად გადააწყო თავისი გუნდის თამაში. „მავერიქსი“ მიხვდა, რომ მხოლოდ ჩვეული სწრაფი თამაშით რთული იქნებოდა „ოკლაჰომას“ ძლევა. ამიტომაც „დალასმა“ აქცენტი დაცვაზე გააკეთა და მაქსიმალურად შეუზღუდა თავისუფალი მოქმედების საშუალება მასპინძელთა ლიდერებს.

სტუმრებმა პირველივე წუთებიდან ძლიერ წნეხში მოაქციეს **კევინ დურანტი** და **რასელ უესტბრუკი**. „დურანტულა“ საშინელი პროცენტით ისროდა, გამთამაშებელმა კი პირველ მეოთხედში ორი პერსონალური მიიღო, რამაც „დალასის“ შთამბეჭდავი გაქცევა გამოიწვია - სტუმრებმა უკვე პირველ მეოთხედში 15-ქულიანი ფორმა მიიღეს.

მეორე მეოთხედი პირველისგან დიდად არ განსხვავდებოდა. „მავერიქსი“ აგრძელებდა მეტოქისთვის თავისი პირობების კარნახს და მატჩის მსვლელობისას მისი უპირატესობა 23 ქულამდე ავიდა. როგორც ყოველთვის, ამაში დიდი როლი სათადარიგო კალათბურთელებმა შეიტანეს, რომლებმაც მეორე შეხვედრის ჩაგდების შემდეგ ამჯერად ჩვეული დონე აჩვენეს. მოკლედ, „დალასის“ უპირატესობა ეჭვგარეშე იყო.

დიდმა შესვენებამ მასპინძლებზე დადებითად იმოქმედა. **სკოტ ბრუქსი** მიხვდა, რომ შეტევაში ვერაფრით სჯობდა მეტოქეს და ამიტომაც ყურადღება დაცვაზე გადაიტანა. თავიდან ტაქტიკის შეცვლამ „ოკლაჰომას“ ვერ უშველა. „დალასი“ ინარჩუნებდა 20-ქულიან უპირატესობას. იმ მომენტისთვის მასპინძლებს თამაშიდან ტყორცნების 28-პროცენტიანი რეალიზაცია ჰქონდათ. „თანდერის“ უსუსურობის ნათელი დადასტურება იყო ტაიმ-აუტი, რომელიც გუნდის ცენტრმა **კენდრიკ პერკინსმა** ისე აიღო, რომ მწვრთნელისგან თანხმობა არ მიუღია.

ასეა თუ ისე, დაგვიანებით, მაგრამ ტაქტიკის შეცვლამ „ოკლაჰომას“ რაღაც შედეგი მოუტანა. მასპინძლებმა თამაში გაათანაბრეს და **ნოვიცკის** ნეიტრალიზაციის საკითხიც მოაგვარეს. გარდა ამისა, „გაილვიძეს“ უესტბრუკმა და დურანტმა. ამ ყველაფერმა კი ის გამოიწვია, რომ ბოლო მეოთხედის წინ სხვაობა 14 ქულამდე შემცირდა.

„თანდერმა“, როგორც იქნა, დაიჭირა თავისი თამაში და უპირატესობის განვრცობა შეძლო. დურანტისა და უესტბრუკის შეჩერება სულ უფრო რთული ხდებოდა, ბუნებრივია, „ოკლაჰომას“ გამოცოცხლებული პუბლიკაც დაეხმარა და საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე „მავერიქსის“ უპირატესობა მხოლოდ ექვს ქულას შეადგენდა.

თუმცა მასპინძელმა საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა. სკოტ ბრუქსის ახალგაზრდა მოთამაშეები ემოციებს აყვნენ, მოუმზადებელი სამქულიანების სროლა დაიწყეს და აბსოლუტურად არ შეიმჩნიეს მოედანზე დურანტის ყოფნა. სწორედ ამან არ მისცა „თანდერს“ წარმატების მიღწევის შესაძლებლობა მატჩში, რომელიც, ერთი შეხედვით, ყველა კომპონენტში წაგებული იყო.

როგორც ჩანს, „ოკლაჰომას“ ამგვარი მოქმედება გამოცდილების ნაკლებობით არის გამოწვეული. „თანდერის“ მოთამაშეთა უმეტესი ნაწილი წელს პირველად თამაშობს პლეი ოფში. ასეა თუ ისე, ტეხასელებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს და დაიბრუნეს საკუთარი მოედნის უპირატესობა. რაც შეეხება „ოკლაჰომას“, ის ვალდებულია შინ მოიგოს შემდეგი მატჩი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიის ბედი გარკვეული იქნება.

| ოკლაჰომა-დალასი | 87:93 |
| --- | --- |

12:27, 24:25, 20:18, 31:23

ო: უესტბრუკი (30), დურანტი (24+12 მოხსნა), იბაკა (9+7 მოხსნა), კოლისონი (9), ჰარდენი (7+9 მოხსნა), სეფოლოშა (4), პერკინსი (4).

დ: მერიონი (18), ნოვიცკი (18), კიდი (13+8 პასი), ტერი (13+6 პასი), სტივენსონი (8), ჩენდლერი (8+15 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (7), ბარეა (4), ჰეივუდი (4).

**სერია: 1-2**

● ფორმულა 1. ესპანეთის გრანპრი

# ფეტელი გადარჩა

**ლუის ჰემილტონის** („მაკლარენი“) მხრიდან აქტიური პრესინგის მიუხედავად, **სებასტიან ფეტელმა** („რედ ბული“) მოიგო ესპანეთის გრანპრი და განიმტკიცა ლიდერობა საერთო ჩათვლაში.

**ფერნანდო ალონსო** („ფერარი“) სამშობლოში ყოველთვის შთამბეჭდავად გამოიყურება და გუშინდელი რბოლის სტარტი ამის ნათელი დადასტურება იყო: „სკუდერიას“ პილოტი შესანიშნავად მოწყდა ადგილს და შემდეგ კარგად გამოიყენა სიტუაცია, როცა **მარკ უებერი** („რედ ბული“) და ფეტელი ერთმანეთში ბრძოლით იყვნენ გართულები. სებასტიანმა მაინც გაუსწრო მარკს, ამ დუეტს კი ალონსომ შიდა რადიუსით აუარა გვერდი - ბრწყინვალე სტარტი და ლიდერის პოზიცია მასპინძელი პილოტისთვის.

დაწინაურებული სამეულის უკან აღმოჩნდნენ ლუის ჰემილტონი და **ვიტალი პეტროვი** („ლოტუს-რენო“). აღსანიშნავია **მიხაელ შუმახერის** („მერსედესი“) ბრწყინვალე სტარტი - გერმანელი მეექვსე ადგილზე გადავიდა, რითაც მომენტალურად დაიბრუნა ყველაფერი, რაც შაბათს დაკარგა. **ჯენსონ ბატონი** („მაკლარენი“), პირიქით, მეცხრე ადგილამდე ჩამოქვეითდა, მაგრამ მალე დაიბრუნა ერთი პოზიცია: მეორე ცდიდან გაასწრო **სებასტიან ბუემის** („ტორო როსო“).

პიტ-სტოპების სერია ძალიან ადრე გაიხსნა: **სერხიო პერესი** („ზაუბერი“) მექანიკოსებისკენ უკვე მეშვიდე წრეზე გაემართა, მეცხრეზე კი იგივე გააკეთა ერთ-ერთმა ლიდერმა სებასტიან ფეტელმა. პირველი პიტსტოპების შემდეგ უებერმა მესამე პოზიცია დაუთმო ჰემილტონს, პეტროვმა კი მექანიკოსების ცუდი მუშაობით წინ გაუშვა შუმახერი და ბატონი. ეს უკანასკნელი ტრადიციულად ერთ-ერთი ბოლო შევიდა ბოქსებში და რამდენიმე ადგილი მოიგო.

წინ დიდი სიმჭიდროვე იყო: პირველი სამი პილოტი ერთ წამში ეტეოდა. ამ მომენტში ტრასაზე ყველაზე სწრაფი ბატონი იყო: ჯენსონმა ახალი საბურავებით იოლად გაასწრო შუმახერს და პირველ ოთხეულს გამოედევნა. ბრიტანელი ყოველ წრეზე მინიმუმ წამს იგებდა.

ბატონის უპირატესობამ „რედ ბულის“ ინტერესი გამოიწვია და უკვე მე-18 წრის ბოლოს ფეტელი მეორედ შევიდა ბოქსებში. საინტერესოა, რომ იმ მომენტისთვის **ნიკ ჰაიდფელდს** („ლოტუს-რენო“) არც ერთი პიტსტოპი არ ჰქონდა შესრულებული. თუმცა გერმანელი მე-14 პოზიციაზე საკმაოდ ნელა მოძრაობდა. ფეტელმა კი ამასობაში უპირატესობა მიიღო ალონსოსთან შედარებით: „სუფთა“ ტრასაზე ერთმა წრემ გერმანელს ფერნანდოს გასწრების საშუალება მისცა. უებერი კვლავინდებურად მეოთხე იყო.

შემდეგ უფრო საინტერესო მოხდა: სხვებისგან განსხვავებით ჰემილტონმა ბოქსებში შესვლა არ იჩქარა. როგორც ჩანს, ლუისმა გადაწყვიტა ერთი პიტსტოპით ნაკლები შეესრულებინა და ამის ხარჯზე შეენარჩუნებინა ლიდერობა. მართალია, ფეტელი ყოველ წრეზე წამს იგებდა, მაგრამ, როგორც წესი, „რედ ბულის“ ბოლიდზე საბურავი უფრო მალე ცვდება, ამიტომაც ჩემპიონატის ლიდერისთვის პოზიცია მაინც და მაინც მომგებიანი არ იყო. თუმცა 24-ე წრეზე ჰემილტონი მაინც შევიდა ბოქსებში და ყველა დააბნია ტაქტიკასთან დაკავშირებით.

ასეა თუ ისე, ლუისი მეორე იყო და ალონსოსა და უებერის წყვილის წინ იმყოფებოდა. მარკი ცდილობდა ფერნანდოს გასწრებას, მაგრამ ვერ ახერხებდა. მას არ უშველა სინქრონულმა მესამე პიტსტოპმა: „რედ ბულმა“ ოდნავ უკეთ იმუშავა, მაგრამ ალონსომ პიტლეინზე უფრო სწრაფად გასვლა მოახერხა. 33-ე წრეზე უებერმა შიდა რადიუსით თითქოს გაასწრო ალონსოს, მაგრამ ესპანელმა გზა გადაუჭრა ავსტრალიელს და დაიბრუნა მესამე ადგილი. და იქვე ამ წყვილს ბატონი წამოეწია, მომენტალურად გაუსწრო უებერს, თანაც ისე, რომ სასწაულებრივ გადაურჩა ავარიას. ჯენსონი არც ალონსოს მორიდებია და მასაც ძალიან მალე გაუსწორდა. ბატონმა გაინაღდა მესამე ადგილი და უბრალოდ დაელოდა მის წინ და უკან ბრძოლის ამბებს.

რადიოკავშირით გახდა ცნობილი, რომ ფეტელს ისევ შეექმნა პრობლემები KERS-ის სისტემასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, გერმანელი ბოლო, მეოთხე პიტსტოპის შემდეგაც ჰემილტონის წინ აღმოჩნდა. პილოტები სწრაფ წრეებს ცვლიდნენ და ერთმანეთს მიანიშნებდნენ, რომ ბრძოლა დასრულებული არ იყო.

ბატონი ინარჩუნებდა უებერთან სხვაობას, თავის მხრივ, მარკმა მაინც მოახერხა ალონსოს გასწრება. ფერნანდომ ამის შემდეგ ტემპი დააგდო და მშვიდად გააგრძელა რბოლა მეხუთე ადგილზე: „რედ ბულთან“ და „მაკლარენთან“ საბრძოლველად მხოლოდ კარგი სტარტი საკმარისი არ არის (აღსანიშნავია, რომ რბოლის ბოლოს ალონსოს წრეზე (!) გაუსწრო ფეტელმა). უფრო უკან შუმახერი **ნიკო როსბერგს** („მერსედესი“) აყოვნებდა, **ფელიპე მასა** („ფერარი“) მერვე ადგილზე (ერთხელ ბრაზილიელი ტრასაზე მოსრიალდა) იყო.

პეტროვმა პიტსტოპების შემდეგ მეცხრე ადგილზე გადასვლა შეძლო, მაგრამ მის უკან ახალი საბურავებით კონკურენტები იმყოფებოდნენ და საბოლოოდ, სერხიო პერესმა და ნიკ ჰაიდფელდმა მალე გააძევეს რუსი ქულათა ზონიდან: პეტროვი ყოველ წრეზე 3-4 წამს აგებდა და ასეთ სიტუაციაში ის უძლური იყო. მოგვიანებით რუსის ადგილზე აღმოჩნდა მასა: მან ერთი წრის განმავლობაში გაუშვა წინ მექსიკურ-გერმანული რეაქტიული დუეტი. ერთი წრის შემდეგ კი ფელიპემ საერთოდ დაასრულა რბოლა, ჰაიდფელდმა კი პერესს გაუსწრო და 24-ე სასტარტო პოზიციიდან მერვე ადგილზე გადავიდა. უფრო მეტიც, ნიკს წრე არ ეყო იმისთვის, რომ როსბერგისა და შუმახერის გასასწრებად ეზრუნა.

წინ ჰემილტონი სულ უფრო აქტიურად უტევდა ფეტელს: ცხადი იყო, რომ ლუისი თავის კონკურენტზე სწრაფი იყო. „მაკლარენის“ პილოტი ყოველ წრის ბოლოს სასტარტო მონაკვეთზე თითქმის ეწეოდა ფეტელს, მაგრამ სულ მცირედი არ ჰყოფნიდა. მეტოქეებს შორის სტაბილურად იყო შენარჩუნებული წამზე ნაკლები სხვაობა. ასეთივე სიტუაცია იყო ორ „მერსედესს“ შორის. მაგრამ მაყურებელმა გასწრება მაინც ვერ იხილა. ბარსელონის ტრასის მახასიათებლებმა გადაარჩინეს ფეტელი მარცხს. ეს გერმანელის მეოთხე მოგებაა ხუთ რბოლაში.

ალბათ, „მაკლარენში“ მაინც კმაყოფილები იქნებიან პოდიუმზე ორმაგი ასვლით, იმ დროს, როცა პოულის მფლობელმა მარკ უებერმა ნაღვლიანად უნდა უცქიროს საბოლოო ოქმს. „ფერარი“ და „მერსედესი“ ჯერაც სისწრა[illegible] ძიებაში არიან, „ლოტუს-რენოში“ დროებით ლიდერის როლი ჰაიდფელდმა იტვირთა... ასეთია ამ რბოლის შედეგები. ესპანეთის ეტაპი ისეთი სანახაობრივი არ გამოვიდა, როგორც წინა რბოლები. იმედია, ერთი კვირის შემდეგ მო[illegible] სხვა სურათს ვიხილავთ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ფეტელი ჰემილტონმა შეავიწროვა

**ესპანეთის გრანპრი. V ეტაპი**

**ბარსელონა (66 წრე, 307.104 კმ)**

| | |
| --- | --- |
| 1(2). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:39.03,301 |
| 2(3). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +0,630 |
| 3(5). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +35,697 |
| 4(1). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +47,966 |
| 5(4). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | 1 წრე |
| 6(10). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 7(7). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 8(24). ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო, გერმანია) | 1 წრე |
| 9(12). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 1 წრე |
| 10(14). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | 1 წრე |
| 11(6). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) | 1 წრე |
| 12(16). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | 1 წრე |
| 13(17). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 1 წრე |
| 14(11). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე |
| 15(9). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 1 წრე |
| 16(13). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 2 წრე |
| 17(19). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 2 წრე |
| 18(18). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 2 წრე |
| 19(20). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 3 წრე |
| 20(23). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია) | 4 წრე |
| 21(22). ნარაიან კართიკეიანი (HRT F1, ინდოეთი) | 5 წრე |
| 22(8). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | 6 წრე |
| 23(15). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 16 წრე |
| 24(21). ვიტანტონიო ლიუცი (HRT F1, იტალია) | 58 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 118 (4 მოგება); 2. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 77 (1); 3. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 67; 4. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 61; 5. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 51; 6. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 26; 7. **ნიკ ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო, გერმანია) - 25; 8. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 24; 9. **ვიტალი პეტროვი** (ლოტუს-რენო, რუსეთი) - 21; 10. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 14; 11. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 9; 12. **სებასტიან ბუემი** (ტორო როსო, შვეიცარია) - 6; 13. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 2; 14. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 2; .15. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 2.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. **რედ ბული** - 185 ქულა; 2. **მაკლარენი** - 138; 3. **ფერარი** - 75; 4. **ლოტუს-რენო** - 46; 5. **მერსედესი** - 40; 6. **ზაუბერი** - 11; 7. **ტორო როსო** - 6; 7. **ფორს ინდია** - 4.